

ავღანური ჩიხი

A3



რუსთავის თეატრალური მომავალი

A4



მანტენიას იუბილემ მუზეუმები წააჩხუბა

A5

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 15 სექტემბერი, 2006 წელი. №203 (1355)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი: თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

## ამბები

### პალესტინა მზად არის დასავლეთთან თანამშრომლობისთვის

დასავლეთი "ჰამას"-ის მთავრობის გადადგომას პოზიტიურად აფასებს და პალესტინას მოლაპარაკებებისაკენ მოუწოდებს.

A3

## სპორტი

### ჩინეთის დიდი კედელი ბერძენ-რომაელთა და "თავისუფალთა" მოლოდინშია

საქართველოს ბერძენ-რომაელთა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამალებით ემზადებიან.

A8

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

## ამინდი

| | 15/09 | 16/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 26 |
| ბათუმი | 19 | 20 |
| სოხუმი | 22 | 22 |
| ქუთაისი | 21 | 21 |
| გორი | 18 | 18 |
| თელავი | 21 | 25 |
| ონი | 16 | 13 |
| ზუგდიდი | 22 | 21 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7450 |
| ევრო | 2.2135 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2789 |
| რუბლი | 0.0651 |

| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| ამბები | A 3 |
| რევიუ | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| სპორტი | A 8 |

# რუსეთის პირველი მარცხი გაერო-ში

### გაყინული კონფლიქტები გენერალური ასამბლეის მსჯელობის თემა ხდება

დიმიტრი ავალიანი

*გაერო-ს გენერალური ასამბლეა "გაყინული კონფლიქტების" საკითხს განიხილავს. რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, სუამ-ის ქვეყნების წინადადება ასამბლეის 61-ე სესიის დღის წესრიგში შევიდა. რუსეთი კვლავ აცხადებს, რომ სამშვიდობო ოპერაციების ფორმატის შეცვლას არ დაუშვებს.*

მომავალ კვირაში საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მონაწილეობას მიიღებს გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაში, სადაც აპირებს საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების დაგერულირების საკითხი დასვას.

გაგრძელება A3 გვერდზე



უმაღლეს ფორუმზე "გაყინული კონფლიქტების" შესახებ პირველად იმსჯელებენ.

# ბიზნესმენთა ფედერაციამ ცვლილებების პროექტი მოამზადა

### რა ცვლილებებია შესატანი ახალ საგადასახადო კოდექსში?

B

*განვლილმა თითქმის ორმა წელიწადმა ახალი საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა ტიპის ნაკლოვანებები აშკარა გახადა. ექსპერტებისა და ბიზნესკომპანიების ერთი ნაწილი მასში შესატანი ცვლილებების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ალაპარაკდა.*




# ნოდარ ახალკაცი: "იტალიისთვის გერმანიაში მოვემზადებით"

ვასილ უდუმაშვილი

საფრანგეთის ნაკრების სტუმრობასთან დაკავშირებულმა ეიფორიამ და აჟიოტაჟმა ჩაიარა. "სამფეროვნებმა" ციდან მიწაზე დაგვაბრუნეს და გვიჩვენეს, რომ მათ დონემდე მისაახლოვებლად უდიდესი სამუშაოა ჩასატარებელი. ჯერ კიდევ საკითხავია, საერთოდ შესაძლებელია თუ არა საფრანგეთის ნაკრების დონემდე მისვლა. ამ გუნდმა ჩვენების ძლევიდან ოთხიოდ დღეში ანალოგიური დღე თვით მსოფლიოს ჩემპიონ იტალიას აწია. იმ იტალიას, რომელსაც ზუსტად ერთ თვეში თბილისში დავუხვდებით. თუმცა, საქართველოს ნაკრები რომ პროგრესის გზაზეა, უკრაინის ნაკრებთან თუნდაც წაგებულ შეხვედრაშიც გამოჩნდა.

გაგრძელება A8 გვერდზე



# იანუკოვიჩი - "ნარინჯისფერი" იდეების მესაფლავე

### უარი ნატო-ს და უარი ევროკავშირიდან

*უკრაინისა და ნატო-ს ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივები გაურკვეველი დროით გადაიდო. ასეთია უკრაინის ახალი პრემიერ-მინისტრის პირველი სერიოზული გადაწყვეტილება.*

სოფო ბუკია

**"უკრაინა ჯერ არ არის მზად ნატო-ს წევრობისთვის. უკრაინის მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან მჭიდრო ინტეგრაციის წინააღმდეგია, ამიტომ ჩვენ ამ მიმართულებით პაუზას ვიღებთ. მოვა დრო, როცა ჩვენ შევძლებთ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას,"** - ეს განცხადება უკრაინის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ იანუკოვიჩმა ბრიუსელში ნატო-ს ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას გააკეთა.

ნატო-ს გენერალურ მდივანთან იაპ დე ჰუპ სხეფერთან საუბრისას იანუკოვიჩმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ უკრაინის სწრაფვამ ნატო-სკენ შესაძლოა, ხელი შეუშალოს კიევისა და მოსკოვის ურთიერთობებს, რაც კიევის ინტერესებში არ შედის. იანუკოვიჩმა ნატო-ელ მაღალჩინოსნებს განუმარტა, რომ ნატო-ში ინტეგრაციას უკრაინის მოსახლეობის 20 პროცენტზე ნაკლები უჭერს მხარს. **"ეს საკითხი რეფერენდუმმა უნდა გადაწყვიტოს,"** - აღნიშნა მან და თან დასძინა, რომ რეფერენდუმის ჩატარებამდე უკრაინა ჯერ ეკონომიკურად უნდა მომძლავრდეს.

უკრაინის ახალი პრემიერ-მინისტრის პირველივე ვიზიტმა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, კიდევ უფრო ცხადი გახადა ის დაპირისპირება, რომელიც უკრაინის ხელისუფლებაში ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით არსებობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საქართველო-უკრაინა: საერთო წარსული, საერთო მომავალი

გიორგი ასანიშვილი

საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში გუშინ ჩატარებულ ღონისძიებას "უპრეცედენტოს" უწოდებს. მართლაც, ორი სახელმწიფოს საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებული სხდომის გამართვის პრაქტიკა ქართველი კანონმდებლებისთვის აქამდე უცხო ხილი იყო.

სიმბოლური და ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნულ ღონისძიებაში, ქართველ პარლამენტარებთან ერთად, სწორედ ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორის - უკრაინის ვერხოვნა რადას სახალხო დეპუტატები მონაწილეობდნენ.

აქვე აღსანიშნავია, რომ ქართველი და უკრაინელი პარლამენტარები გუშინდლამდეც აქტიურად თანამშრომლობდნენ: ჯერ კიდევ გასულ წელს მიღებულ იქნა ერთობლივი დეკლარაცია, რომელშიც დადასტურებულია ორი ქვეყნის სწრაფვა ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანებისკენ.

თუმცა, უკრაინელი სტუმრები არ მალავენ, რომ ნატო-ში მათი ქვეყნის გაწევრიანების საკითხი, შიდაპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოსთან შედარებით საკმაოდ გართულებულია. როგორც დელეგაციის ხელმძღვანელი, უკრაინის ვერხოვნა რადას ევროპული ინტეგრაციის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ივან ბოკი აღნიშნავს, რუსულენოვანი მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ევროატლანტიკურ ალიანსში შესვლას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. არსებობს სხვა პრობლემებიც. კერძოდ, ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობაში არმიის მოყვანა დიდძალი სახსრების მოძიებას მოითხოვს, რაც, ჯერჯერობით, ვერ ხერხდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# Human Rights Watch-ის მკაცრი შეფასება

*რამდენიმე დღის წინ საერთაშორისო ორგანიზაციებმა - გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა (CAT) და "საერთაშორისო ამნისტიამ" წამების, სასტიკი, არაჰუმანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობის თაობაზე ანგარიში გამოაქვეყნა. "საერთაშორისო ამნისტია" და გაერო-ს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამენ წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის შესახებ გაკეთებული განცხადებების გამო და საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებენ დროულად შეიმუშაონ წამებისა და სასტიკი მოპყრობის აღმოსაფხვრელად ფართომასშტაბიანი და თანმიმდევრული სამოქმედო გეგმა.*

გუშინ 118-გვერდიანი, საკმაოდ მწვავე ანგარიში გამოაქვეყნა ორგანიზაცია Human Rights Watch-მა. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ქართულ პენიტენციურ სისტემას წამების ადგილს ადარებს.

Human Rights Watch-ის ევროპისა და აზიის განყოფილების აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის რეიჩელ დენბერის განცხადებით, მიმდინარე წელს ორგანიზაციის წარმომადგენლები საქართველოს საპყრობილეებში 110 პატიმარს, მათ ადვოკატებს, არასამთავრობო და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს გაესაუბრნენ, ორგანიზაციის ექსპერტები ადგილზე გაეცნენ პენიტენციარულ სისტემაში არსებულ ვითარებას და დაასკვნეს, რომ საპატიმროებში გაუსაძლისი პირობებია.

**"პატიმრობა სასიამოვნო არა, მაგრამ გაუსაძლისი არ უნდა იყოს,"** - განაცხადა რეიჩელ დენბერმა.

Human Rights Watch-ის დასკვნაში ნათქვამია, რომ 2004 წლის დასაწყისში ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება საზოგადოებას საჯაროდ დაჰპირდა, რომ ხელს შეუწყობდა ადამიანის უფლებათა დაცვის დამკვიდრებას და ამის ერთ-ერთ საშუალებად საქართველოს საპატიმროების რეფორმა დაასახელა. მიუხედავად ამ პირობისა, საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში კვლავ ფართოდ არის გავრცელებული ადამიანის უფლებათა ხელყოფა.

გაგრძელება A2 გვერდზე

მოკლედ

## იუსტიციის მინისტრმა ევროკავშირის დელეგაცია მიიღო

საქართველოს იუსტიციის მინისტრი გია ქავთარაძე, იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე კონსტანტინე კორკელია და იუსტიციის მინისტრის მოადგილე გივი მიქანაძე იუსტიციის სამინისტროში ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის დელეგაციას შეხვდნენ, რომელსაც ქალბატონი მარი ანე ისლერ ბიგანი ხელმძღვანელობდა. იუსტიციის მინისტრმა სტუმრებს ინფორმაცია მიაწოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიმდინარე რეფორმის თაობაზე. ყურადღება გამახვილდა პენიტენციალურ სისტემაში განხორციელებულ ცვლილებებსა და დაგეგმილ ღონისძიებებზე. ქართულმა მხარემ ისაუბრა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებზე. აღინიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ამ ტერიტორიებზე კონტროლის საშუალება არ გააჩნია და ამ ფონზე საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიურობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის დელეგაცია საქართველოს 9 სექტემბერს 5-დღიანი ვიზიტით ეწვია. **24 საათი**

## ევროკავშირის ექსპერტები დასახმარებლად მზად არიან

იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ კონსტანტინე კორკელიამ ევროკავშირის ექსპერტთა დელეგაციის წევრები მიიღო. ევროკავშირის კიდევ ერთი დელეგაცია მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარე რეფორმების გაცნობისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით ეწვივნენ საქართველოს. შეხვედრის მონაწილეებმა იუსტიციის სამინისტროსა და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივაზე იმსჯელეს. საქართველოში ვიზიტის ფარგლებში სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციული სამართლისა და სახელმწიფო მართვის ექსპერტები სტევან ლილიჩი, ჟან პოლ მაკდონალდსი და ჰანს ურგენ ზაჰორკა შეხვედრებს გამართავენ სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან. ევროკავშირის ექსპერტები ინტერესით შეხვდნენ საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინადადებას დახმარების თაობაზე და სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში რეფორმის მხარდასაჭერად მზადყოფნა გამოთქვეს. **24 საათი**

## ჯარისკაცი შემთხვევითი გასროლის შედეგად გარდაიცვალა

თავდაცვის სამინისტროს უფლისციხის ბატალიონში ჯარისკაცის სიცოცხლე შემთხვევითმა გასროლამ იმსხვერპლა. ცნობილი გახდა, რომ გუშინწინ ფოტოსურათების გადაღებისას რიგითმა გიორგი მუმლაძემ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან შემთხვევითი გასროლით დაზიანება მიაყენა მისივე მეგობარ რიგით გიორგი ოზბეთელაშვილს, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. გიორგი მუმლაძე ლაგოდეხის რაიონიდანაა. მისივე თანასოფლელია გარდაცვლილი გიორგი ოზბეთელაშვილი. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციამ მუმლაძე მომხდარისთანავე დააკავა. რაც შეეხება გარდაცვლილს, იგი ლაგოდეხის რაიონში საკუთარ საცხოვრებელ სახლში გადაასვენეს. დაკავებულ გიორგი მუმლაძეს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის აღმკვეთი ღონისძიება შეუფარდეს. **ინტერპრესნიუსი**

## ქუთაისში ფინანსურმა პოლიციამ ქარხნები დალუქა

იმერეთის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკში აკუმულატორების ორი მინი ქარხანა დალუქეს. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, ორივე საამქრო სამეწარმეო საქმიანობას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სპეციალური ნებართვის გარეშე ახორციელებდა. აღნიშნული ქმედების გამო, მინი ქარხნების მეპატრონეების გელა მამაგეიშვილისა და იური აბულაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მათ თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე ემუქრებათ. ფინანსური პოლიციის ცნობით, კახეთის რეგიონში მათ დახურეს ლიმონათის ჩამომსხმელი საამქრო. თელავის რაიონის სოფელ ართანაში მცხოვრებ ყურაშვილს ლიმონათის დასამზადებელი კუსტარული ქარხანა საკუთარ საცხოვრებელ სახლში ჰქონდა მოწყობილი. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ფალსიფიცირებულ ლიმონათს იგი ადგილობრივ მოზარდებში ასაღებდა. ჩხრეკის შედეგად ამოღებულია 500-ზე მეტი ბოთლი ლიმონათი, ასევე დიდი რაოდენობით ესენციები, ფხვნილები, ეტიკეტები და ფერის მისაცემად განკუთვნილი საღებავები. როგორც ფიანანსურ პოლიციაში აცხადებენ, დანიშნულია ექსპერტიზა, რომელიც დაადგენს ახდენდა თუ არა მავნე ზეგავლენას ადამიანთა ჯანმრთელობაზე ყურაშვილის მიერ ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე ჩამოსხმული ლიმონათი. **ინტერპრესნიუსი**

## დაკავებულ დევნილებს 150-ლარიანი ჯარიმა დაეკისრათ

საპატრულო პოლიციის მიერ დევნილთა აქციის დროს დაკავებულ ეკა შონიასა და დათო წულუკიძისგან სამართალდამცველები ჯარიმის გადახდას ითხოვენ. საპატრულო პოლიციამ მათ ჯარიმის სახით 150 ლარის გადახდა დააკისრა. დევნილები კი აცხადებენ, რომ მათ ჯარიმის გადახდის საშუალება არ აქვთ. ისინი დაკავებულების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ. აქციის მონაწილეთა ინფორმაციით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებთან მომხდარი შეხლა-შემოხლის დროს ეკა შონიას პატრულმა სცემა, რის შედეგადაც მას თავზე დაზიანებები აღენიშნება. **ინტერპრესნიუსი**

## პენსიის მითვისების ფაქტზე გამოძიება დაიწყო

ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველომ ხონის რაიონის სოფელ საწულუკიძეოს ფოსტის გამგის თამაზ გოფაძის მიმართ გამოძიება დაიწყო. ფინანსური პოლიციის განცხადებით, გოფაძის წინააღმდეგ საქმე "მითვისებისა" და "ყალბი დოკუმენტის გამოყენების" მუხლებით აღიძრა. გამოძიების წინასწარი ინფორმაციით, ფოსტის გამგემ ყალბი დოკუმენტის გამოყენებით სხვისი პენსია მიითვისა. განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე ფინანსური პოლიციის პირველი ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა ზურაბ ქინდიშვილი და ვასილ მესტუმრიშვილი თბილისში, დილმის მასივში დააკავეს. როგორც ფინანსურ პოლიციაში განაცხადეს, ჩხრეკის შედეგად მათი კუთვნილი მიკროავტობუსიდან 2 250 კოლოფი უაქციზო სიგარეტი "იავა" და "ალიანსია" ამოღებული. დაკავებულები დანაშაულს აღიარებენ და აცხადებენ, რომ უაქციზო სიგარეტი მათ გორის რაიონის სოფელ არცევში ოსი ეროვნების პირებისგან შეიძინეს. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლით დაიწყო, რაც მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვა-რეალიზაციას გულისხმობს. **ინტერპრესნიუსი**

# Human Rights Watch-ის მკაცრი შეფასება

პირველი გვერდიდან

Human Rights Watch-ის დასკვნის თანახმად, საქართველოს ციხე-საპყრობილეებში 13 ათასამდე პატიმარი იმყოფება, რომელთა უმრავლესობა გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს, რაც არღვევს, როგორც პატიმრობის შესახებ საქართველოს კანონს, ასევე, ქვეყნის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს.

**"ბოლო ორი წლის განმავლობაში პატიმართა რიცხვი გაორმაგდა, რასაც სხვა მიზეზებთან ერთად, ხელი შეუწყო აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი პატიმრობის ფორმის ზედმეტმა გამოყენებამ. საქართველოს ხელისუფლება საკუთარ თავს ადამიანის უფლებათა ერთგულ დამცველად წარმოაჩენს, მაგრამ ხელისუფლებამ შეგნებულად გადადგა ნაბიჯები, რითაც ადამიანის უფლებები კიდევ უფრო შეიზღუდა,"** - ნათქვამია დასკვნაში.



ქართული ციხე - წამების ადგილი.

Human Rights Watch-ი აცხადებს, რომ პატიმართა მიმართ მოპყრობა შემაძრწუნებელია, ხოლო ზოგ პენიტენციურ დაწესებულებაში ღირსების შემლახველ მოპყრობას უტოლდება. საპატიმროთა უმრავლესობა უკიდურესად გადატვირთულია, ცუდად ნიავდება და იქ ანტისანიტარია სუფევს. პატიმრები არაადეკვატურად იკვებებიან და ღებულობენ სამედიცინო მომსახურებას (თუ საერთოდ ღებულობენ), რომელიც არ შეესაბამება სტანდარტებს. ხშირად მათ ჰაერზე გასვლის არანაირი შესაძლებლობა არ აქვთ.

**"პატიმართა მიმართ ცუდად მოპყრობა გახშირდა 2005 წლის დეკემბრის შემდეგ. ზოგიერთი პატიმრის გადმოცემით, მათ რეგულარულად და სასტიკად სცემდნენ ან მათ მიმართ იყენებდნენ სხვა სახის სასტიკ მოპყრობას და არაადამიანურ დასჯას. ზოგ შემთხვევაში ცემა და სხვა სახის არაადამიანური მოპყრობა წამებას უტოლდებოდა. პატიმრებს ხელი არ მიუწვდებათ ჩივილის ეფექტურ მექანიზმზე, ზოგიერთ საპატიმროში შეზღუდულია ადვოკატებთან კონფიდენციალურად შეხვედრა. პატიმართა უფლებების დარღვევის შემთხვევების გამოძიება იშვიათია, ხოლო დანაშაულის ჩამდენი პირები ხშირად არ აგებენ პასუხს კანონის წინაშე, "** - წერია ანგარიშში.

Human Rights Watch-ი საქართველოს ხელისუფლების მიერ "კანონიერ ქურდებთან" ბრძოლისა და 27 მარტს, ციხეებში მომხდარ ბუნტსაც შეეხო. როგორც რეიჩელ დენბერმა განმარტა, ხელისუფლებამ დიდი ზეწოლის შედეგად, მხოლოდ სამი თვის შემდეგ დაიწყო 27 მარტს ციხეებში მომხდარი ინციდენტის გამოძიება.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლებამ ვერ განახორციელა სამართალდამცველი ორგანოების მიერ პატიმართა მიმართ ცუდად მოპყრობისა და პატიმართა გარდაცვალების ფაქტების გამოძიება, რაც ქვეყანაში დაუსჯელობის კლიმატის შექმნის წინაპირობაა.

გარდა 27 მარტის ინციდენტისა, "Human Rights Watch"-მა დააფიქსირა პატიმრების მიმართ ცუდად მოპყრობის რამდენიმე სხვა შემთხვევაც.

**"პატიმართა გადმოცემით, სხვა ამბოხებების ან ამბოხებათა მცდელობების განმავლობაში და მათი დასრულების შემდეგ, სასჯელის სახით, მათ სასტიკად სცემდნენ. გარდა ამისა, პატიმრები ჰყვებიან, რომ მათ ცუდად ეპყრობოდნენ ერთი საპატიმროდან მეორეში ბადრაგირების დროს ან ახალ საპატიმროში მიყვანისას, როგორც ჩანს, დაშინების მიზნით. ერთ-ერთ დაწესებულებაში, თბილისის მკაცრი რეჟიმის მე-7 საპყრობილეში, სადაც ამჟამად პატიმრობაში იმყოფებიან ბრალდებული ან მსჯავრდებული "კანონიერი ქურდები", 2006 წლის დასაწყისში, პატიმრებს ხშირად სცემდნენ, აშიშვლებდნენ და ჩხრეკდნენ, მათ მიმართ იყენებდნენ ღირსების შემლახველ სხვა მოპყრობას. ზოგ შემთხვევაში აღნიშნული მოპყრობა პატიმრობის საშინელ პირობებთან ერთად, წამებას უტოლდებოდა. არ მომხდარა პატიმართა უფლებების დარღვევის მტკიცებათა გამოძიება ან საქმის აღძვრა,"** - წერია დასკვნაში.

Human Rights Watchძ-ი საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციის შესრულებას ურჩევს და საქართველოს მთავრობას რეკომენდაციების უზარმაზარ ნუსხას თავადაც სთავაზობს.

Human Rights Watch-ი საქართველოს მთავრობას მოუწოდებს, 27 მარტს ციხეებში მომხდარი ინციდენტის გამოძიებისთვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის პრეცედენტი დაუშვას; ხელისუფლებამ გამოიძიოს სამართალდამცველთა მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის ყველა ფაქტი; დაუყოვნებლივ უნდა მიიღოს ზომები, რათა აღკვეთოს სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა მიერ პატიმართა შეურაცხყოფა და მათ მიმართ ცუდად მოპყრობა; შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად გამოიყენოს წინასწარი პატიმრობის ალტერნატიული აღმკვეთი ღონისძიება, რათა სასამართლოს მომლოდინე პატიმრების რიცხვი შემცირდეს; საქართველოს ხელისუფლებამ თავი უნდა შეიკავოს ისეთი საკანონმდებლო და პოლიტიკური კურსის ცვლილებების წამოწყებისგან, რომელიც უარყოფით ზემოქმედებას ახდენს პატიმართა უფლებებზე; ხელისუფლების უმაღლეს დონეზე უნდა გამოცხადდეს, სრული შეურიგებლობის პოლიტიკა დანაშაულის ჩამდენი სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა მიმართ.

Human Rights Watch -ი მოუწოდებს იუსტიციის სამინისტროს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, დაუყოვნებლივ და გამონაკლისების გარეშე უზრუნველყონ პატიმრის მიერ საკუთარ ადვოკატთან კონფიდენციალური შეხვედრის უფლება, ოჯახის წევრებთან რეგულარული პაემნის უფლება და დღეში ერთი საათი მაინც ვარჯიშის საშუალება.

Human Rights Watch-ის ამჟამინდელი ანგარიში პენიტენციურ სისტემას შეეხება, თუმცა, როგორც რეიჩელ დენბერმა განცხადა, საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციებს საერთაშორისო ორგანიზაცია თავის წლიურ მოხსენებაში, რომელიც ამჟამად მზადდება, ერთ თავს მიუძღვნის.

**"საქართველოში ბოლო პერიოდში ჩატარებულ სპეცოპერაციებზე, რომლებსაც ადამიანების გარდაცვალება მოჰყვა, ორგანიზაცია ინფორმაციების მაქსიმალურად მოპოვებას ცდილობს. საქართველოში ჩატარებულ ათ სპეცოპერაციასთან დაკავშირებით Human Rights Watch-ის წლიურ ანგარიშში ერთ-ერთ თავი იქნება წარმოდგენილი,"** - განაცხადა რეიჩელ დენბერმა.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლების მონდომება, სპეცოპერაციების დროს მოქალაქეების გარდაცვალების ფაქტების გამოძიების კუთხით, არ შეიმჩნევა.

**"არსებობს საერთაშორისო ნორმების მოთხოვნა იმის შესახებ, რომ თითოეული ფაქტი, რომლის დროსაც სახელმწიფოს ჩარევით მოქალაქე იღუპება, აუცილებლად უნდა იყოს გამოძიებული. ის, რომ ამგვარი ფაქტები ჯერ კიდევ არ გამოკვლეულა, საერთაშორისო ნორმების დარღვევაა,"** - განაცხადა დენბერმა.

Human Rights Watch-ის დასკვნას საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველის აპარატის წევრები უკვე გაეცნენ. საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა განცხადებით, Human Rights Watch-ის დასკვნა საქართველოს იმიჯს სერიოზულად შელახავს.

*24 საათი*

# რუსეთის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელის მოადგილე მოკლეს

რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის მოადგილე ანდრეი კოზლოვზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. იგი მოსკოვის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც კოზლოვს სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა, მაგრამ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. გუშინ, გამთენიისას, კოზლოვი მიყენებული ჭრილობებისგან მოსკოვის საავადმყოფოში გარდაიცვალა ისე, რომ გონზე არ მოსულა.

რუსეთის ფედერაციის ვიცე-პრემიერი ალექსანდრე ჟუკოვი არ გამორიცხავს, რომ კოზლოვის მკვლელობა მის პროფესიულ საქმიანობასთან იყოს დაკავშირებული.

"არ გამოვრიცხავ, რომ ეს ასე იყოს. მაგრამ ჯერჯერობით დაზუსტებით ცნობილი არაფერია", - განაცხადა ჟუკოვმა, როდესაც მას შემთხვევის შესახებ შეატყობინეს.

მოსკოვის პროკურატურის გამომძიებელთა თქმით, ბოროტმოქმედები "მაკაროვის" ან "იჟ 71" ტიპის იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია სამი გილზი და ერთი ტყვია, ასევე იარაღის ხმის ჩასახშობი სპეციალური მოწყობილობა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. ბანკირის მკვლელობის შესაძლო მიზეზად მის პროფესიულ საქმიანობას ასახელებენ. კოლეგების თქმით, კოზლოვს ბანკებთან დამოკიდებულებაში მკაცრი პოზიცია ეკავა. მხოლოდ წელს მისი ინიციატივით 40 ბანკს ჩამოერთვა ლიცენზია. უკანასკნელი ბანკი, რომელსაც რამდენიმე დღის წინ ჩამოერთვა ლიცენზია "ინვესტკომბანკ ბელკომია".



ოპერატიული სამსახურების ვარაუდით, თუ თავდასხმა საბანკო სფეროსთან დაკავშირებით მოხდა, დამკვეთები მათ შორის უნდა ეძებონ, ვისაც ლიცენზია ჩამოერთვა.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10 % - დან 30 % - მდე

აირჩიეთ **ორი** ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
**ერთი ნომერი** - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქ.თბილისის ტელეფონი)
**მეორე ნომერი** - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს
(ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - **442020** (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ **8-10** -ით

www.telecom.ge

# შსს-ს შვიდი თვის სტატისტიკა

*შინაგან საქმეთა სამინისტრომ 2006 წლის 7 თვის სტატისტიკა გამოაქვეყნა. სტატისტიკის მიხედვით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კლება აღინიშნება.*

გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, განზრახ მკვლელობის ფაქტები 36,6 პროცენტითაა შემცირებულული. მიმდინარე წლის 7 თვეში რეგისტრირებულია ამ ტიპის 210 დანაშაული, 2005 წლის 7 თვეში კი რეგისტრირებულია 331.

0,6 პროცენტით არის შემცირებული მკვლელობის მცდელობები. 2006 წელს ამ ტიპის 164 დანაშაულია რეგისტრირებული; 2005 წლის 7 თვეში კი - 165 დანაშაული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური მონაცემებით, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება - 32,7 პროცენტით შემცირდა. 2005 წლის 7 თვეში რეგისტრირებულია ამ სახის 251 დანაშაული, ხოლო 2006 წლის 7 თვის განმავლობაში - 169 ფაქტი.

შსს-ს მონაცემებითვე, 49 პროცენტით შემცირდა ანგარებით თავისუფლების აღკვეთის ფაქტები. ავტოსატრანსპორტო საშუალების დაუფლების მიზნით ჩადენილი დანაშაულებიდან 2005 წლის 7 თვეში რეგისტრირებულია 129 ფაქტი, ხოლო 2006 წლის 7 თვეში - 114.

ამავე სტატისტიკის მიხედვით, აღინიშნება ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ქურდობის კლება - 22,5 პროცენტით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, მძიმე ქურდობათა ფაქტებმა 13 პროცენტით იკლო.

**"მიმდინარე წლის 7 თვის განმავლობაში გაძლიერებულია მუშაობა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან და ნარკობიზნესთან ბრძოლის სფეროში. აღნიშნულ პერიოდში გამოვლენილ დანაშაულთა რაოდენობა აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 54, 4 პროცენტით",** - ნათქვამია შს სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ 2006 წლის 7 თვის დანაშაულებრივ სტატისტიკაში, რომლის მიხედვითაც, გამოვლენილი ნარკოტიკების უკანონო შემოტანის შემთხვევების რაოდენობა - 26,7 პროცენტით არის შემცირებული.

ამავე მონაცემების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ აღინიშნება ქურდობის საერთო რიცხვის ზრდა 118,7 პროცენტით, მძიმე ქურდობის ფაქტები შემცირდა 13 პროცენტით, მათ შორის ბინების გაქურდვა შემცირდა 13,9 პროცენტით. ასევე, შემცირდა ავტომობილების ქურდობის საერთო რაოდენობა - 4,9 პროცენტით.

**"2006 წელს ყოველთვიურად აღინიშნება დანაშაულის გახსნის პროცენტის მატების ტენდენცია, კერძოდ: მიმდინარე წლის 7 თვეში წინასწარი გამოძიება დაიწყო 35 ათას 982 საქმეზე. აქედან გაიხსნა 10 046 საქმე. წინა წლის ანალოგიურ პერიოდში აღირიცხა 21 525 დანაშაული, ხოლო გაიხსნა 8714.**

**გახსნილი სისხლის სასამართლის საქმეების რაოდენობამ იმატა 1332-ით, რაც შეადგენს 15,3 პროცენტს. კრიმინალური პოლიციის ხაზით დანაშაულის გახსნამ იმატა 20 პროცენტით",** - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

*24 საათი*

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# რუსეთის პირველი მარცხი გაერო-ში

პირველი გვერდიდან

**"საქართველოს პრეზიდენტს და ხელისუფლებას კარგად აქვს წარმოდგენილი, როგორ უნდა შეიცვალონ არსებული მოლაპარაკებების და სამშვიდობო მექანიზმები, რომლებიც დღეისთვის არაეფექტურად საყოველთაოდ არის აღიარებული,"** - განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა და დასძინა, რომ აშშ-ში ვიზიტის დროს, რომელიც 19-20 სექტემბერს შედგება, მიხეილ სააკაშვილი აშშ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს შეხვდება.

სამშაბათს გაეროს გენერალური ასამბლეის გენერალურმა კომიტეტმა უარი თქვა ქართული წინადადების, რომელშიც, სუამ-ის წევრი ქვეყნების სახელით, მოითხოვდა გენერალური ასამბლეის 61-ე სესიის დღის წესრიგში ჩასმულიყო საკითხი - **"გაჭიანურებული კონფლიქტები სუამ-ის წევრ ქვეყნების ტერიტორიაზე, მათი შედეგები საერთაშორისო მშვიდობისათვის, უსაფრთხოებისთვის და განვითარებისთვის"**. ოთხშაბათს კი სუამ-ის ქვეყნების დელეგაციებმა იგივე საკითხი გენერალური ასამბლეის სხდომის კენჭისყრაზე გაიტანეს და მისი სესიის დღის წესრიგში ჩასმას მიაღწიეს. დღის წესრიგში საკითხის შეტანას 16-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი. მათ შორის - ესტონეთმა, ლატვიამ, ლიტვამ, თურქეთმა, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ. წინააღმდეგ 15 ქვეყანა გამოვიდა, მათ შორის რუსეთი, ალჟირი, სომხეთი, საბერძნეთი, ინდონეზია და სამხრეთ აფრიკა. 65-მა ქვეყანამ თავი შეიკავა, ხოლო 95 ქვეყნის დელეგაცია კენჭისყრას არ ესწრებოდა.

**"ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი როგორც საქართველოსთვის, ასევე სუამ-ის ქვეყნებისათვის,"** - განაცხადა მიღებული გადაწყვეტილების კომენტირებისას საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაერო-ში ირაკლი ალასანიამ. მისი თქმით, კონფლიქტების თემის განხილვით გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე, შესაძლებელი ხდება ობიექტური ინფორმაციის მიწოდება მსოფლიო თანამეგობრობისათვის ყველა კონფლიქტის ზონაში არსებული პროცესების შესახებ. **"ეს მაქვს პროპაგანდა, რომელიც გაეროში არსებობდა, პირველად იქნა დაძლეული საქართველოს, უკრაინის, მოლდოვას და აზერბაიჯანის მიერ,"** - აღნიშნა ალასანიამ.

სუამ-ის ქვეყნების წინადადების წინააღმდეგ მოსკოვი გამოვიდა. როგორც აღმოჩნდა, კრემლი კონფლიქტების პრობლემების "პოლიტიზაციას" არ ემხრობა. **"ჩვენ თავიდანვე ამ პრობლემატიკის პოლიტიზაციისა და ამ მიზნით გენერალური ასამბლეის ფორმატის გამოყენების წინააღმდეგი ვიყავით. რუსეთში მთიანი ყარაბაღის, ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური და დნესტრისპირეთის კონფლიქტების დარეგულირების არსებული მექანიზმების დემონტაჟის მცდელობას კონტრპროდუქტიულად მიიჩნევენ,"** - განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხაილ კამინინმა.

რუსული მხარის არგუმენტები თბილისისათვის გაუგებარი აღმოჩნდა. **"იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სუამ-ის ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები სწორედ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, ხოლო გაერო თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სამშვიდობო პროცესების ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი ორგანოა, ამგვარი არგუმენტაცია საკმაოდ უცნაურ შთაბეჭდილებას ტოვებს,"** - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

საქართველოს საგარეო უწყება აცხადებს, რომ რუსეთი მის ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით ცდილობდა ხელი შეეშალა ამ საკითხის გატანას გენერალურ ასამბლეაზე.

სამინისტროს განცხადებით, საქართველოსა და სუამ-ის სხვა წევრ ქვეყნებს აქტიური დიპლომატიური ძალისხმევისა და პარტნიორების, პირველ ყოვლისა, აშშ-ს სერიოზული მხარდაჭერის შედეგად, საბოლოო ჯამში შესაძლებელი გახდა ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების მიღება.

**"აღნიშნული რეზოლუციის დღის წესრიგში შეტანა და მისი განხილვა გვაძლევს კიდევ ერთ შანსს, მივაპყროთ მსოფლიო საზოგადოების ყურადღება ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებისადმი და ხელი შევუწყოთ კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას,"** - აცხადებს საგარეო უწყება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მადლობა გადაუხადა ყველა იმ ქვეყანას, რომელმაც მხარი დაუჭირა გაეროს გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში განხილვისთვის კონფლიქტების თაობაზე რეზოლუციის შეტანას.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ განცხადება გაავრცელა, რომელშიც აღნიშნა, რომ რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამშვიდობო ოპერაციებს კვლავაც გააგრძელებს. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ **"საქართველოს მუქარების ფონზე"** მოსკოვს არ შეუძლია იგნორირება გაუკეთოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მშვიდობის საკითხს. **"ეს თემა დიდი ხანია ისმის, ოფიციალური თბილისის განცხადებებში. ამასთან, ქართული მხარე ცდილობს საკუთარი კონფლიქტების დარეგულირების პროცესის ჩიხში შესვლასთან დაკავშირებით რუსეთს და მის სამშვიდობოებს გადააბრალოს,"** - აცხადებს რუსეთის საგარეო უწყება. ოფიციალური მოსკოვი იმასაც აღნიშნავს, რომ **"აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელები ცალსახად უსვამენ ხაზს რუსული სამხედრო კონტინგენტის ყოფნის სასიცოცხლო აუცილებლობას"** და **"ამ რეგიონებიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და უბრალო მოქალაქეების მიმართვებს"**, რომლებიც, რა თქმა უნდა, კონფლიქტის ზონებში რუსი სამშვიდობოების შენარჩუნებას მოითხოვენ.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს და კიდევ რამდენიმე ქვეყანას - მათ შორის ტაჯიკეთს, სომალის, ლიბერიას და ნიგერს, გაერო-ს წინაშე არსებული ფინანსური დავალიანების გამო ხმის უფლება შეჩერებული აქვთ.

საქართველოს საგარეო უწყების განმარტებით, გაერო-სთან მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა ამ ორგანიზაციის მიმართ არსებული დავალიანების რესტრუქტურიზაციის სქემა და დაფარვის გრაფიკი, რომელიც გათვლილია 2013 წლამდე. დავალიანების დაფარვის მიზნით მხოლოდ 2004-2006 წლებში საქართველომ გაერო-ს ბიუჯეტში გადაიხადა 2 მილიონ 400 ათასი დოლარი. დარჩენილი დავალიანების საერთო ოდენობა შეადგენს 4 მილიონ 800 ათას დოლარს.

გაერო-ს წესდების მე-19 მუხლის თანახმად, სახელმწიფო კარგავს გენერალურ ასამბლეაზე ხმის უფლებას, თუ გაერო-ს ბიუჯეტისადმი დავალიანება აღემატება შესაბამისი სახელმწიფოს 2 წლის გადასახადის ოდენობას.

გაერო-ს მიმართ არსებული დავალიანების გადახდამდე საქართველოს ყოველ წელს, ივლისიდან ოქტომბრამდე, შეეზღუდება ხმის უფლება. ოქტომბრის დასაწყისში ხმის უფლების აღდგენა ხდება ავტომატურად.

აშშ-სა და სხვა ქვეყნების მხარდაჭერით, საქართველოს, ასევე უკრაინის, აზერბაიჯანის და მოლდოვას შეთანხმებული მოქმედების შედეგად რუსეთის დამარცხება გაერო-ში, მის ტრადიციულ "სათამაშო მოედანზე", პირველად მოხერხდა. მართალია, რუსეთი გაერო-ს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლებით სარგებლობს და ასამბლეის ნებისმიერი რეზოლუციის დაბლოკვა შეუძლია, მაგრამ თავად დებატები ამ თემაზე რუსეთისათვის მეტად მტკივნეული იქნება.

# იანუკოვიჩი - "ნარინჯისფერი" იდეების მესაფლავე

პირველი გვერდიდან

**"თავხედური გადაწყვეტილება,"** - ასე უწოდეს "ნაშა უკრაინას" წევრებმა იანუკოვიჩის განცხადებას ნატო-სთან დაკავშირებით.

უკრაინული პრესა კი იანუკოვიჩს იუშენკოს იდეების მესაფლავეს უწოდებს.

უკრაინის პრეზიდენტს ნატო-სთან დაკავშირებით აშკარად სხვა გეგმები ჰქონდა.

იუშენკომ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიუხედავად საზოგადოებაში არსებული გარკვეული წინააღმდეგობისა, უკრაინა ნატო-სკენ და ევროპისკენ ინტეგრაციის კურსს განუხრელად გააგრძელებს.

იუშენკო იანუკოვიჩის გაპრემიერებასაც მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა, რაც ამ უკანასკნელმა ხელი მოაწერა მემორანდუმს, სადაც უკრაინის ევროატლანტიკური კურსის უცვლელად შენარჩუნებაზეა საუბარი.

იულია ტიმოშენკო და მისი ბლოკი, რომლებიც უკრაინის საპარლამენტო კოალიციის მიღმა დარჩნენ, მოვლენების ამგვარად განვითარებაში მხოლოდ პრეზიდენტ იუშენკოს ადანაშაულებენ.

**"იანუკოვიჩის სიტყვების გამო იუშენკომ უნდა აგოს პასუხი. ქვეყნის პრეზიდენტი ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე მოეკიდა მემორანდუმზე ხელმოწერის ფაქტს. იუშენკოს უნდა სცოდნოდა, რომ პრემიერ-მინისტრის სავარძლის გამო იანუკოვიჩი არა თუ ნატო-ს წევრობას, არამედ რაღაც კოსმოსურ ჯარებში გაწევრიანებასაც მოაწერდა ხელს,"** - აცხადებს ტიმოშენკოს ბლოკის წევრი ალექსანდრ ტურჩინოვი.

გერმანელი ექსპერტი უკრაინის საკითხებში რაინერ ლინდნერი მიიჩნევს, რომ უკრაინაში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენების ფონზე "გასაკვირი არაფერია".

**"ვაშინგტონში, ისევე როგორც ნატოს შტაბ-ბინაში, დიდი იმედგაცრუებაა უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ნატო-ში უკრაინის სწრაფი გაწევრიანების მომხრეები ხმას ველარ იღებენ. ნატო-ს სამიტი რიგაში ნოემბრის ბოლოს უკრაინის გარეშე ჩაივლის,"** - აღნიშნავს იგი.

ლინდნერი დარწმუნებულია, რომ უკრაინაში დღეს უკვე დაიწყო სამზადისი 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის და ამდენად, მისი თქმით, იუშენკო და იანუკოვიჩი მუდმივად შეეცდებიან ერთმანეთის იდეების დასამარებას.

ამასთან, გერმანელი ექსპერტი აცხადებს, რომ უკრაინას მოუწევს ევროპასთან მიმართებაში თანმიმდევრული პოზიციის შემუშავება. **"იმ პოლიფონიურ ხმოვანებას, რომელიც უკრაინის საგარეო პოლიტიკაში კუჩმას დროიდან ისმის, ევროპა აღარ მოითმენს. უკრაინელი პოლიტიკოსები ვეღარ შეძლებენ მოსკოვში ერთის თქმას, ბრიუსელში კი სხვა რამის,"** - მიიჩნევს ლინდნერი.

ბრიუსელში ვიზიტის დროს იანუკოვიჩი ევროკომისიის საგარეო ურთიერთობებისა და სამეზობლო პოლიტიკის კომისარს ბენიტა ფერერო-ვალდნერსაც შეხვდა. ევროკავშირზე უარი იანუკოვიჩს არ უთქვამს, თუმცა უკრაინას იქ არცთუ ისე ელიან. ფერერო-ვალდნერმა უკრაინის პრემიერ-მინისტრს კიდევ ერთხელ შეახსენა ბრიუსელის ოფიციალური პოზიცია - ევროკავშირში უკრაინის პოტენციური წევრობის საკითხი დღის წესრიგში არ დგას.

ამასთან ფერერო-ვალდნერმა იმედი გამოთქვა, რომ უკრაინა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას წლის ბოლომდე შეუერთდება, რაც საშუალებას მისცემს ამ ქვეყანას მოლაპარაკებები დაიწყოს უკრაინისა და ევროკავშირის გაფართოებულ თანამშრომლობაზე უკვე 2007 წლის დასაწყისიდან.

ბრიუსელში უკრაინულმა დელეგაციამ ასევე ხელი მოაწერა შეთანხმებას ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

ამ დოკუმენტის თანახმად, ევროპის ფინანსური მხარდაჭერით უკრაინის საზღვრებთან გაზისა და ნავთობის მრიცხველებს დააყენებენ, რაც უკრაინიდან ევროპისკენ გადაცემული ენერგომატარებლების ზუსტად აღრიცხვის საშუალებას იძლევა. მხარეები იმედოვნებენ, რომ ეს ღონისძიება ენერგოგადაცემის პროცესს უფრო გამჭვირვალესა და საიმედოს გახდის.

# საქართველო-უკრაინა: საერთო წარსული, საერთო მომავალი

პირველი გვერდიდან

**"ნატო-ში შესვლა მაინც რეალობაა და ქვეყანას მტკიცე ჭერი რომ ჰქონდეს, ამ ორგანიზაციის წევრობა აუცილებელია",** - სიძნელეების მიუხედავად, უკრაინელი კანონმდებლები არჩეული კურსიდან გადახვევას არ აპირებენ. ივან ბოკი იმასაც დაბეჯითებით აცხადებს, რომ ბოლო დროს ქვეყნის შიგნით მომხდარ სერიოზულ ცვლილებებსა და საკადრო გადაადგილებებს უკრაინის საგარეო პოლიტიკურ კურსზე არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

არადა, უკრაინაში დღეს არსებული პოლიტიკური სიტუაცია რომ რთულია, ხოლო ამ ქვეყნის პარტიული სპექტრი - საკმაოდ ჭრელი, გაერთიანებული სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზეც ნათლად გამოჩნდა: უკრაინულ დელეგაციაში შემავალმა სხვადასხვა ფრაქციების წარმომადგენლებმა ერთმანეთთან დისკუსია გამართეს, - სოციალისტი ივან ბოკი ეკონომიკის სოციალიზაციის სიკეთეზე საუბრობდა, "ნაშა უკრაინას" წევრი ვლადიმერ ლანოვოი ლიბერალურ ღირებულებებს აქებდა, ნატალია პროკოპოვიჩი კორუფციასთან ბრძოლის ტემპის დაცემაზე წუხდა, ხოლო ივან კირილენკო ქართველ ჟურნალისტებს უმტკიცებდა, რომ ქვეყანა სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ და ორ წელიწადში უკრაინას ველარავინ იცნობს...

**"როგორც ადამიანს სჭირდება მარჯვენა ხელი ან ფეხი, ასევე პოლიტიკაშიც საჭიროა მემარჯვენეებისა და მემარცხენეების ჰარმონიული თანაარსებობა",** - უცხო ხალხის წინაშე გაჩაღებული პოლემიკისთვის წერტილის დასმას შეეცადა ივან ბოკი, მაგრამ ცდუნებისგან თავი მანაც ვერ შეიკავა და დელეგაციის ერთ-ერთ წევრს, რომელიც იულია ტიმოშენკოს თანაგუნდელია, "ვითომ ოპოზიციონერი" უწოდა.

თუმცა, საქართველოში მიმდინარე პროცესებისა და საქართველო-უკრაინის თანამშრომლობის პერსპექტივების შეფასებისას, დელეგაციის ყველა წევრი ერთსულოვანი იყო.

**"საქართველოს წინსვლა, ინსტიტუციონალური თვალსაზრისით, მეტად საგრძნობია. თქვენთან მანქანებიც კი ევროპული ნომრებით დადიან, ხოლო ჩვენთან - რაღაც გაურკვეველი სანომრე ნიშნებით",** - აღნიშნავს ვლადიმერ ლანოვოი.



ქართულ-ურაინული სხდომა - უპრეცედენტო მოვლენა პარლამენტში.

პრესკონფერენციის დროს უკრაინელ დეპუტატებს არც ქართული ხაჭაპურის შექება დაზარებიათ და არც უკრაინაში მოღვაწე ქართველების გახსენება. დითირამბები ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემაც დაიმსახურა.

"დავით ბაქრაძის სახელი და გვარი უკრაინაში ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ძალიან დიდი პოპულარულობით სარგებლობდა, რადგან მისი მატარებელი პიროვნება ცნობილი კოვპაკელი და საბჭოთა კავშირის გმირი იყო. თავად მე პოლტავიდან ვარ, სადაც დიდი ქართველი დავით გურამიშვილი განისვენებს", - საერთო "ნაცნობების" ჩამოთვლამ ივან ბოკი ძალიან შორს წაიყვანა.

რაც შეეხება თავად ერთობლივ სხდომას, დავით ბაქრაძის თქმით, მისი მთავარი შედეგი ის იყო, რომ ორი ქვეყნის პარლამენტარებს შორის მოხდა ინფორმაციების დეტალური გაცვლა და დაიწყო მუშაობა ერთობლივი პროექტებისა და მიდგომების შესამუშავებლად. ამ ნაბიჯებს ბაქრაძე დადებითად აფასებს, რადგან, მისივე განცხადებით, რეგიონულ თანამშრომლობას ევროკავშირსა და ნატო-შიც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

უკრაინის ვერხოვნა რადას და საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტების ერთობლივი სხდომა ნინო ბურჯანაძემ გახსნა, რომლის განცხადებითაც, ნოემბრის ბოლოს საქართველოს პარლამენტში იუშჩენკოს და სააკაშვილის ინიციატივით დაწყებული "დემოკრატიული არჩევანის" ფარგლებში მორიგი შეხვედრები გაიმართება.

# წინასაარჩევნო ორომტრიალი

## "ახალგაზრდა იურისტები" ცესკო-ს წინააღმდეგ

*ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ექვსივე საარჩევნო სუბიექტის მიერ წარმოდგენილი პარტიული, მაჟორიტარებისა და სარეზერვო კანდიდატთა სიები რეგისტრაციაში გაატარა. ადგილობრივი ორგანიზაციების გარდა, არჩევნებს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაცია დააკვირდება. მათ შორის არიან აშშ-ს "საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი", აშშ-ს საერთაშორისო საქმეთა "ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი", ეუთო-ს შეზღუდული საარჩევნო სამეთვალყურეო მისია და ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი.*

ნათია მსხილაძე

ცენტრალური საარჩევნო კომისიის განმარტებით, პარტიის რომელიმე წევრის მიერ დაშვებული შეცდომის გამო, არ არის აუცილებელი რეგისტრაციიდან საარჩევნო სუბიექტის მთლიანად მოხსნა. ამასთან დაკავშირებით, ცესკო-მ დადგენილების ის ნაწილი გააუქმა, რომლის მიხედვით, რეგისტრაციაში არ უნდა გატარებულიყო ის პარტია, რომლის სიაში შეცდომების აღმოჩენის შემდეგ, ათ პირზე ნაკლები დარჩებოდა.

გუშინ ცესკო-ში გამართულ სხდომას, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" თავმჯდომარე ანა დოლიძეც ესწრებოდა, რომელმაც ჩალაგაშვილს განმარტება მოსთხოვა იმის შესახებ, თუ რატომ დართო ნება გიგი უგულავას არჩევნებში მონაწილეობა მხოლოდ პარტიული სიით მიეღო და დარღვევების მიუხედავად, რატომ გაატარა რეგისტრაციაში "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" ბლოკი. ჩალაგაშვილის განცხადებით, 9 სექტემბერს მიღებული დადგენილებით, კანონში ხარვეზი აღმოიფხვრა და გიგი უგულავას არჩევნებში სიით მონაწილეობის ნება ავტომატურად მიეცა. ცესკო-ს თავჯდომარემ დოლიძეს სასამართლოსკენ მიუთითა.

როგორც ანა დოლიძემ გაზეთ "24 საათთან" საუბრისას აღნიშნა, იგი მართლაც აპირებს სასამართლოს მიმართოს; ჩალაგაშვილს კი ურჩევს, რომ იხელმძღვანელოს კანონით და არა პოლიტიკური მოსაზრებებით.

ანა დოლიძის თქმით, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" მკაცრად დააკვირდება საჯარო მოხელეების სააგიტაციო კამპანიას და კანონდარღვევის ყველა შემთხვევის შესახებ საზოგადოებას ინფორმაციას მიაწვდის. **"მაგალითად მოვიყვან თბილისის მერის გიგი უგულავას სატელევიზიო გამოსვლას აგვისტოს ბოლოს. თემქის დასახლებაში 800-მეტრიანი საკანალიზაციო მილის გახსნაზე გიგი უგულავამ საჯაროდ განაცხადა: "ამ საქმეს თუ გნებავთ წინასაარჩევნო კამპანია უწოდეთ, თუ გნებავთ, ჩემი გულისხმიერება. პირობას გაძლევთ, რომ თუ მომავალში ჩემი პოსტი შევინარჩუნე, თემქელებს სულ ახალი გაყვანილობა გექნებათ". შეგახსენებთ, რომ მილი ქალაქის მერიის სახსრებით გამოიცვალა და ამ შემთხვევაში ქალაქის მერი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა. საარჩევნო კოდექსის 76-ე მუხლის მიხედვით წინასაარჩევნო აგიტაციის უფლება საჯარო მოხელეს მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისგან თავისუფალ დროს აქვს. ასე რომ, გიგი უგულავას მოცემულ მომენტში უფლება არ ჰქონდა, ეწარმოებინა წინასაარჩევნო აგიტაცია,"** - აღნიშნა ანა დოლიძემ.

ყველაფერთან ერთად, "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ყველა პოლიტიკური პარტიის ფინანსურ მონიტორინგს ახორციელებს და უახლოეს ხანში წარადგენს ანგარიშს, თუ როგორ იხარჯება წინასაარჩევნოდ გამოყოფილი თანხები.

# პალესტინა მზად არის დასავლეთთან თანამშრომლობისთვის

თეა მაისურაძე

დასავლეთი "ჰამას"-ის მთავრობის გადადგომას პოზიტიურად აფასებს და პალესტინას მოლაპარაკებებისაკენ მოუწოდებს.

შეგახსენებთ, რომ 13 სექტემბერს, "ჰამას"-ის მინისტრთა კაბინეტმა ოფიციალურად განაცხადა ახალი ხელისუფლების ჩამოყალიბების შესახებ, რაც ნაციონალური ერთიანობის მიღწევას ემსახურება. ამ მოძრაობის ერთ-ერთი წარმომადგენლის, ღაზი ჰამადის განცხადებით, მინისტრთა კაბინეტის წევრებმა თავიანთი პორტფელები მოქმედ პრემიერ-მინისტრს ისმაილ ჰანიას გადასცეს, რომელიც მალე მთავრობას ახალი შემადგენლობით დააკომპლექტებს. კოალიციის შექმნის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ორშაბათს, თუმცა ამის შესახებ მოლაპარაკებები თვეების განმავლობაში გრძელდებოდა.

გუშინ აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ოფიციალური განცხადება გააკეთა პალესტინა-ისრაელის დაძაბულ ურთიერთობებთან დაკავშირებით. მისი თქმით, პალესტინამ უნდა აღიაროს ისრაელის სახელმწიფო სტატუსი და მასთან მოლაპარაკებების პროცესი დაიწყოს, რაც ახლო აღმოსავლეთის სტაბილურობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. კონდოლიზა რაისმა "ჰამას"-სა და პალესტინის პრეზიდენტს შორის მიღწეულ შეთანხმებასაც გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ "ჰამას"-ის გადადგომა მეტად პოზიტიური ნაბიჯია.

პალესტინელები მიიჩნევენ, რომ გაერთიანების შემთხვევაში საერთაშორისო დონორები ბოიკოტს შეწყვეტენ და პალესტინას კვლავ მიეცემა უცხოური დახმარების მიღებისა და სახელმწიფოებრივი განვითარების შანსი.

შეგახსენებთ, რომ დასავლეთმა იანვარში მიიღო გადაწყვეტილება პალესტინისათვის დახმარების შეწყვეტის თაობაზე, რაც ხელისუფლებაში "ჰამას"-ის პარტიის მოსვლას უკავშირდება.

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი აცხადებს, რომ პალესტინამ თავდაპირველად უნდა შეასრულოს ე.წ. კვარტეტის (აშშ, რუსეთი, ევროკავშირი და გაერო) მოთხოვნა: **"ჩვენ გვჯერა, რომ კვარტეტის პრინციპები ისრაელისა და პალესტინის მხარეებს შორის საერთაშორისო საზოგადოების კონსენსუსს გამოხატავს"**.

აშშ, რუსეთი, ევროკავშირი და გაერო პალესტინის მიერ ისრაელის აღიარებას მოითხოვენ. რაც შეეხება ჰამასის დაჯგუფების ტრადიციულ სიძულვილს ისრაელის მიმართ, ამასთან დაკავშირებით კონდოლიზა რაისი აცხადებს, რომ ძალიან რთულია მშვიდობის მიღწევის მიზნით ითანამშრომლო ისეთ პატნიორთან, რომლის სახელმწიფო სტატუსს არც კი აღიარებ.

სამშაბათს ისრაელის სახელმწიფო წარმომადგენლებმა პოზიტიური განცხადებები გააკეთეს პალესტინის ერთიან სახელმწიფოსთან დაკავშირებით, თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ პალესტინის ნებისმიერი ახალი ხელმძღვანელობა დასავლეთის შემოთავაზებებს უნდა დაეთანხმდეს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენების ფონზე ძალზედ აქტუალურად დადგა ისრაელსა და პალესტიანას შორის ურთიერთობების დათბობის საკითხი. დასავლეთი მხარეებს შორის არსებულ კონფლიქტში აქტიურად ჩაერთო. გამომდინარე იქიდან რომ აშშ და ევროკავშირი ხშირად ისრაელის პოზიციას იზიარებენ, შუა აღმოსავლეთის ქვეყნები გარკვეული სკეპტიციზმითაც კი უყურებენ მხარეებს შორის მოლაპარაკებების დაწყების პროცესს და მიიჩნევენ, რომ იმ შემთხვევაში თუ პალესტინა "კვარტეტის" შემოთავაზებებს და მის პრინციპებს დათანხმდება, ეს ფაქტიურად იქნება შუა აღმოსავლეთში წესრიგის დამყარება ისრაელისა და აშშ-ს ინტერესების მიხედვით.

# ავღანური ჩიხი

## ნატო-ს წევრებს გადაწყვეტილების მიღება უჭირთ

*ავღანეთში კოალიციური ჯარების სრული რიცხვია - 18 500, მონაწილე ქვეყნების რაოდენობა - 37. სტატისტიკურად კი ავღანეთში დისლოცირებული უცხოელი სამხედროების რიცხვი ასე გამოიყურება: დიდი ბრიტანეთი - დაახლოებით 6000, გერმანია - 2000-ზე მეტი, კანადა - 3000-მდე, ჰოლანდია - 2100, ამერიკა - 2000, იტალია - დაახლოებით 1000, საფრანგეთი - 1000 და ა.შ.*

ხათუნა გაბიევი

ნატო-ს ქვეყნებმა არ მიიღეს გადაწყვეტილება ავღანეთში ახალი ქვედანაყოფების გაგზავნის თაობაზე, რასაც საერთაშორისო ძალების მეთაურები მოითხოვდნენ.

ბელგიაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრების შეხვედრაზე ავღანეთში 2 500-ზე მეტი ჯარისკაცის გაგზავნის საკითხი განიხილებოდა. უკანასკნელ ხანს რადიკალურ-ისლამისტური მოძრაობის "თალიბების" მომხრეები საგრძნობლად გააქტიურდნენ და ამიტომ საერთაშორისო ძალებს ნატო-ს მეთაურობით სულ უფრო ხშირად უხდებათ მათთან ბრძოლა. გარდა ამისა, ქვეყანაში გახშირებულია კამიკაძეთა მიერ ორგანიზებული თავდასხმები. **"მიუხედავად ამისა, შეხვედრაზე ალიანსის წევრებს ოფიციალური შეთავაზება ჯარების შეყვანის თაობაზე არ გამოუთქვამთ,"** - განაცხადა ნატო-ს წარმომადგენელმა ჯეიმს აპატუარიმ. თუმცა, მისივე თქმით, ნატო-ს ზოგიერთ წევრს დამოუკიდებლად შეუძლია ამ საკითხის გადაჭრა, რაც მან დადებითად შეაფასა. ახლა უკვე აპატუარის განცხადებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ 2500 ჯარისკაცის შეყვანის საკითხი, შესაძლოა, სლოვენიაში 28-29 სექტემბერს დაგეგმილ შეხვედრაზე გადაწყდეს.

**"ნატო-მ უნდა გააძლიეროს ავღანეთში თავისი მოქმედება. იქ დისლოცირებულ ჯარებს დახმარება და დამატებითი რესურსები სჭირდებათ,"** - აღნიშნა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კიმ ჰაუელსმა ლორდთა პალატაში სიტყვით გამოსვლისას.

დიდი ბრიტანეთის ოფიციალური პირის განწყობას აშშ-ს სახელმწიფო მდივანიც იზიარებს. კონდოლიზა რაისმა კიდევ ერთხელ მოუწოდა მოკავშირეებს ავღანეთში დახმარებისაკენ, რადგან ეს ქვეყანა უკვე საბოლოოდ განადგურების პირას დგას.

ამჟამად ავღანეთში 18 500 უცხოელი ჯარისკაცია დისლოცირებული, რომელთა უმეტესი ნაწილი ნატო-ს წევრი ქვეყნების მოქალაქეა. ბევრ ქვეყანას არც სურს ავღანეთში, განსაკუთრებით კი მის ყველაზე საშიშ რეგიონში - სამხრეთ ნაწილში ჯარისკაცების გაგზავნა. ავღანეთის სამხრეთ ნაწილში, ძირითადად, კანადური და ბრიტანული საჯარისო ნაწილები მოქმედებენ, რომელთაც ზურგს აშშ-ს სპეცრაზმი და ავიაცია უმაგრებს. არავინ ელის, რომ გერმანია, იტალია, ესპანეთი და თურქეთი გააგრძელებენ ავღანეთში თავისი კონტინგენტის რაოდენობის გაზრდას. შესაძლოა, საფრანგეთი დათანხმდეს დამატებითი შეიარაღებული ძალების გაგზავნას, მაგრამ ოფიციალური პარიზი მსოფლიოს ლიბანში საკუთარ ვალდებულებებს აუცილებლად შეახსენებს.



გილმენდის, ყანდაარისა და ურუზგანის პროვინციებში თალიბების წინააღმდეგ ოპერაციისთვის ნატო-ს ძალების სარდალს დამატებით დაახლოებით 1 000 კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცი სჭირდება.

ამერიკა, დიდი ბრიტანეთი, კანადა და ჰოლანდია თავიანთი მოქმედებით ცდილობენ აჩვენონ მსოფლიოს, რომ 2001 წლის სექტემბრის მოვლენების მსგავსი ბერკეტი ხელთ განმეორებით აღარასოდეს არ უნდა ჩაუვარდეს "ალ-ქაიდა"-სა და მის მომხრეებს.

ავღანეთში თალიბების რეჟიმის წინააღმდეგ ხუთი წლის წინ დაწყებული სამხედრო კამპანია წარმატებით დასრულდა, მაგრამ შემდგომ ერაყში სამხედრო მოქმედებების დაწყებისთანავე ქაბული რატომღაც ყველამ მიივიწყა, რაც დღეს, საერთაშორისო თანამეგობრობას შესაძლოა, ცუდად დაუბრუნდეს.

როგორც პაკისტანის პრეზიდენტმა ფერვეზ მუშარაფმა ბრიუსელში ევროპარლამენტის დეპუტატებთან შეხვედრაზე აღნიშნა, რეგიონისთვის დღეს უფრო დიდ საფრთხეს თალიბები წარმოადგენენ, ვიდრე უსამა ბინ ლადენის ტერორისტული ქსელი. მისი თქმით, ამ მოძრაობის აღორძინება გაცილებით უფრო სახიფათოა, რადგან "ალ-ქაიდა"-სგან განსხვავებით, მას უფრო ღრმა ფესვები აქვს ავღანეთში.

ნატო-ს მონაცემებით, მიმდინარე წლის განმავლობაში ავღანეთში კამიკაძეების მიერ განხორციელებული 150-ზე მეტი აფეთქება მოხდა, რასაც 173 ადამიანი ემსხვერპლა, უმეტესად მშვიდობიანი მოქალაქეები.

# მაგათე აშშ-ს წარმომადგენელთა პალატას აკრიტიკებს

როგორც ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს საგარეო ურთიერთობათა და პოლიტიკის სამსახურის ხელმძღვანელის ვილმოს ჩერვენის მიერ აშშ-ის კონგრესისთვის გაგზავნილ წერილშია ნათქვამი, ანგარიშში "შეცდომაში შემყვანი ზოგიერთი არასწორი და დაუდასტურებელი ინფორმაციაა მოტანილი".

მაგათე უკმაყოფილებას გამოთქვამს იმ ფაქტის გამო, რომ ანგარიშში ნათქვამია, თითქოს ირანში არსებობს მდიდარი ურანი, რომელიც ბირთვული იარაღის შესაქმნელად შეიძლება იყოს გამოყენებული.

თავად მაგათე-ს მონაცემებით, ირანში ხდება ურანის მხოლოდ 3,6%-ის გამდიდრება, რაც ბირთვული იარაღის საწარმოებლად საკმარისი არ არის.

კიდევ ერთი "არაკორექტული" ფაქტი, რომელზეც სააგენტო მიუთითებს, არის თეირანის გაკრიტიკების გამო, მაგათე-ს მიერ ერთ-ერთი ინსპექტორის უკან გამოწვევა. მაგათე-ს წერილში ნათქვამია, რომ რეალურად, ირანს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ინსპექტორთა დანიშვნაში და მაგათე-მ ირანის სურვილი უნდა გაითვალისწინოს. "თეირანმა თანხმობა მხოლოდ 200-ზე მეტი ინსპექტორის დანიშვნაზე განაცხადა",- აღნიშნულია წერილში. აშშ-ის წარმომადგენელთა კონგრესმა ანგარიში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს მიმდინარე წლის 23 აგვისტოს წარუდგინა. **ინტერპრესნიუსი**



# აფიშა

**15 სექტემბერი**

კინო

**"ამირანი"**
**დიდი დარბაზი**
"სუპერმენი". დასაწყისი: 13.00;16.00

"მაიამის პოლიცია"
დასაწყისი: 19.00; 22.00

**მცირე დარბაზი**
"სახლი ტბის პირას"
დასაწყისი: 18.00;20.00;22.00

გალერეა

**"ქარვასლა"**
შალომ კობოშვილის პერსონალური გამოფენა
ფერწერა და გრაფიკა

**"კოპალა"**
თანამედროვე ქართველი მხატვრების
შერეული გამოფენა

**"ჰობი"**
"როდესაც ჩემს თავს ვუყურებ"
ირინა გაბუნიას პერსონალური გამოფენა

# ეროვნული დრამატურგიის პირველი ფესტივალი

თამთა სამსონაძე

მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის თაოსნობით 29 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე ქალაქ ახალციხეში ჩატარდება ეროვნული დრამატურგიის პირველი ფესტივალი. ამ წამოწყების მხარდამჭერნი და ორგანიზატორნი არიან სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაცია, მასპინძელი ქალაქის გამგეობა, პრეზიდენტთან არსებული კულტურის საბჭო და ქართული თეატრის გილდია. ფესტივალი გაიხსნება თუმანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წარმოდგენით, დასკვნით დღეს კი მაყურებელი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სპექტაკლს იხილავს.

საფესტივალო ათი დღის განმავლობაში კლასიკური რეპერტუარიდან წარმოადგენენ დავით კლდიაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ავქსენტი ცაგარელის, მიხეილ ჯავახიშვილის და ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებს.

სოხუმისა და მესხეთის თეატრები მაყურებელს თანამედროვე ავტორების პიესების მიხედვით შექმნილ სპექტაკლებს შესთავაზებენ: სოხუმელები - გურამ ოდიშარიას "ზღვა, რომელიც შორია" (რეჟისორი თემურ ჩხეიძე), ახალციხელები - ირაკლი სამსონაძის "ვანილის მოტკბო, სევდიანი სურნელი" (რეჟისორი გიორგი შალუტაშვილი).

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ გრიბოედოვისა და პეტროს ადამიანის სახელობის თეატრები. ელიან სტუმრებს ბათუმიდან და ქუთაისიდან. ზემოთ ჩამოთვლილი თეატრების გარდა, ახალციხელებს საშუალება ექნებათ დაესწრონ თავისუფალი თეატრისა და "გლობუსის" მიერ დადგმულ წარმოდგენებს.

ორგანიზატორები გეგმავენ ყოველწლიურად ჩაატარონ ეროვნული დრამატურგიის ფესტივალი, სამომავლოდ უფრო მეტ თეატრს უმასპინძლონ, დააწესონ გრან პრი და ფულადი პრემიები, რაც, ბუნებრივია, ხელს შეუწყობს ლიტერატურის ამ ჟანრის განვითარებას, თეატრებს კი მეტ ინტერესს გაუჩენს ეროვნული დრამატურგიის მიმართ.

---

მეუღლე ნატალია, შვილები - თემურ, თამრიკო; შვილიშვილები - ნატალია, ქეთი, ანდრო, ოთო, რძალი ოლია; ბიძაშვილები - ირინე, ზურაბ და ვახტანგ აბაშიძეები; მამიდაშვილები: ბესო, ნუგეშა ჩიგოგიძეები; დეიდაშვილი მარინა კალფა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გიორგი (გია) ანდროს ძე აბაშიძე.**

პანაშვიდი 15-16 სექტემბერს 17 საათზე.
გასვენება 17 სექტემბერს 15 საათზე.
მისამართი: ნუცუბიძის პლატო მე-5 მიკრორაიონი, 1-ლი კორპუსი, 1-ლი სადარბაზო ბინა №10

---

# რუსთავის თეატრალური მომავალი

მზევინარ ხუციშვილი

იქ, სადაც ყოველდღე არ დადიხარ, გგონია, რომ ან ყველაფერი კარგად არის ან არაფერი არ კეთდება. ხშირ შემთხვევაში მეორე ვარიანტს ვაწყდებით, თუმცა ამჯერად ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ამავდროულად ვფიქრობ, რომ გასაოცარიც არაფერია, რადგან ჩვენ მუდამ გვეუბნებოდნენ - რუსთავი მეტალურგების ან მუშათა ქალაქია. უნდა ვაღიარო, რომ ისევე, როგორც ყველგან, კულტურული ცხოვრება ამ ქალაქშიც მეტ-ნაკლებად ჩვეული რიტმით მიმდინარეობს. ვინც ქალაქის ცხოვრებით სულ ცოტათი მაინ დაინტერესებულა, მისთვის უცხო არ არის, რომ ჯერ კიდევ 1967 წელს ჩამოყალიბდა რუსთავში თეატრალური დასი. 1968 წელს კი იგი ოფიციალურად გაიხსნა, ბატონ გიგა ლორთქიფანიძის და მარჯანიშვილის თეატრის, ამჟამად უკვე კარგად ცნობილი და დიდი მსახიობების მეშვეობით. ალბათ ხაზგასასმელია სწორედ ის ფაქტი, რომ დღესდღეობით ჩვენთვის კარგად ცნობილმა მსახიობებმა სცენაზე მოღვაწობა რუსთავის თეატრიდან დაიწყეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდები იყვნენ.

მას შემდეგ თეატრი ძალიან აქტიურ და წარმატებულ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა. დღეს თეატრში სიამაყით იხსენებენ, რომ პრემიერების დროს დარბაზს მხოლოდ თბილისელი მაყურებელი სამი, ოთხი დღის განმავლობაში იკავებდა. ამასთან იყო გასტროლები და მიწვევები საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, სადაც მაღალი შეფასება და აღფრთოვანებული მაყურებელი ხვდებოდათ. თუმცა დრო გავიდა და დასი შეიცვალა. ბევრი მსახიობი მარჯანიშვილის თეატრში დაბრუნდა. ხელმძღვანელობა შეიცვალა, მაგრამ ეს ფაქტი არ ყოფილა თეატრისთვის გადამწყვეტი. დასი ისევ შეივსო და თეატრს ყოველთვის საპატიო ადგილი ეკავა წამყვან თეატრებს შორის. თუმცა ისევე როგორც ყველგან, თეატრსაც ჰქონდა ჩავარდნის პერიოდი, თითქმის ორი წლის განმავლობაში მუშაობა შეჩერდა. შემდგომში ჩვენთვის კარგად ცნობილი "ვარდების რევოლუციაც" განხორციელდა და ისევე, როგორც მთელს ქვეყანაში, რეორგანიზაცია თეატრშიც გატარდა. თეატრის ხელმძღვანელის ქალბატონი ლალი თაბაგარის თქმით, რომელთანაც ჩვენი საუბარი შედგა, - "თეატრში ყველა თავისი მოღვაწეობით და დამსახურებით მოვიდა".



თავად ქალბატონი ლალი თაბაგარი პროფესიით ეკონომისტი და ამავე დროს რეჟისორია. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რუსთავის სახელმწიფო საბავშვო თეატრს. რეორგანიზაციის დროს საბავშვო თეატრი დრამატული თეატრის შენობაში გადავიდა და მას რუსთავის მუნიციპალური თეატრი ეწოდა. წელიწადნახევარია ქალბატონი ლალი ამ ორი თეატრის გენერალური დირექტორია. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც ქალბატონ ლალის დახვდა, თეატრის შენობა იყო.

**"სამწუხარო იყო ის ფაქტი, რომ შენობა თეატრს არ ეკუთვნოდა. მიუხედავად იმისა, რომ თეატრი დაარსების დღიდან ამ შენობაშია, იგი მაინც მეტალურგებს ეკუთვნოდათ. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ თეატრს დიდ ყურადღებას აქცევდნენ ისევე, როგორც გადასახადების, ასევე სხვა პრობლემების მხრივაც. მას შემდეგ კი, რაც მეტალურგია გაჩერდა, უკვე თეატრსაც პრობლემები შეექმნა. მეტალურგთა კულტურის სასახლე მთლიანად შენობის მეპატრონე გახდა და ძალიან გაურკვეველი სიტუაციები შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ თეატრს მაინც არავინ ეხებოდა და დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ, იურიდიულ პრობლემებს თავი ვერ ავარიდეთ. ამჟამად მეტალურგიამ შენობა დათმო. ქალაქის ხელმძღვანელობის დიდი ძალისხმევის შემდეგ ეკონომიკის სამინისტრომ იგი ქალაქს გადასცა. ქალაქის ხელმძღვანელობამ კი ჩვენ."**

ქალბატონი ლალი თეატრში მაშინ მოვიდა, როცა ორი, სამი სეზონი მუშაობა შეჩერებული იყო. **"რთულია, როცა ორი, სამი წელი თეატრი არ მუშაობს და გაჩერებულია. მისი თავიდან ჩვეულ რეჟიმში ჩაყენება, რეპერტუარის შექმნა, ერთ და ორ დღეში არ კეთდება. სპექტაკლებზე მუშაობა ჯერ კიდევ ძველი ხელმღვანელობის დროს მიმდინარეობდა. ორი რეჟისორი მუშაობდა, სპექტაკლები უკვე განაწილებული იყო, თუმცა სპექტაკლის პრემიერები არ იმართებოდა. სწორედ მაშინ მოხდა ცვლილებები. ვერ ვიტყვი, რომ საქმის კურსში არ ვიყავი; შეთანხმებები უკვე გვქონდა. რაც შეეხება ორი თეატრის გაერთიანებას, ვფიქრობ, საკმაოდ კარგი ფორმა შემუშავდა იმ მხრივ, რომ გაერთიანება დღევანდელ პოლიტიკას კარგად ესადაგება და რაც მთავარია, ეს უმტკივნეულოდ მოხდა. ვფიქრობ თეატრი კარგი ფორმით იწყებს განახლებას და მუშაობს. ის, რომ ორი თეატრი ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ მოექცა, ხელსაყრელიც არის, რადგან საბავშვო თეატრში ინფასტრუქტურა ძალიან გვიჭირდა. მართალია, ეს პრობლემა მთლიანად არც დრამატულ თეატრში არ არის გამართული, მაგრამ ერთმანეთის დახმარებით და ჩანაცვლებით ნელ-ნელა მოწესრიგდება. მატერილურადაც შედარებით ადვილად ხორციელდება ყველაფერი. ამასთან დასი ერთია. საბავშვო თეატრში ხშირად იყო შემთხვევები, როცა კოსტიუმები და დეკორაციები თბილისიდან მოგვქონდა, ხშირად მსახიობებსაც ვიწვევდით. პროფესიონალების ჯგუფის ჩამოყალიბება კი გაგვიადვილებს მდგომარეობას. ამასთან მსახიობებსაც შედარებით ნორმალური ექნებათ ანაზღაურება და ამით შრომაც დაუფასდებათ. თანაც უნდა ვაღიარო, რომ ამჟამად თეატრში 42 მსახიობი მუშაობს. ვფიქრობ ამ შემთხვევაშიც რეორგანიზაცია განხორციელდება. ამასთან ახალგაზრდა მსახიობების პრობლემა გვაქვს, რომლებიც ძალიან გვჭირდება, რასაც ვერ ვიტყვი საშუალო თაობის მსახიობებზე."**

რუსთავის მუნიციპალური თეატრი დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს, თუმცა თეატრის ხელმძღვანელობა ცდილობს გაატაროს ისეთი სახის ღონისძიებები, რომლებიც თეატრს დამატებით შემოსავალს მოუტანს. უნდა ამუშავდეს სტუდიები და რეჟისორებმა ინდივიდუალურად იმუშაონ. თუმცა ყველაფერი ამით არ მთავრდება.

**"პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია. შენობა მთლიანად სარემონტოა. აქამდე რესტავრაცია არ კეთდებოდა, რადგან შენობა სადავო იყო. ახლა დაგვპირდნენ, რომ გააკეთებენ საფუძვლიანად. ამასთან დეკორაცია და კოსტიუმები ძალიან ძველია. მართალია ჯერ კიდევ ვიყენებთ მათ, მაგრამ ახალი სპექტაკლებისთვის ვცდილობთ ახალი შევიძინოთ. სახელმწიფოსგან ყურადღება არ გვაკლია, როგორც ქალაქის ხელმძღვანელობა, ასევე კულტურის სამინისტრო მხარში გვიდგას, მაგრამ რადგან თეატრი მუდმივი და ცოცხალი პროცესია, ყოველ წუთს მზად უნდა ვიყოთ, როგორც ქალაქისთვის, აგრეთვე მაყურებლისთვის."**

აღსანიშნავია, რომ მცირე პერიოდში თეატრმა შვიდი პრემიერა გამართა. მიუხედავად რეორგანიზაციებისა, ახალ სპექტაკლზე მუშაობა ამჯერადაც მიმდინარეობს. ეს სწორედ ის სპექტაკლია, რომელმაც კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და დაფინანსებაც მიიღო. მუშაობა საბავშვო თეატრშიც მიმდინარეობს. სწორედ ამ ორი სპექტაკლით გაიხსნება სეზონი ოქტომბერში რუსთავის მუნიციპალურ თეატრში.

# სომხური ვიდეო არტები კავკასიურ სახლში

ნინო სურამელაშვილი

ნებისმიერი, ვინც საინფორმაციო გამოშვებებს თვალყურს ადევნებს, თვლის, რომ ოფიციალურ სომხეთს გამოკვეთილი პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია აქვს. მაგრამ 13 სექტემბერს კავკასიურ სახლში იმყოფებოდა ორი ადამიანი, რომელთაც მოახერხეს, ნაწილობრივ მაინც, იქ შეკრებილი საზოგადოებისთვის დაენახებინათ, რომ სომხები და სომხეთის ხელისუფლება სხვადასხვა ცნებებია და მათი შეხედულებები სულაც არ ემთხვევა ერთმანეთს.

მაგრამ პოლიტიკა იქით იყოს. ეს ორი ადამიანი - ორი სომეხი მხატვარი - ედგარ ამროიანი და არაიკ პეტროსიანი გახლავთ. ისინი თბილისში რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდნენ და თან თავიანთი და სხვა სომეხი მხატვრების ვიდეო არტები ჩამოიტანეს. კავკასიურ სახლში ჩვენების მოწყობის იდეა ქართველ ხელოვნებათმცოდნეს ნატალია ვაწაძეს ეკუთვნოდა:

"ეს მხატვრები ამ ზაფხულს სომხეთში ყოფნისას გავიცანი. ზოგი მათგანი უკვე ათი წელია ამ ჟანრში მუშაობს. მათ საოცრად მრავალფეროვანი თემატიკა და კარგი გემოვნება აქვთ. ამ ჩვენებაზე წარმოდგენილია ცოლქმრის - დავიდ კარენიანისა და დინა აკოპიანის ნამუშევრები; ისინი ვენეციის ბიენალეზეც იყო ნაჩვენები. ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო ერევანში ასეთი მძლავრი ავანგარდული მოძრაობის არსებობა. დარწმუნებული ვარ, ასევე მოულოდნელი იყო ეს აქ შეკრებილი ხალხისთვის".

არატრადიციული მხატვრების ეს პატარა ფილმები მართლაც შთამბეჭდავია. მათ შორის არის პამფლეტები, ჩვენი დროის იგავ-არაკები, სატირა და ეს ყველაფერი გემოვნებით არის გაკეთებული. ფილმების ავტორების უმეტესობა ფერმწერია. მათგან ზოგიერთი დიდი ხანია აკეთებს ავანგარდულ ხელოვნებას, სხვები კი ახალბედები არიან - სულ რაღაც "2-3 წლის ავანგარდისტები".

"ეს ჩვენი პრეზიდენტის საახალწლო მილოცვაა, ეს კი ცხვრები, რომლებსაც ფარეხში ერეკებიან" - ასეთ ნართაულ კომენტარს უკეთებს ედგარ ამროიანი თავის ვიდეო არტს - "ეს კი ჩვენი ანდერგრაუნდია".

ნატალია ვაწაძე: "შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ჩვენება ედგარ ამროიანის ფილმით "ნატურალიზმის შესახებ" დავიწყეთ, სადაც ხშირად მეორდება ფრაზა "მე მინდა რევოლუცია"; სომხეთი, ჩვენთან შედარებით, ბევრად უფრო ტრადიციული ქვეყანაა. სექსუალურმა რევოლუციამ იქ ათიოდე წლით მაინც დაიგვიანა. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ადამიანებს ძველის ნგრევის სურვილი გაუჩნდათ, რაც კარგად ჩანს ჩვენების ბოლო ფილმში "ანაჰიტი" (რომელიც არაიკ პეტროსიანს ეკუთვნის), სადაც ცნობილი სომხური ქალღვთაება ანაჰიტის თაბაშირის სკულპტურის თავს წიხლებს ურტყამენ და ამტვრევენ".

სომხური ვიდეო არტები მართლაც გამოირჩევა მრავალფეროვანი თემატიკით, მაგრამ პოლიტიკური სატირა მაინც სჭარბობს. როგორც ჩანს, სომხეთის საზღვრებს გარეთ ძალიან სუსტად აღწევს იმ ადამიანების შეხედულებები (როგორც სომეხი მხატვრები ამბობენ, ისინი სომხეთის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ), ვინც სულაც არ აღიარებს უპირობოდ რუსეთის ჰეგემონიას. კითხვაზე, თუ რა დამოკიდებულებაა სომხეთში მათი ფილმების მიმართ, სომეხი მხატვრები ამბობენ, რომ ვისაც ისინი აინტერესებს, დიდი ენთუზიაზმით ხვდებიან ყოველ ახალ არტს, სხვები კი უბრალოდ გულგრილები არიან.

ნატალია ვაწაძის თქმით, სომხური და ქართული თანამედროვე ხელოვნების კავშირები კავკასიურ სახლში გამართული ჩვენებით არ ამოიწურება. მომავალ ზაფხულს ქართველი მხატვრები აპირებენ სომხეთში ჩასვლას, ხოლო თბილისში უფრო მასშტაბური და მრავალფეროვანი აქციის მოწყობა იგეგმება, რომელიც თანამედროვე ხელოვნების უფრო ფართო სპექტრს მოიცავს.

---


## შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადებების დამატება

შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ გამცხადებულია შემდეგი ტენდერები:

1. **2006 წლის 31 აგვისტოს გამოცხადებული ტენდერი სხვადასხვა სახის ელექტროსაქონლის შესყიდვის შესახებ**
2. **2006 წლის 31 აგვისტოს გამოცხადებული ტენდერი გარე განათების სისტემების მოწყობის შესყიდვის შესახებ**
3. **2006 წლის 31 აგვისტოს გამოცხადებული ტენდერი საკანცელარიო საქონლის შესყიდვის შესახებ**
4. **2006 წლის 31 აგვისტოს გამოცხადებული ტენდერი ხის მასალის შესყიდვის შესახებ**
5. **2006 წლის 31 აგვისტოს გამოცხადებული ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ (სადგური ბორჯომი)**
6. **2006 წლის 04 სექტემბრს გამოცხადებული ტენდერი სალიანდაგო ვაგონ-მანქანის შესყიდვის შესახებ**
7. **2006 წლის 05 სექტემბრს გამოცხადებული ტენდერი მომსახურების (ტოპო-გეოდეზიური აგეგმვა) შესყიდვის შესახებ**
8. **2006 წლის 07 სექტემბრს გამოცხადებული ტენდერი ლიანდაგის მოსაწყობად საჭირო ზედნაშენი მასალების შესყიდვის შესახებ**
9. **2006 წლის 08 სექტემბრს გამოცხადებული ტენდერი ქვანახშირის შესყიდვის შესახებ**
10. **2006 წლის 09 სექტემბრს გამოცხადებული ტენდერი მომსახურების (*ამწის დიზელგენერატორის კაპ.შეკეთება*) შესყიდვის შესახებ**
11. **2006 წლის 09 სექტემბრს გამოცხადებული ტენდერი სალოკომოტივო მარაგ-ნაწილების შესყიდვის შესახებ**

აღნიშნულ ტენდერებში დამატებული იქნას შემდეგი პუნქტი:

პრეტენდენტების მიერ წამოდგენილი სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

სხვა დანარჩენი სატენდერო პროცედურები გრძელდება გამოცხადებული პირობების შესაბამისად.


---


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## 2006-2007 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური გრანტების პროგრამა

**პროგრამა განკუთვნილია შემდეგი კატეგორიებისთვის:**

1. პირებისთვის, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონების საგანმანათლებლო დაწესებულებებში (97 გრანტი);

**2.** პირებისთვის, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს კონფლიქტის ზონებში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ცხინვალის რეგიონი, ჯავის რაიონი (90 გრანტი);

**3.** პირებისთვის, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის არაუმეტეს 10 გრანტისა თბილისში (20 გრანტი);

**4.** პირებისთვის,რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის არაუმეტეს 10 გრანტისა თბილისში (20 გრანტი);

**5.** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებისთვის (25 გრანტი);

**6.** კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლებისთვის (8 გრანტი).

**გრანტის მოპოვების მსურველმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:**

1. განცხადება (იხილეთ ნიმუში);
2. პირადობის მოწმობის ასლი;
3. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი;
4. საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

**ამასთან, დამატებითი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ:**

1. პირებმა, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონების საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც არ დარეგისტრირებულან შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის ერთიანი ეროვნული გამოცდების სარეგისტრაციო პუნქტებში;

სტუდენტებმა ცხინვალისა და ჯავის რაიონებიდან:

*ა) ცნობა შესაბამის სკოლაში უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში სწავლის შესახებ;*

2. პირებმა, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში:

*ა) განცხადება აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროში;*

3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებმა:

*ა) დაბადების მოწმობის ასლი;*

*ბ) მშობლისთვის გაცემული საქართველოს სახელმწიფო ჯილდოს შესაბამისი დოკუმენტი - ასეთის არსებობის შემთხვევაში (სავალდებულო არ არის);*

4. კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლებმა:

*ა) შთამომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტების, მათ შორის დაბადების მოწმობის ასლები*

*ბ) ცნობა სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტაციის შესახებ.*

**საბუთების მიღება წარმოებს 1 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (დ. უზნაძის N52)**

## გერგეტის სამების ტაძარი

სტეფანწმინდაში, გერგეტის წმინდა სამების სახელობის ტაძრაში XV საუკუნის უნიკალური ფრესკები აღმოჩნდა. როგორც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რუსი ეგზარხოსების მიერ, XIX საუკუნეში, ზეთის საღებავების სქელი ფენით გადაღებილი ტაძრის ფრესკები გადაიფხიკა. მათ ქვეშ კი წმინდა ნინოს უნიკალური ფრესკა (რომლის მსგავსი დღემდე მხოლოდ საქართველოს ოთხ ტაძარში გელათში, სეფიეთში, ყინწვისსა და ოშკში იყო შემორჩენილი), იოანე ნათლისმცემლის, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ფრესკები აღმოჩნდა.

გერგეტის სამებაში აღდგენითი სამუშაოები კულტურის სამინისტროს ფრესკების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა. გერგეტის სამების ტაძარი IV საუკუნის ძეგლია, რომელიც მდინარე ჩხერის ნაპირას, ზღვის დონიდან 1800 მეტრზე მდებარეობს.

გერგეტის ყოვლადწმინდა სამება აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ერთადერთი გუმბათოვანი ტაძარია. ისტორიული წყაროების ცნობით, სამება სამონასტრო კომპლექსი ყოფილა. დღეისათვის კი ძველი მონასტრიდან შემორჩენილია გალავნით შემოსაზღვრული ყოვლადწმიდა სამების სახელობის გუმბათოვანი ეკლესია, სამრეკლო და ტაძრის სამხრეთ ფასადზე მიშენებული მცირე ზომის საბჭო (საბჭოში მთის ძველი ჩვეულების თანახმად, უხუცესთა საბჭო იკრიბებოდა). **ინტერპრესნიუსი**

## თოჯინების თეატრი

სექტემბრის ბოლოს გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების თეატრში პეტრე ჩაიკოვსკის ნაწარმოების მიხედვით სპექტაკლ "გედის ტბის" პრემიერა გაიმართება. თეატრის დირექტორმა თემურ ბადრიაშვილმა განაცხადა, რომ სპეტქაკლის პრემიერა ძალზე მასშტაბურად ჩაივლის: "ჩვენი თეატრალური დასი შეეცდება, რომ საპრემირო ჩვენება მაყურებლისთვის ვიზუალურად შთამბეჭდავი იყოს".

სპექტაკლის რეჟისორია შოთა ცუცქირიძე. მონაწილეობენ მსახიობები - მანანა წიკლაური, გიორგი ღონღაძე, ნათია შეშაბერიძე და დავით ძიძუაშვილი. სპექტაკლს ვიზუალურად აფორმებს მხატვარი თინა ჰაინე. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "გასეირნება ყარაბაღში"

კინორეჟისორის ლევან თუთბერიძის ფილმი "გასეირნება ყარაბაღში" რიგის საერთაშორისო კინოფორუმზე "არსენალზე" წარსდგება. კინოფორუმი ლატვიის დედაქალქში 16 სექტემბერს გაიხსნება და 10 დღე გასტანს.

კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა მანანა სურაძემ აღნიშნა, რომ ქართული ფილმის ჩვენება ფესტივალის პანორამულ ნაწილშია დაგეგმილი. ფილმის ავტორები რიგაში 18 სექტემბერს გაემგზავრებიან. შეგახსენებთ, რომ ლევან თუთბერიძის სრულმეტრაჟიან ფილმს "გასეირნება ყარაბაღში" საფუძვლად აკა მორჩილაძის ნაწარმოები "მოგზაურობა ყარაბაღში" დაედო.

სურათი უახლესი ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებულია, იგი 900 ათასი აშშ დოლარი დაჯდა და გადაღებულია უახლესი კინოტექნოლოგიებით. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ანსამბლი "იმედი"

საქართველოს ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი "იმედი" უკრაინაში გასტროლებს გეგმავს. ანსამბლის უკრაინულ ტურნეს ადგილობრივი საპროდიუსერო კომპანია "ლოზაარტი" გაუწევს ორგანიზებას.

"იმედი" უკრაინელ მაყურებელს ქორეოგრაფიულ სპექტაკლს "ბალადა მთის სიყვარულზე" წარუდგენს. ტურნეს ფარგლებში საკონცერტო გრაფიკი ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის. ანსამბლის გასტროლები წლის ბოლოს, დეკემბერში იგეგმება. მანამდე კომპანია "ლოზაარტი" ანსამბლ "მამულის" გასტროლებით არის დაკავებული, რომელიც 12 სექტემბერს დაიწყო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ოპერის თეატრის სეზონი

17 სექტემბერს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში რიგით 155-ე სეზონი ტრადიციულად ზაქარია ფალიაშვილის ოპერით "აბესალომ და ეთერით" გაიხსნება. აღსანიშნავია, რომ ოპერის პრემიერა თბილისში 1919 წელს შედგა. ახალი დადგმის რეჟისორი - მიხეილ თუმანიშვილი, დამდგმელი ქორეოგრაფი - ილიკო სუხიშვილი-უფროსი, ხოლო მხატვარი, - გიორგი ალექსი-მესხიშვილია. სპექტაკლს ზაზა აზმაიფარაშვილი უდირიჟორებს, ლიბრეტოს ავტორი კი პეტრე მირიანაშვილია. **ინტერპრესნიუსი**

## მანტენიას იუბილემ მუზეუმები წააჩხუბა



ორმა იტალიურმა გალერეამ უარი განაცხადა გადაეცათ მათ ხელთ არსებული რენესანსის დროინდელი მხატვრის მანტენიას შემოქმედება უდიდესი საიუბილეო გამოფენისთვის მანტუაში, რომელიც ეძღვნებოდა მისი გარდაცვალების 500 წლისთავს. კამათში გარეულნი აღმოჩნდნენ რესპუბლიკის ხელისუფლება და არტ-კრიტიკოსი ვიტორიო სგარბი.

ორგანიზატორები მანტუაში დიდ აღშფოთებას გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რომ მილანის პინაკოტეკა ბრერამ უარი განაცხადა ჩამოეტანა ყველაზე ცნობილი ტილო "გარდაცვლილი იესო". პინაკოტეკას წარმომადგენლები ფიქრობენ, რომ ნახატის ქალაქიდან ქალაქში გადატანა მიზანშეწონილი არ არის. მაგრამ ვიტორიო სგარბიმ ამ განცხადებას სიცრუე უწოდა, რადგან 2002 წელს პინაკოტეკამ "გარდაცვლილი იესო" სხვა გამოფენაზე გამოიტანა. "4 წელიწადში ნახატის მდგომარეობა ასე ვერ გაუარესდებოდა", - აღნიშნა კრიტიკოსმა.

მანტუას გამოფენაში მონაწილეობაზე ასევე უარი განაცხადა ჯორჯო ფრანკეტის გალერეამ, რომელიც ფლობს მანტენიას "წმინდა სებასტიანს". მუზეუმის დირექტორმა ადრიანა აუგუსტიმ თავისი გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ, პირველ რიგში, ტილოს რესტავრაციას უტარებენ, მეორე მხრივ, სურთ, რომ ნახატმა გალერეის კედლები არ დატოვოს.

ვიტორიო სგარბის აზრით, პინაკოტეკა ბრერასა და ფრანკეტის გალერეების პოლიტიკა გამოფენას 1,6 მილიონ ევროს დაუკარგავს. იტალიის კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები დაეთანხმნენ პინაკოტეკისა და ფრანკეტის გალერეების გადაწყვეტილებას იმ მოსაზრებით, რომ გადატანისას ტილოები შეიძლება დაზიანდეს. კულტურის მინისტრმა ფრანჩესკო რუტელმა განაცხადა, რომ არ აპირებს თავის დაქვემდებარებაში მყოფთა გადაწყვეტილებები შეცვალოს.

## მარტინ სკორსეზე



ცნობილი რეჟისორი მარტინ სკორსეზე კინოკრიტიკოსი გახდა. სკორსეზე ითანამშრომლებს გამომცემლობა On Direc TV-სთან, რომელიც ეკუთვნის არხ Direc TV-ის. "ავიატორის" შემქმნელი წაიყვანს საავტორო გადაცემას და გამოთქვამს საკუთარ პროფესიონალურ შეხედულებებს იმ ფილმებზე, რომლებიც ტელევიზიების ეთერით გადის. Direc TV ხელმძღვანელობამ მას შემდეგ მიმართეს ამ წინადადებით სკორკზეს, როცა მათ მიიღეს გადაწყვეტილება არხზე კინოშემოქმედების მთელი სისტემა შეეცვალათ.

აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 6 ოქტომბერს გამოდის მარტინ სკორსეზეს ახალი ფილმი The Departed, რომელშიც მთავარ როლებს ლეონარდო დი კაპრიო, ჯეკ ნიკოლსონი, მარკ უოლბერგი და მეტ დეიმონი ასრულებენ.

## რომანი პორნო კომიქსებზე




კომიქსების ცნობილმა ავტორმა ალან მურმა ახალი რომანი გამოსცა პორნო კომიქსებზე. მურმა შექმნა სამტომეული სახელწოდებით "დაკარგული გოგონა". აღსანიშნავია, რომ წიგნი მდიდარია ილუსტრაციებით. რომანის მთავარი გმირი კი არის გოგონა "საბავშო კლასიკური ბიბლიოთეკიდან". ალან მური ღიად აცხადებს, რომ მისი შემოქმედება "პორნოგრაფიას" წარმოადგენს. მისი თქმით, უმჯობესია ეს თავად აღიაროს, რადგან ხალხი მაინც ამბობს, რომ მისი რომანი ხელოვნება არ არის, არამედ იგი მხოლოდ პორნოგრაფიაა. მისივე თქმით, წიგნის მიზანია "დაარღვიოს ურთიერთობა პორნოგრაფიულ ფანტაზიასა და რეალურ სამყაროს შორის". თუმცა კრიტიკოსები ცდილობენ აღიარონ მისი შემოქმედება, როგორც ლიტერატურა. მაგალითად: კრიტიკოსი დევიდ კოლტონი აღნიშნავს, რომ "რომანის სტილი ინტელექტუალურია, სიუჟეტები ამოუცნობი და საინტერესო, და რაც მთავარია, არაჩვეულებრივი ილუსტრაციები. ყველაფერი ეს კი მურის შემოქმედებას მიმზიდველს ხდის."


HEINRICH BÖLL STIFTUNG

## ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის სოციალურ მეცნიერებებში

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების სფეროში, აგრეთვე - ეკოლოგიაში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**

სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

პროგრამის მიზანია:

■ ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;

■ ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**

რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1973-1984 წლებში დაბადებულ ახალგაზრდა მკვლევრებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგი ცოდნა. ყურადღება მიექცევა თემატურ სიახლეს და ორიენტაციას თანამედროვე მეთოდოლოგიაზე, ამასთანავე კვლევის ხარისხობრივ მეთოდებს.

**ფონდი აფინანსებს კვლევას შემდეგ მიმართულებათა ფარგლებში:**

1. ყოველდღიური ყოფის ისტორია;
2. სახელმწიფო და რელიგია XX საუკუნეში/ რელიგიის როლი დღეს;
3. სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის ისტორია (*1920-1950-იან წწ*. ან 1953 წ. შემდეგ);
4. ახალი შეხედულებები ძველ კონფლიქტებზე;
5. ეთნიკურობა;
6. მიგრაციული პრობლემები;
7. ლტოლვილები ქალაქში: გადარჩენის სტრატეგიები, თემის ჩამოყალიბება;
8. „ჩვენიანი" და „უცხო" საზოგადოებაში;
9. უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები;
10. ტრადიცია და დასავლური ღირებულებები;
11. ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები;
12. გენდერული როლების ტრანსფორმაცია;
13. ქალის პოლიტიკური სტატუსი და პოლიტიკური ლიდერობა;
14. ქალაქური კულტურა;
15. კომუნიკაცია ქალაქში;
16. ქალაქის მდგრადი განვითარება (სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები);
17. ქალაქის მართვის თანამედროვე მეთოდები;
18. ქალაქის სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა;
19. ქალაქების განვითარების პრობლემები;
20. არქიტექტურა და ხელისუფლება;

**ხანგრძლივობა და მოცულობა**

სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2007-31.12.2007. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს ყოველთვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია ფონდის მიერ ორგანიზებული თანამდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა.შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**

■ სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.

■ კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.

■ საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. **20 ოქტომბერი, 12:00** სთ.

**საჭირო საბუთები**

1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სამეცნიერო დისციპლინა; საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური.
2. განაცხადის ანკეტა (ჩამოტვირთეთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდიდან www.boell.ge).
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV).
4. ესსე (3-5 გვერდის მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირად მოტივაციას: *1. რატომ მაინტერესებს ეს თემა; 2. რა ვიცი თემის შესახებ; 3. რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას; 4. წლიური სამუშაო გეგმა.*
5. 2 რეკომენდაცია რომელიმე მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი აპლიკანტთან მიმართებაში).
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებითურთ.
7. სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე (თუკი არსებობს).

**ზემოთ ჩამოთვლილი საბუთები (სამეცნიერო ნაშრომთა ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნას რუსულ ენაზე და 3 ეგზემპლარად. განაცხადის არასრული ან დაგვიანებით შემოსული კომპლექტი არ განიხილება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოგზავნეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი**



## კაბელების დამატებითი შესყიდვა ელექტროენერგიის აღრიცხვის კვანძების მოსაწყობად

## შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის"

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

კაბელების შეძენის შესახებ

შპს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"(სსე) აპირებს შეისყიდოს კაბელები:

| № | მოსაწოდებელი საქონლის მოკლე დახასიათება | რაოდენობა (მეტრი) |
|---|---|---|
| 1 | ძალოვანი კაბელი 3X25+1X16 | 1000 |
| 2 | ძალოვანი კაბელი 3X16+1X10 | 400 |
| 3 | ძალოვანი კაბელი 3X10+1X6 | 1000 |
| 4 | საკონტროლო კაბელი 4*4 | 5000 |
| 5 | საკონტროლო კაბელი 4*2.5 | 6600 |
| 6 | რადიოსიხშირული კაბელი PK75-9-12 | 2500 |

მოწოდების მსურველმა (პრეტენდენტებმა) უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

1. მიწოდების მისამართი: ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. N29;
2. მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღის განმავლობაში:
3. ანგარიშსწორება განხორციელდება მიწოდების დასრულებიდან 15 კალენდარულ დღეში. პრეტენდენტმა 2006 წლის 22 სექტემბრის 12:00 საათამდე დახურული კონვერტით უნდა წარმოადგინოს წინადადება, სსე-ს შესყიდვების სამსახურში, მისამართზე: ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2.

პრეტენდენტმა წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ფასთა ცხრილი, კაბელების დაწვრილებითი სპეციფიკაცია და ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი.

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა საქონლის მოწოდებისას უნდა წარმოადგინოს საგადასახასო ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედდებული ინვოისი და ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატების ორიგინალები.

კონვერტების გახსნა მოხდება პრეტენდენტებთან თანდასწრებით, 2006 წლის 22 სექტემბერს 12:00 საათზე.

ტელეფონი: 989816, Web - www.gse.com.ge



საერთაშორისო განათლების ცენტრი
CENTER FOR INTERNATIONAL EDUCATION
www.cie.ge

ქ. თბილისი 0108, ჭოველიძის ქ. 10. ტ.: 252615, 250463 ფ.: 252615
ელ.ფოსტა: cie@osgf.ge
10 Chovelidze st., Tbilisi 0108, Georgia. T.: +995 32 252615, 250463 F: +995 32 252615 E-mail: cie@osgf.ge

## საერთაშორისო განათლების ცენტრი და ნიუ-იორკის ღია საზოგადოების ინსტიტუტი აცხადებენ კონკურსს:

**სოციალური მუშაკის (Social Worker) ორწლიან სამაგისტრო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად.**

**(http://www.soros.org/initiatives/scholarship/focus-areas/social-fellowship/guidelines/masters)**

**პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ :**

***- საქართველოს მოქალაქეებს რომელთაც აქვთ სრული საუნივერსიტეტო განათლება.***

***- მათ, ვინც კარგად ფლობს ინგლისურ ენას და შეუძლია TOEFL -ის ჩაბარება.***

***- მათ, ვისაც შეუძლია ორი წლის განმავლობაში ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლა (2007 წლის აგვისტოდან).***

**(კონკურსში გამარჯვებულები ისწავლიან ნიუ-იორკის კოლუმბიის ან**
**სენტ-ლუისის ვაშინგტონის უნივერსიტეტში.**

**განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2006 წლის 1 ნოემბერი**

*დამატებითი ინფორმაციისა და კონსულტაციებისათვის მიმართეთ:*
*საერთაშორისო განათლების ცენტრს: ჭოველიძის ქ. 10, ტელ: 25 26 15*



## საქართველოს პარლამენტის აპარატი, საქართველოს პარლამენტის კომპიუტერულ ქსელში დამატებითი 67 წერტილის მონტაჟზე და ინსტალაციაზე აცხადებს კონკურსს

მომსახურების გაწევა უნდა მოხდეს ოპერატიულად სასურველია უნაღდო ანგარიშსწორებისა და კონსიგნაციის წესით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ ადგილზე გაეცნონ პარლამენტის კომპიუტერული ქსელის ამჟამინდელ მდგომარეობას და მიიღონ წინადადების დამუშავებისთვის საჭირო დამატებითი ინფორმაცია.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

1. რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები),
2. ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ,
3. წინადადება.

ჩამოთვლილი დოკუმენტაცია (ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული) მოწოდებული უნდა იქნეს 2006 წლის 22 სექტემბრის 15.00-სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 8.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ: ზაურ ჯიოშვილი 28 13 69.

http://tender.parliament.ge/

# საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი

# აცხადებს კონკურსს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მსოფლიო ბანკის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს განათლების პროექტს "ილია ჭავჭავაძე (პროექტი)". პროექტის განხორციელებაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებას უწევს საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს მთელი პროექტის კოორდინაციას.

პროექტის წარმატებული განხორციელებისათვის პროექტის საკოორდინაციო ცენტრს აუცილებლად მიაჩნია სპეციალისტის დაქირავება და მოელის შესაბამისი კვალიფიკაციის პირების განცხადებებს შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად:

**შესყიდვების სპეციალისტი**

შესყიდვების სპეციალისტი ძირითადად პასუხისმგებელი იქნება საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე. შესყიდვების სპეციალისტი ვალდებული იქნება უზრუნველყოს პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვები მსოფლიო ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების და ვადების თანახმად.

**ძირითადი მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

- პროექტის სხვა შესაბამის განყოფილებებთან თანამშრომლობით მოამზადოს და სისტემატურად განაახლოს შესყიდვების გეგმა, რაც ასევე მოიცავს პროექტის ფარგლებში შერჩეული მომსახურების ჩამონათვალს და დროის განრიგს;
- განახორციელოს ყველა საჭირო ზომა თითოეული შესყიდვის ქმედებათა განხორციელების დაგეგმარებისათვის;
- პროექტის თანამშრომლებთან ერთად შეადგინოს შესყიდვების დოკუმენტაცია (რეკლამები, სატენდერო დოკუმენტები, შეფასების ანგარიშები, ხელშეკრულებები და შესაბამისი კორესპონდენცია);
- მოამზადოს ადგილობრივი და უცხოური ტექნიკური დახმარების შერჩევის გეგმა მსოფლიო ბანკის წესებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დირექტივების თანახმად;
- მოამზადოს სარეკლამო განცხადებები ადგილობრივი და უცხოელი კონსულტანტების შერჩევის მიზნით;
- იქონიოს მუდმივი კავშირი მსოფლიო ბანკის შესყიდვების დეპარტამენტთან;
- ტექნიკური დავალებების განხილვა და ფორმატირება, რათა უზრუნველყოფილ იქნას კონსულტანტების ეფექტური შერჩევა;
- ითანამშრომლოს პროექტის თანამშრომლებთან კონსულტანტების კანდიდატურების შერჩევისა და მათი სამუშაოთა აღწერილობის საკითხებზე;
- დადგენილი ფორმის შესაბამისად მოამზადოს ანგარიში კონსულტანტების კანდიდატურის შერჩევის პროცესების მიმდინარეობაზე;
- მოსთხოვოს კონსულტანტებს მათი საკვალიფიკაციო დოკუმენტების წარმოდგენა;
- აწარმოოს დოკუმენტაცია და ხელშეკრულებების ვიზირება;
- წარუდგინოს ხელმოწერილი ხელშეკრულებები და ინვოისები პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ფინანსურ მენეჯერს;
- უზრუნველყოს ხელშეკრულებების დროული და ეფექტური განხორციელება;
- მონაწილეობა მიიღოს ეროვნული და საერთაშორისო შესყიდვების მთელს პროცესში (ქმედებების დაგეგმარების მომენტიდან დოკუმენტების მომზადებისა და ხელშეკრულებების გაფორმების სტადიის დასრულების ჩათვლით);
- შეამოწმოს, რათა შესყიდვების პროცედურები მკაცრ თანხმობაში მოდიოდეს მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესებთან და საქართველოსა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციას შორის დადებულ საკრედიტო ხელშეკრულებასთან;
- ადგილობრივი და უცხოელი კონსულტანტების მიერ ხელშეკრულებების ფუნქციონირების შემოწმება;
- იმის უზრუნველყოფა, რომ განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრის ფინანსურმა მენეჯერმა მონაწილეობა მიიღოს გადახდების განრიგების და ხელშეკრულებებში გათვალისწინებული მექანიზმების შედგენაში და რომ ფინანსურმა მენეჯერმა დროულად მიიღოს ინფორმაცია ხელშეკრულებებისა და მათი სტატუსის შესახებ;
- დახმარება გაუწიოს დანიშნულ თანამშრომლებს საკონსულტაციო სამსახურების ანგარიშების მიღებაში;
- რეგულარულად მოამზადოს განახლებული ანგარიშები შესყიდვების ყველა აქტივობის შესახებ, რომლებიც განხორციელებულია ან განხორციელდება პროექტის საკოორდინაციო ცენტრის მიერ;
- წარმოადგინოს ანგარიში და რჩევები ხელშეკრულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- დახმარება გაუწიოს პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორს პერიოდული ანგარიშების მომზადებაში, რომელიც გამიზნული იქნება ქვეყნის მთავრობისადმი, მსოფლიო ბანკისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისადმი;
- აწარმოოს შესყიდვების სრული ჩანაწერები და შეინახოს დოკუმენტები პროექტის საკოორდინაციო ცენტრში, რაც ითვალისწინებს ყველა იმ ფირმის და ინდივიდუალური პირის რეესტრს, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს პროექტის საკოორდინაციო ცენტრის შესყიდვების აქტივობებში;
- განუმარტოს პროექტის სხვა თანამშრომლებს შესყიდვების პროცედურები, თუ როგორ დაგეგმონ დროში შესაბამისი ქმედებების განხორციელება, ქმედებათა სტატუსი და სხვა;
- ითანამშრომლოს ფინანსურ მენეჯერთან პროექტის თანხების განკარგვის საკითხებთან დაკავშირებით;
- მონაწილეობა მიიღოს აქტივობებში ცოდნისა და ფუნქციონირების გაანალიზებისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამუშაოს ეფექტური შესრულება.

**კვალიფიკაცია და მოთხოვნები:**

- უმაღლესი განათლება;
- შესაბამის სფეროში მუშაობის მინიმუმ ხუთი წლის გამოცდილება (ადგილობრივი და საერთაშორისო შესყიდვები, სატენდერო პროცედურები, ხელშეკრულებების გაფორმება);
- საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება;
- ინგლისური ენის კარგი ცოდნა (წერა და ზეპირი);
- კომპიუტერის კარგი ცოდნა;
- რამოდენიმე ამოცანის ერთდროული კოორდინაციისა და გადაჭრის უნარი;
- გუნდურ გარემოში მუშაობის უნარი;
- კომუნიკაბელურობა.

**საანგარიშო ვალდებულებანი:**

შესყიდვების სპეციალისტი ანგარიშვალდებული იქნება პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის წინაშე.

**დასაქმების ხანგრძლივობა:**

აღნიშნული თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.

თავდაპირველად ხელშეკრულება დაიდება ერთი თვის საგამოცდო ვადით და დამაკმაყოფილებელი შედეგის შემთხვევაში გაგრძელდება 2007 წლის ივნისამდე.

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. -52, ოთახი -102.
ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13
ელ-ფოსტა: GEP@mes.gov.ge
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **ნინო რევიშვილი**

წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ინტერნეტ გვერდზე:

**www.reform.edu.ge**
ვაკანსიები და განცხადებები
განაცხადის ფორმა

**განაცხადებების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2006 წლის 2 ოქტომბერი.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ღია ტენდერს კომპიუტერული ტექნიკისა და ხმის აღმწარმოებელი აპარატურის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტების დასახელება:

ლოტი 1.

| დასახელება | სპეციფიკაცია | რ-ბა |
|---|---|---|
| 1. სერვერი | Form factor: Rack/1U. პროცესორი 2.80GHz/2MB Cache. 1 პროცესორით. ოპერატიული მეხსიერება 1GB PC2-3200 DDR2. შიდა შენახვის მოცულობა 600GB Ultra320 SCSI . Dual Gigabit Ethernet Adapter. | 3 |
| 2. სერვერი | Form factor: Rack/2U. პროცესორი 3.60GHz/800MHz. 2 პროცესორით. ოპერატიული მეხსიერება 4GB PC2-3200 DDR2. შიდა შენახვის მოცულობა 600GB Ultra320 SCSI. Dual Gigabit Ethernet Adapter. | 1 |
| 3. ინფორმაციის შემნახველი | HDD - 12 TB –მდე მეხსიერება. კონტროლერით | 1 |

ლოტი 2.

| დასახელება | სპეციფიკაცია | რ-ბა |
|---|---|---|
| 1. პერსონალური კომპიუტერი | Micro tower. პროცესორი Intel Celeron 346 800MHz FSB. ოპერატიული მეხსიერება 512MB DIMM PC2-3200 DDR2, dual-channel. Optical drive CD-RW/DVD-ROM. 2 USB and Audio in front | 85 |
| 2. მონიტორი | 17 LCD. პასუხის დრო 12ms. კონტრასტი 500:1. აღქმადობა 1280X1024. | 85 |
| 3. პერსონალური კომპიუტერი | Micro tower. პროცესორი Intel Pentium 4 650. 800MHz FSB. ოპერატიული მეხსიერება 512MB DIMM PC2-3200 DDR2, dual-channel. Optical drive DVD-ROM+RW. 2 USB and Audio in front | 25 |
| 4. მონიტორი | 17 LCD. პასუხის დრო 8ms. კონტრასტი 500:1. აღქმადობა 1280X1024. | 25 |

ლოტი 3.

| დასახელება | სპეციფიკაცია | რ-ბა |
|---|---|---|
| 1. ნოუთბუქი | პროცესორი 2GHz/2MB L2, 667 MHz FSB. ოპერატიული მეხსიერება 1GBMB PC2-5300 DDR2 SDRAM SODIMM. Hard drive 100GB 7200 rpm SATA | 4 |
| 2. მულტიმედია პროექტორი | საკუთარი აღქმადობა 1024X768 OPTICS: Light Source: 270W NSH lamp. Lens F Number and Focal Length: F1.85 – F2.5, f=21.7 – 35.8mm. Zoom Magnification and Control: 1.7x Motorised Focus Control: Motorised Auto Focus. Lens Shift: 9:1 (fixed) | 2 |

ლოტი 4.

| დასახელება | სპეციფიკაცია | რ-ბა |
|---|---|---|
| 1. ქსელის მოწყობილობა | III დონის კომუტატორები (7 ცალი), მთავარი მარშრუტიზატორი (1 ცალი), მთავარი კომუტატორები (1 ცალი),Wireless AP წერტილები (3 ცალი) | 12 |
| 2. ქსელის კარადა | სამუშაო ტემპერატურა 10-35C. Form factor 19” 42U. ზომები: 78.7”X23.8”X39.4” | 1 |

ლოტი 5.

| დასახელება | სპეციფიკაცია | რ-ბა |
|---|---|---|
| 1. ქსელური ლაზერული პრინტერი | პროცესორის სიჩქარე 460 MHz. ბეჭდვის სიჩქარე 45 ppm. ბეჭდვის ხარისხი 1200X1200 dpi. ბეჭდვის მოცულობა თვეში 200000 | 7 |
| 2. ფერადი ლაზერული პრინტერი | ბეჭდვის ხარისხი შავად და ფერებით 600X600 dpi. | 2 |
| 3. ლაზერული პრინტერი | პროცესორის სიჩქარე 133 MHz. ბეჭდვის სიჩქარე 22 ppm. ბეჭდვის ხარისხი 1200X1200 dpi. ბეჭდვის მოცულობა თვეში 100000. ორმხრივი ბეჭდვა | 10 |
| 4. ქსელური ციფრული ასლგადამღები | A3. კასეტები A5R-A3 Stack Bypass A3-A6. სკანირება 600X600. ბეჭდვის სიჩქარე: A4-35 pm, A3-22pm. ასლების რაოდენობა 1-999. ორმხრივი ბეჭდვა | 6 |

ლოტი 6.

| დასახელება | სპეციფიკაცია | რ-ბა |
|---|---|---|
| 1. ტელევიზორი | დიაგონალი 61“ აღქმადობა 1280X720 | 2 |
| 2. აქტიური დინამიკები | კლასი G Hybrid. ვერტიკალური დაფარვა (-6 dB) 40° 1kHz to 10kHz avg. Directivity Index 10.77 (11.95) averaged 2kHz to 10kHz. | 2 |
| 3. მიქშერი | 12 არხიანი მიქშერი | 1 |
| 4. ყურსასმენი | ხმის რეჟისორის ყურსასმენი | 2 |
| 5. მიკროფონები | რადიომიკროფონი სტანდარტული (3 ცალი). რადიომიკროფონი პორტატული (3 ცალი). საკონფერენციო (სპიკერის) მიკროფონი (3 ცალი) | 9 |

№-1-№6 ლოტების მიწოდების ადგილია ქ.თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზირი №1 თსუ I კორპუსი

ლოტი №7

| დასახელება | სპეციფიკაცია | რ-ბა |
|---|---|---|
| კომპიუტერი | Celeron D346 3.06Ghz-1, 256MB DDR2-533-1, CD-ROM 48x , HDD SATA II 80GB 7.2k-1, Optical PS/2 Mouse .260W USB 2.0 rear, 2x USB 2.0 internal, 2x USB 2.0 in front, audio (3x rear, 2x in front), 1x LAN RJ45 optional | 25 |
| მონიტორი | PROFFESIONAL DISPLAY 0.24 mm, TCO 03.1600X1200 75 hZ | 20 |
| ქსელის თავაკები (კონექტორები) | | 200 |
| ქსელის თავაკების (კონექტორების) ფიქსატორი | | 1 |
| ქსელის გამანაწილებელი (swich) 16 პორტიანი 10/100 | | 6 |
| CD-R DISC: | | 50 |
| DVD DISC: | | 20 |

N7 ლოტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი ჯიქიას ქ.N9 თსუ სოხუმის ფილიალი

ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 30 ნოემბრამდე. N1-N6 ლოტებით გათვალისწინებული საქონელი უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს (ISO სერთიფიკატი) და იყოს უცხოური მწარმოებელი ფირმის ნაწარმი (ბრენდი).

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 4 ოქტომბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე. სატენდერო მოსაკრებლი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: კ/ბ “რესპუბლიკა”, ანგ.ანგ.N73408000056, ბანკის კოდი 220101757, საიდენტიფიკაციო კოდი 204864548.

პრეტენდენტებმა სატენდერო კომისიას “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 5 ოქტომბრის 10.00 საათიდან 6 ოქტომბრის 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე:... ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 6 ოქტომბრის 14 საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
2. ცნობას სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება.
3. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

**ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდება ლოტების მიხედვით.

გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის მიერ. საგარანტიო თანხის ოდენობაა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3%-ი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრს: ინგა მერკვილიშვილი, ტელ: 25 15 48, 893 73 42 14. ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, 2006 წლის 14 სექტემბერს საერთო სასამართლოებში ფარდა-ჟალუზების შესყიდვაზე გამოცხადებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება: ამოღებულ იქნეს XXII ლოტი (თბილისის საქალაქო სასამართლო)

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისი" აცხადებს ტენდერს ამორტიზებული ხის კარ-ფანჯრის შესაცვლელად მეტალოპლასტმასით. გაცნობებთ, რომ შენობის ფასადის რეკონსტრუქცია ითვალისწინებს ზედა სამ სართულზე არსებული კარ-ფანჯრის მთლიან განახლებას უმოკლეს ვადებში.

სამუშაოს მოცულობა --- შესაცვლელია 1705 გრძივი მეტრი (368 მ2). დაინტერესებულ პირებს ტექნიკური დოკუმენტაციის და მათთვის აუცილებელი დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ხარჯთაღრიცხვა და საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისი ხარისხის სერთიფიკატი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ.NN18ა,"ყაზტრანსგაზ-თბილისი"-ს შესყიდვების განყოფილება.

საკონტაქტო პირი: მერაბ ჩუბინიძე ტელ: 38 49 61, 877 95 00 35

**გაზეთ "24 საათის" 2006 წლის 14 სექტემბრის ნომერში (N202) შეცდომით გამოქვეყნდა შპს "საქართველოს რკინიგზის" სატენდერო განცხადება- საპროექტო სამუშაოების შესრულების შესახებ. განცახდებაში არ არის მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემებისა და პირველადი სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ვადები.**

**აღნიშნული ტენდერის სწორი ვარიანტი გამოქვეყნებულია გაზეთ "24 საათის" 2006 წლის 11 სექტემბრის ნომერში (N 199).**

# საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სატენდერო კომისიის სატენდერო განცხადება

**-----15.09--- 2006 წელი**

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42) აცხადებს ტენდერს ავტოსატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დაფინანსების წყარო - კომისიის ბიუჯეტი.

2. შესყიდვის ობიექტია: ავტოსატრანსპორტო საშუალება 5 კარიანი უნივერსალი, 4 მუდმივი წამყვანი თვლით, ერთი ერთეული (ახალი, ყველგან მავალი).

3. შესყიდვის ობიექტის შესაძლო მონაცემები: ძრავის მოცულობა 3000-3200 სმ³ (ბენზინი), სიჩქარის ავტომატური (ტიპტრონიკი) კოლოფი, 100 კმ-ზე საწვავის ხარჯი 10-13 ლიტრი, ცხ.ძალა 250-270, სიმაღლე 1500-1600 მმ, სიგრძე 4800-5000მმ, სიგანე 1800-2000მმ, დაუტვირთავი წონა 1700-2000 კგ.

4. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი მის : ალ. ყაზბეგის გამზ. №42

5. საქონლის მიწოდების ვადა არის გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს სამი თვე.

6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე შედგენილი უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 9 დეკემბერის 10 სთ - 17 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, მე-1 სართული, ოთახი 11).

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება პრეტენდენტებს 2006 წლის 4 ოქტომბრამდე შეეძლებათ დაუყოვნებლივ მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, თი-ბი-სი ბანკი, ბანკის კოდი 220101830, ანგარიშის №609326, საიდენტიფიკაციო კოდი 204953050).

8. სატენდერო დოკუმეტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №42 (საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, მე-3 სართული, ოთახი 8).

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: გრიგოლ სულუხია: 38-69-57, 899240240, მისამართზე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №42, მე-3 სართული ოთახი 8; gsulukhia@gncc.ge

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ზ. ნონიკაშვილი

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სასამართლო შენობებში ლოკალური ქსელის მოწყობილობებისა და მონტაჟის შესყიდვაზე.**

| № | სასამართლო | მისამართი | წერტ. რაოდ. |
|---|---|---|---|
| ლოტი 1 | თელავი | დავით აღმაშენებლის 41 | 47 |
| ლოტი 2 | სამტრედია | სასამართლოს ქ. №1 | 32 |
| ლოტი 3 | გორი | სერგო ჯორბენაძის ქ № 30 | 45 |
| ლოტი 4 | სიღნაღი | ცოტნე დადიანის 15 | 28 |
| ლოტი 5 | რუსთავი | ბოსტან-ქალაქის 2 | 64 |
| ლოტი 6 | ახალქალაქი | მაშტოცის 102 | 20 |
| ლოტი 7 | ზესტაფონი | წერეთლის 7 | 47 |

**ტექნიკური პირობები**

შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს სასამართლოს შენობაში ლოკალური ქსელის გაყვანილობის მონტაჟი შემდეგი მონაცემების მიხედვით:

- ლოკალური ქსელის მაგისტრალების გასაყვანად გამოყენებული უნდა იქნას იატაკქვეშ ჩადებული 40 მმ მილები, ხოლო ტექნიკურ ნახაზებში მითითებულ წერტილებამდე ხაზების მიყვანისათვის - კაბელ-არხები;
- მონტაჟისას გამოყენებული პასიური და აქტიური ელემენტები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს (ISO);
- გარანტია პასიურ ელემენტებზე - 2 წელი; გარანტია ტექნიკურ ელემენტებზე 1 წელი;

| | დასახელება |
|---|---|
| | პასიური ელემენტები |
| 1 | UTP CAT.5E, 0.5mm, 305m, solid |
| 2 | Patch Panel UTP, 24 RJ45 |
| 3 | Patch Cord UTP, Cat5E 0.5m |
| 4 | Patch Cord Cat5E 2m |
| 5 | OutLet - RJ45 |
| 6 | Cable-Chanels, corners and other accessories |
| | aqtiuri elementebi |
| 7 | Switch 24 port 10/100, base-T rackmountable |
| 8 | 9/12 HU Doublesection Rack |
| 9 | Smart UPC 250 VA/450VA, Rackmountable |

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 25 აპრილიდან 6 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. -32.

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებათ.*

2.2 ფიზიკური პირისათვის:

*ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*

*ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*

*ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხებათ;*

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 5 ოქტომბრის ჩათვლით;

4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური,ერთიანი ანგარიში -200122900; საბიუჯეტოშემოსავლის სახაზინო კოდი - 300033133

5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. -32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) ოთახი - 408.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 93.56.96

# განცხადება ხელახალი ტენდერის ჩატარების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ხელახალ ტენდერს სამშენებლო მასალების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის დასახელება:

**ლოტი N1 -** ადგილობრივი ინერტული და შემკვრელი მასალები

1. პორტლანდცემენტი M -400 - 5 ტ
2. ცემენტი დეკორატიული - 1500 კგ
3. ქვიშა საჩხერის - 30 კუბ.მ
4. გაჯი დაფქვილი - 3 ტ
5. ღორღი წვრილმარცვლოვანი - 30 კუბ.მ
6. ასფალტობეტონი წვრილმარცლოვანი - 100 ტ.

**ლოტი N2 -**სანტექნიკური მასალები (გათბობის)

1. ჩამრეცხი ავზი პლასტმასის --- 20 ც.
2. ონკანი ტუჩიანი --- 15 ც.
3. ონკანი ჩვეულებრივი --- 50 ც.
4. ვენტილი თითბერის დ-15 მმ --- 40 ც.
5. ვენტილი თითბერის დ-20 მმ --- 15 ც.
6. ვენტილი თითბერის დ-25 მმ --- 10 ც.
7. ვენტილი თუჯის დ-32 მმ --- 10 ც.
8. ვენტილი თუჯის დ-50 მმ --- 12 ც.
9. ვენტილი პლასტ. დ-15 მმ --- 20 ც.
10. ვენტილი პლასტ. დ-40 მმ --- 5 ც.
11. ვენტილი საცობიანი დ-15 მმ --- 15 ც.
12. მილი პლასტმასის დ-15 მმ --- 200 გრ.მ.
13. მილგაყვანილობის სამონტ. კავეული --- 200 ც.
14. ქურო პლასტ. უხრახნო დ-15 მმ --- 50 ც.
15. მუხლი ფოლადის დ-15 მმ --- 50 ც.
16. სამკაპა ფოლადის დ-15 მმ --- 40 ც.
17. მუხლი პლასტ. უხრახნო დ-15 მმ --- 50 ც.
18. მუხლი პლასტ. შიდა ხრახნით დ-15 მმ --- 50 ც.
19. მუხლი პლასტ. გარე ხრახნით დ-15 მმ --- 50 ც.
20. სამკაპი პლასტ. შიდა ხრახნით დ-15 მმ --- 30 ც.
21. სამკაპი პლასტ. გარე ხრახნით დ-15 მმ --- 30 ც.
22. ქურო პლასტ. შიდა ხრახნით დ-15 მმ --- 50 ც.
23. ქურო პლასტ. გარე ხრახნით დ-15 მმ --- 50 ც.
24. ბრეზენტი ---- 40 გრ.მ.
25. მილი პლასტმასის დ-50 მმ, e-0,5 მ ---- 30 ც.
26. მილი პლასტმასის დ-50 მმ, e-1,0 მ ---- 30 ც.
27. მილი პლასტმასის დ-50 მმ, e-2,0 მ ---- 30 ც.
28. მილი პლასტმასის დ-100 მმ, e-1,0 მ ---- 25 ც.
29. მილი პლასტმასის დ-100 მმ, e-2 მ ---- 20 ც.
30. ფასონური ნაწილები პლასტ. დ-100 მმ:

მუხლი 900 - იანი (დ-100 მმ) ---- 30 ც.
მუხლი 1350 - იანი (ბლაგვი) ---- 30 ც.
სამკაპა 100 X 100 X 100 - 900 ---- 10 ც.
სამკაპა 100 X 100 X 100 - 1350 ---- 10 ც.
სამკაპა 100 X 100 X 50 - 900 ---- 10 ც.
სამკაპა 100 X 100 X 50 - 1350 ---- 10 ც.
სიფონური სან. კვანძ. ქვებისთვის პლასტ. დ-100 მმ -- 20 ც.

31. ნიჟარა ფაიფურის ----- 5 ც.
32. ნიჟარა ემალის ----- 5 ც.
33. წყლის შემრევი ნიჟარა ----- 5 ც.
34. წყლის შემრევი აბაზანის ----- 3 ც.
35. მიმყვანი (სგონი) დ-15 მმ ----- 30 ც.
36. მიმყვანი (სგონი) დ-20 მმ ----- 10 ც.
37. მიმყვანი (სგონი) დ-25 მმ ----- 10 ც.
38. მიმყვანი (სგონი) დ-32 მმ ----- 5 ც.
39. მიმყვანი (სგონი) დ-50 მმ ----- 5 ც.
40. მილი ფოლადის დ-32 მმ ----- 30 გრ/მ.
41. მილი ფოლადის დ-40 მმ ----- 30 გრ/მ.
42. მილი ფოლადის დ-50 მმ ----- 30 გრ/მ.
43. მილი პლასტმასის დ-150მმ - 80 გრ/მ
44. სამკაპი დ-150*150*100მმ პლასტმასის - 15 ცალი
45. გადამყვანი (ბუტილკა 100*50) პლასტმასის - 25 ცალი
46. წყალმზომი დ-80მმ - 1 ცალი

დ- 50მმ - 2 ცალი
დ- 32მმ - 2 ცალი

47. შლანგი აბაზანის (დუშის) - 6 ცალი
48. შემრევი აბაზანის - 2 ცალი
49. გადამყვანი პლასტმასის დ-100*76მმ - 10 ცალი.

ლოტი N3

1. ქვაბი "უნივერსალის" სექციები - 60 ცალი.
2. აზბესტის ფურცელი 1*1 მ - 10 ცალი
3. შამოტი - 4 ტომარა.
4. არმატურა გლუვი პროფილის დ-16 მმ - 20გ/მ
5. ცეცხლგამძლე აგური - 300 ცალი

ლოტი N4

1. ჰორიზონტალური სამაგრი პროფილი - 750 გრ/მ
2. ვერტიკალური სამაგრი პროფილი - 1000 გრ/მ
3. "შურუპი" 25მმ "კნაუფის" - 30000 ცალი
4. პლასტმასიანი სამაგრი დუბელი - 2000 ცალი

N1 - N4 ლოტების მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.N1, თსუ-ს 1-ლი კორპუსი.

ლოტი N5

1. იატაკის ფიცარი - 1.5 კუბ.მ
2. იატაკის პლინტუსი - 60 გ/მ
3. პლასტიკატი - 120 კვ.მ
4. პლინტუსი პლასტიკატის - 140გ/მ
5. ფითხი - 50 კგ
6. საღებავი ზეთის (იატაკის) - 137 კგ
7. საღებავი წყ.ემულსიის (კედლის და ჭერის) - 90 კგ
8. ცემენტი M 400 - 3200 კგ
9. ცემენტი დეკორატიული - 60 კგ
10. სპეცნაზავი სახურავის ბლანტი საიზოლაციო მასალისათვის - 55 კგ
11. აგური - 2000 ცალი
12. ფანჯრის ალათის ფიცარი - 0.6 კუბ.მ
13. პეტლები, საკეტები, შურუპი ფანჯრისათვის - 6 კომპლექტი
14. ზუმფარის ქაღალდი - 5 გ/მ
15. წებო ე.წ. "პვა" - 50 ლიტ.
16. ლურსმანი 100მმ - 6 კგ
17. ლურსმანი 50მმ - 3 კგ
18. ლურსმანი 25მმ - 3 კგ
19. ლურსმანი ე.წ. დუპელის - 400 ცალი
20. კატოკი - 6 ცალი
21. ფუნჯი სხვადასხვა - 10 ცალი
22. ტოილი (სახურავის საიზოლაციო მასალებისათვის) - 250 გ/მ
23. ხის ფიცარი (6მმX2.5მმ) - 0.50 კუბ.მ
24. ღორღი - 5 კუბ.მ
25. სილა - 3 კუბ.მ
26. გუდრონი - 200 კგ
27. თუნუქი სახურავის (1მ*2მ) -15 ცალი
28. მინა ფანჯრის - 10 კვ.მ
29. საღებავი კარ-ფანჯრის - 6 კგ
30. დახერხილი მასალა (0.14მ*0.07მ) - 0.45კუბ.მ
31. ფიცარი შიფერის ქვეშ - 0.21კუბ.მ

მიწოდების ადგილი - ქ.ოზურგეთი, ივ.ჯავახიშვილის ქ.N59, თსუ-ს ოზურგეთის ფილიალი.

ლოტი N6

1. მინა ბ=4მმ - 200კვ.მ
2. წებო პვა - 10კგ.
3. დვპ - 20 კვ.მ
4. ლურსმანი ლ=25მმ - 5.0 კგ
5. ლურსმანი ლ=40მმ - 10.0 კგ
6. ლურსმანი ლ=60მმ - 20.0 კგ
7. ლურსმანი ლ=80მმ - 20.0 კგ
8. ლურსმანი ლ=100მმ - 20.0 კგ
9. ლურსმანი დუბელი ლ=40მმ - 200 ცალი
10. ლურსმანი დუბელი ლ=60მმ - 200 ცალი
11. სამღებრო "კატოკი" - 2 ცალი
12. სამღებრო ფუნჯი - 5 ცალი
13. წყალემულსია - 20 კგ
14. ზეთოვანი საღებავი (თეთრი) - 20 კგ
15. საფითხნი (შპაკლი) - 30 კგ
16. თაბაშირი - 30 კგ
17. ქვიშა - 0.2 კუბ.მ
18. გამხსნელი - 10 ლიტრი

მიწოდების ადგილი - ქ.თბილისი, ჯიქიას ქ. N9 თსუ-ს სოხუმის ფილიალი.

ლოტი N7

1. საღებავი ზეთოვანი (თეთრი) - 100 კგ
2. საღებავი ემულსია - 50კგ
3. საღებავი ზეთოვანი იატაკის (მოწიტალო წაბლისფერი) - 100 კგ
4. საღებავის გამხსნელი - 20 ლიტრი
5. ხის ფითხი "შპაკლი" - 10კგ
6. წებო ემულსია - 5 კგ
7. კარის პეტლი "ანჯამა": მარცხენა - 20 ცალი, მარჯვენა - 20 ცალი
8. კარის ჩასაკეტი "ზადვიშკა" - 30 ცალი
9. კარის შიდა საკეტი - 10 ცალი
10. ლურსმანი 100 მმ - 10 კგ
11. ლურსმანი 60 მმ - 5 კგ
12. ლურსმანი 20 მმ - 2 კგ
13. შურუპები "ქანჩები" 4 სმ - 300 ცალი
14. მინა 4 მმ - 50 კვმ
15. ფანჯრის გისოსი (ხრახნიანი) 166*175 სმ - 3 ცალი
16. დახერხილი ხე მასალა 3 მმ სისქის - 2კუბმ
17. უნიტაზი - 1 ცალი
18. ხელსაბანი - 2 ცალი
19. მეტლახი - 8კვმ
20. კაფელი - 25 კვმ
21. ჭერის პლასტიკატი - 8კვმ
22. საკანალიზაციო მილი 50მმ - 10გ/მ
23. წყლის მილი პლასტმასის წყლის 20მმ - 30გ/მ
24. "ვენტილი" 20 მმ - 3 ცალი
25. "ტრაინიკი" 50მმ - 3 ცალი
26. კუთხე 90 -იანი 50 მმ - 3 ცალი
27. საკანალიზაციო მილი 100 მმ - 5 გ/მ
28. "ტრაინიკი" 100 მმ- 2 ცალი
29. "გადასასვლელი" 50მმ/100მმ - 1 ცალი
30. კუთხე - 5 ცალი
31. მუფტა - 5 ცალი
32. ტრაპი - 1 ცალი
33. ცემენტი 400 -იანი - 500 კგ
34. ინერტული მასალა სილა - 500 კგ
35. დუშ-ტელეფონი - 1 ცალი
36. ხელსაბანის "სმესიტელი" - 1 ცალი

მიწოდების ადგილი - ქ.ზუგდიდი, სოხუმის ქ.N2 თსუ-ს ზუგდიდის ფილიალი.

ლოტი N8

1. რადიატორი პანელური - 46.8 გ/მ
2. ქვაბი გათბობის, თხევად საწვავზე, ლითონის კორპუსით 100000კ/კალ, ადგილზე დამონტაჟებით და გაშვებით - 1 ცალი
3. რადიატორის ვენტილიატორი (უკუმიწოდების) - 112 ცალი
4. მუფტა (ქურო) N20-1/2 - 140 ცალი
5. მილი (ფოლგით) 32 მმ - 160 მ
6. მილი (ფოლგით) 32 მმ - 120 მ
7. მილი (ფოლგით) 20 მმ - 140 მ
8. ჯვარისებრი (კრესტოვინა) 32 მმ- 50 ცალი
9. ჯვარისებრი (კრესტოვინა) 25 მმ- 10 ცალი
10. სამეული (ტროინიკი) 32 მმ - 10 ცალი
11. სამეული (ტროინიკი) 25 მმ - 50 ცალი
12. BH/P-32 "ამერიკანკა"- 15 ცალი
13. BH/P-25 "ამერიკანკა"- 12 ცალი
14. მილი ფოლადის 77 მმ - 80 გრძ/მ
15. მილი ფოლადის 50 მმ - 60 გრძ/მ
16. მილი ფოლადის 40 მმ - 20 გრძ/მ
17. მილი ფოლადის 32 მმ - 20 გრძ/მ
18. L-76 მმ - 20 ცალი
19. L-50 მმ - 18 ცალი
20. L-40 მმ - 10 ცალი
21. L-32 მმ - 10 ცალი
22. სახრახნისი (რეზბა) 1 - 15 ცალი
23. სახრახნისი (რეზბა) - 3/4 - 12 ცალი

მიწოდების ადგილი - ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N91, თსუ-ს მესხეთის ფილიალი.

ტენდერში გამარჯვებულმა ორგანიზაციამ საქონლის მიწოდება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 30 ნოემბრამდე, ეტაპობრივად წინასწარი მოთხოვნის შესაბამისად (მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღეში). მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და აკმაყოფილებდეს მოქმედ სტანდარტებს.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის სატენდერო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ, 4 ოქტომბრის 17.00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე. სატენდერო მოსაკრებლი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: კ/ბ "რესპუბლიკა", ანგ.ანგ.N345634, ბანკის კოდი 220101757, საიდენტიფიკაციო კოდი 204864548.

პრეტენდენტებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სამ ეგზემპლარად ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 5 ოქტომბრის 10.00 საათიდან 6 ოქტომბრის 14 საათამდე, შემდეგ მისამართზე:... ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 6 ოქტომბრის 14 საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის**:

1. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
2. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრებისა და რეაბილიტაციის საქმის წარმოება.
3. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.

**ფიზიკური პირებისათვის:**

**1.** ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.

**2.** ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობას მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან).

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

ტენდერში გამარჯვებული გამოვლინდება ლოტების მიხედვით.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატის წევრს: ინგა მერკვილიშვილი, ტელ: 25 15 48, 893 73 42 14. ქ.თბილისი, ჭავჭავაძის პრ.N1, თსუ-ს I-ლი კორპუსი, III სართული, საფინანსო სამსახური.

სატენდერო კომისია

# ნოდარ ახალკაცი: "იტალიისთვის გერმანიაში მოვემზადებით"

პირველი გვერდიდან

პესიმისტები იტყვიან, რომ არაფერი არ იცვლება - მოვუგეთ გამოკვეთილ აუტსაიდერ ფარერებს, საფრანგეთთან და უკრაინასთან კი დავმარცხდით. მაგრამ ეს ასე არაა, რაც ყველაზე უკეთ თავად ნაკრების ფეხბურთელებმა იციან. "რა თქვეს თბილისში, მაგრად გაგვლანძღეს?", - უკრაინასთან მატჩის მეორე დღეს სატელეფონო საუბარში მკითხა ჯაბა კანკავამ, რომელმაც ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად ეროვნული გუნდის ძირითად შემადგენლობაში მყარად დაიმკვიდრა ადგილი. კანკავას ცნობისმოყვარეობა და შიში კლაუს ტოპმიოლერს უკავშირდებოდა, რაც შემდგომ ფრაზაში დადასტურდა. "ტოპმიოლერის წინააღდეგ ხომ არ დაიწყეს გამოსვლები? თუ ასეა, დავღუპულვართ. ძლივს ნამდვილი მწვრთნელი დაგვინიშნეს, რომელმაც თავისი საქმე ხუთიანზე იცის. თუ აცლიან, მაგარ გუნდს გააკეთებს", - მითხრა ჯაბამ.

ეს შიში უადგილოა, რაც გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ნოდარ ახალკაცმა დამიდასტურა, რომელთან ინტერვიუსაც ქვემოთ გთავაზობთ. სანამ კითხვა-პასუხებს გაგაცნობთ, ჩემს მოსაზრებას დავაფიქსირებ. გარკვეულ წრეებში დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ქართულ ფეხბურთში არც ისე კარგად არის საქმე და დროა, ცვლილებები განხორციელდეს. ამის თუნდაც მცდელობა უდიდესი შეცდომა და ქართული ფეხბურთის საზიანოდ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება. იმის ნაცვლად, რომ, როგორც ქართველებს გვჩვევია, ერთმანეთს ხელი შევუშალოთ, დროა, მართლა ერთი გუნდი გავხდეთ და ერთხელ მაინც, დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ. თუმცა, ეს საუბრის სხვა თემაა, რასაც "24 საათი" არაერთხელ დაუბრუნდება.

**- შესარჩევი ციკლის სადებიუტო ეტაპმა ჩაიარა და დასკვნების გამოტანა უკვე ცივ გონებაზეა შესაძლებელი. რას იტყვით სადებიუტო თამაშებზე?**

- ქრონოლოგიურად რომ დავიწყო, ჯერ ფარერებს უნდა შევეხოთ. კუნძულელებთან შეხვედრის წინ ეროვნული ნაკრებში დიდი შიდა დაძაბულობა იყო - ყველას კარგად ესმოდა, რომ ფარერებზე აუცილებლად უნდა მოგვეგო და თუნდაც ფრე მკვეთრად უარყოფითი შედეგი იქნებოდა. საბოლოო ჯამში, ყველა რგოლმა კარგად იმუშავა - ეს ეხება როგორც ფეხბურთელებს და სამწვრთნელო შტაბს, ისე ფედერაციას, რომელმაც ორგანიზაციული თვალსაზრისით ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობა გასწია.

წინდაწინ ყველასათვის კარგად იყო ცნობილი, რომ საფრანგეთთან თამაში ძალიან რთული იქნებოდა. ვნახეთ მათი ბოლო ამხანაგური შეხვედრაც ბოსნიასთან, რომელიც ფრანგებმა 2:1 მოიგეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ თამაშში "სამფეროვნებმა" გამარჯვების გოლი ბოლო წუთებზე გაიტანეს, მთლიანობაში მათ ბევრად უფრო შეკრული და შეთამაშებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, ვიდრე ეს მსოფლიო ჩემპიონატზე იყო. ფრანგების საშემსრულებლო ოსტატობა და ამ გუნდის კლასი შემდეგ იტალიასთან თამაშშიც კარგად გამოჩნდა. ფაქტია - საფრანგეთის ნაკრები თანამედროვე სანაკრებო ფეხბურთის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი და განსაკუთრებული მოვლენაა. თუნდაც "ლიონი" - "რეალის" შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ფრანგული ფეხბურთის დღევანდელი აღმატებული მდგომარეობა.

დავუბრუნდები საქართველო-საფრანგეთის მატჩს. რთულია კომენტარი გააკეთო თამაშზე, რომლის მეთხუთმეტე წუთისთვის უკვე 0:2-ს მარცხდები. ვფიქრობ, მაინც ღირსეულად შევძელით თამაში და მომენტებიც საკმაოდ შევქმენით. ამჟამად ტოპმიოლერი და მისი სამწვრთნელო შტაბი იმყოფებიან ბერლინში, სანაკრებო მწვრთნელების შეკრებაზე, სადაც რაიმონ დომენეკიც არის ჩასული. მან კლაუს ტოპმიოლერთან საუბარში თქვა, რომ საქართველოსთან თამაში მის გუნდს უფრო გაუჭირდა, ვიდრე იტალიასთან. რა თქმა უნდა, იტალიის წინააღმდეგ ფრანგებს დამატებითი ფსიქოლოგიური მოტივაცია ჰქონდათ რევანშის აღების თვალსაზრისით, მაგრამ ამის მიუხედავადაც დომენეკის სიტყვები ბევრ რამეზე მეტყველებს. მთავარი იყო შეცდომების გაანალიზება და გათვალისწინება უკრაინასთან თამაშის წინ. მიმაჩნია, რომ ბლოხინის გუნდის წინააღმდეგ მატჩი ძალიან მაღალ დონეზე ჩავატარეთ. დავმარცხდით, რაც შეიძლება გარკვეულწილად უიღბლობას ან გარკვეულ გამოუცდელობასაც დააბრალო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: უკრაინამ პირველ



რიგში გვაჯობა იმით, რომ ამ გუნდის ფეხბურთელებს უახლოეს წარსულში ძალიან დიდი დრო აქვთ ერთად გატარებული, თანაც წარმატებით და მით უმეტეს - ისეთ დონეზე, როგორიცაა მსოფლიოს ჩემპიონატის არა მხოლოდ ფინალური ეტაპი, არამედ, პლეი ოფიც კი. შესაბამისად, მათ ბევრად უფრო სჯეროდათ წარმატების, ვიდრე ჩვენი გუნდის ფეხბურთელებს. აღარაფერს ვიტყვი მსაჯის მოქმედებებზე და მისი გადაწყვეტილებების შეფასებისგანაც თავს შევიკავებ.

**- ერთ თვეში მსოფლიო ჩემპიონი გვესტუმრება. როგორ მოემზადება საქართველოს ნაკრები და ფედერაცია?**

- საორგანიზაციო დეტალები ალბათ ნაკლებად საინტერესო იქნება. თუმცა ვიტყვი, რომ მსოფლიო ჩემპიონს უნდა დავხვდეთ ისე, როგორც ამ ტიტულის და რანგის გუნდს ეკადრება. ძალიან დიდი საორგანიზაციო სამუშაოა ჩასატარებელი სპორტული თვალსაზრისითაც. საქართველოს ნაკრები ამ მატჩისთვის განსაკუთრებულ რეჟიმში მოემზადება. იტალიელებთან თამაში 11 ოქტომბერს გვიწევს, ჩვენი გუნდი შეკრებას გერმანიაში, 2 ოქტომბერს დაიწყებს. ვისაც შაბათ-კვირას აქვს საკლუბო მატჩები, ის იმავე დღეს შემოგვიერთდება, ხოლო ვისაც ორშაბათს აქვს შეხვედრა - 3 ოქტომბერს. 4 ოქტომბრიდან სრულფასოვანი საწვრთნელი შეკრება დაიწყება და 7 ოქტომბერს, გერმანიის ქალაქ როსტოკში ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგურ სპარინგმატჩს ჩავატარებთ. ნაკრები თბილისში 8 ოქტომბერს, ჩარტერული რეისით გამოემგზავრება.

**- ყოველდღიური ურთიერთობა გაქვთ ნაკრების კაპიტან კახა კალაძესთან და სხვა ტრავმირებულ ფეხბურთელებთან. რამდენად სწრაფად მიმდინარეობს მათი რეაბილიტაციის პროცესი?**

- თითქოს ცოტა სტაბილური მდგომარეობა გვაქვს. ლევან ცქიტიშვილმა უკვე ითამაშა გასულ უქმეებზე. კახა კალაძეც ვარჯიშობს, თუმცა ჯერ კიდევ ინდივიდუალური პროგრამით. გოგა გახოკიძესაც ჯერ არ უთამაშია, თუმცა უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს. იგი დიდი ძალაა ნაკრებისთვის და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, ვისაც იტალიის ნაკრების კარში გოლი გაუტანია. ვნახოთ, ყველაფერზე, კერძოდ კი შეკითხვაზე - მაოსწრებენ თუ არა ეს ფეხბურთელები საბოლოოდ გამოჯანმრთელებას და სპორტული ფორმის აღდგენას - პასუხს დრო გაგვცემს. უახლოეს ორ კვირაში უფრო ნათელი სურათი გვექნება.

**- ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვისაც ოქტომბერი გადამწყვეტი თამაშების ეტაპია. რა შედეგს ელით 17 და 19 წლამდე ასაკის ნაკრებებისგან?**

- დავიწყებ ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებით, რომელიც 13, 15 და 17 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრებს გამართავს. ამ ტურნირს თბილისში ვუმასპინძლებთ, რაც ჩვენს გუნდს დამატებით შანსს და სტიმულს მისცემს შესარჩევი ეტაპის დასაძლევად. 17-წლამდელთა ნაკრების მომზადება 2006 წლის დასაწყისში დავიწყეთ, როცა ჯერ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა სასელექციო სამუშაოები, ხოლო შემდეგ, უკვე ჩამოყალიბებულმა გუნდმა რამდენიმე საწვრთნელი შეკრებაც გაიარა და საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრებიც გამართა. 17-წლამდელებმა პალანგის საერთაშორისო ტურნირში იმარჯვეს, მცირე ხნის წინ კი საკმაოდ წარმატებულად გამოვიდნენ საბერძნეთის ოთხთა საერთაშორისო ტურნირზეც. გუნდი კიდევ ერთ საწვრთნელ შეკრებას გაივლის და ყველა წინაპირობა არსებობს იმისთვის, რომ 17-წლამდელებმა ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვონ, რისი დიდი იმედიც გვაქვს.

რაც შეეხებათ 19-წლამდელებს, მათ ოქტომბრის დასაწყისში ელით შესარჩევი ტურნირი, რომელიც რუმინეთში გაიმართება. ჩვენს გუნდს მოუწევს ჩრდილოირლანდიელ, რუმინელ და ბელგიელ თანატოლებთან ჭიდილი. ამ ნაკრების ბირთვს დიდი გამოცდილება აქვს - ფეხბურთელთა უმეტეს ნაწილს 21-წლამდელთა ნაკრებში არაერთი შეხვედრა ჩაუტარებია, რამდენიმე ფეხბურთელს კი ეროვნული ნაკრების მაისურაც მოურგია. გვჯერა, რომ ჩვენს 19-წლამდელებს ევროპელ თანატოლებთან წარმატებული თამაშის უნარი შესწევთ. რუმინეთში გამგზავრებამდე, კერძოდ კი 19 და 21 სექტემბერს ჩვენი 19-წლამდელთა ნაკრები აზერბაიჯანის შესაბამისი ასაკის ნაკრებ გუნდთან ორ ამხანაგურ თამაშს ჩაატარებს.

# ჩინეთის დიდი კედელი ბერძენ-რომაელთა და "თავისუფალთა" მოლოდინშია

*ორსაათიანი მგზავრობის შემდეგ საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თამაზ გეგეშიძემ ბორჯომში ჩაგვიყვანა. მერე სპორტკომპლექს "ოლიმპიკის" კარიც შევაღეთ და დარბაზშიც შევაბიჯეთ. ორ ხალიჩაზე პარალელურად მიმდინარეობდა ბერძენ-რომაელთა ორთაბრძოლები. მონდომება არავის დაეწუნებოდა. მართალია, ასპარეზობას არანაირი საშეჯიბრო სტატუსი არ უმაგრებდა ზურგს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ საუკეთესოებს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ნაკრების წევრობა ჰქონდათ გარანტირებული, რთული წარმოსადგენი არ უნდა ყოფილიყო, თუ რა უშელავათო ორთაბრძოლები ჰქონდათ გაჩაღებული. თავის გამოჩენას, რა თქმა უნდა, ყველა ცდილობდა.*

გიგა გურასაშვილი

ერთ დარბაზში თავმოყრილნი იყვნენ როგორც ოლიმპიური თამაშების პრიზიორები, ისე მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები. ერთი სიტყვით, იშვიათი სანახაობა იყო - ბორჯომი, ერთი დარბაზი და ამდენი ტიტულოვანი ფალავანი. სანახაობა უფრო თვალშისაცემი იქნებოდა, მათ გვერდით, პარალელურად ოფლი "თავისუფლებსაც" რომ დაეღვარათ. აი, ტიტულები მერე დაგეთვალათ.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საქართველოს ბერძენ-რომაელთა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებები უმთავრესი ასპარეზობისთვის გამალებით ემზადებიან. მსოფლიოს ჩეპიონატამდეც არაა დიდი დრო. რამდენიმე დღეც და სანერვიულოც გაგვიჩნდება.

ბორჯომში გუშინდელი ჩვენი ვიზიტის უმთავრესი მიზანი ის იყო, რომ ადგილზე გავცნობოდით ქართველ ფალავანთა მზადებას და გამგზავრების წინ გავსაუბრებოდით მწვრთნელებს. მართალი გითხრათ, პროგნოზებისგან ყველა თავს იკავებდა. აკი, "თავისუფალთა" ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ გვითხრა კიდეც: წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ერთადერთი რასაც გპირდებით, ეს კარგი ჭიდაობააო.

ხოლო როდესაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ლუკა კურტანიძეს ვკითხე, ტიტულების გასამმაგებას არ აპირებ-მეთქი? მიპასუხა - მინდაო. ჯანზე თუ ხარ-მეთქი? - ყველაფერს ვბრდღვნიო. თუ ასეა ისიც მითხარი, ფინალამდე ვისთან შეხვედრას არ ისურვებდი-მეთქი? - მან კი - რა მნიშვნელობა აქვს, ყველასთან საბრძოლველად მზად ვარ. თუ მომგები ვარ, ისედაც მოვიგებო.

მოგვიანებით ერთგვარ პრესკონფერენციაზეც მიგვიწვიეს, რომელსაც ნაკრების თითოეული წევრი, მწვრთნელები, ფედერაციის ხელმძღვანელობა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური ესწრებოდნენ.

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ თავდაპირველად ბოდიშიც კი მოგვიხადა - შეგაწუხეთ და აქ ჩამოგიყვანეთო. მერე კი განაგრძო - ფედერაციამ თადარიგი დაიჭირა და ნაკრებებს ჩინეთში ერთი კვირით ადრე უშვებს - აკლიმატიზაციისთვის.

ისე, მგონი, პირველი შემთხვევაა, როდესაც ერთმა კონკრეტულმა ფედერაციამ ასეთი რამ გააკეთა. ნაკრებები კი 16 სექტემბერს მიემგზავრებიან. მსოფლიოს ჩემპიონატს (25 სექტემბერი - 1 ოქტომბერი) გუანჯოუ, ჩინეთი მასპინძლობს.

გეწაძემ ესეც კი უთხრა საკუთარ სამწყსოს - იცოდეთ, აეროპორტში დროშებით, ფეიერვერკებითა და ზარ-ზეიმით მოსვლას ვაპირებ და ტყუილად არ მომიყვანოთ, მედლები ჩამოიტანეთო.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თვამჯდომარემ კი ბიჭები შეაგულიანა, იცოდეთ, რომ თქვენც ისე გგულშემატკივრობთ, როგორც ფეხბურთელებსა თუ კალათბურთელებსო. თქვენს შედეგებზეა დამოკიდებული ის სიურპრიზებიც, რომლებსაც თბილისში დაბრუნებისას გიმზადებთო.

ბერძენ-რომაელები და "თავისუფლებიც" კარგ გუნებაზე იყვნენ, ეს კი კარგის ნიშანია.

სხვათა შორის, საზოგადოებრივი მაუწყებელი მსოფლიოს ჩემპიონატის პირდაპირ ტრანსლაციებს გვპირდება გუანჯოუდან. ასე რომ, საგულშემატკივროდ მოვემზადოთ.

ესეც ის შვიდეულები, რომლებიც ჩინეთში მსოფლიოს ჩემპონატზე იასპარეზებენ.

ბერძენ-რომაელები: ირაკლი ჭოჭუა (55 კგ.), დავით ბედინაძე (60 კგ.), ლაშა ლომაძე (66 კგ.), მანუჩარ კვირკველია (74 კგ.), ბადრი ხასაია (84 კგ.), რამაზ ნოზაძე (96 კგ.), გიორგი ჭელიძე (მძიმე წონა).

"თავისუფლები": ბესიკ გოჩაშვილი (55 კგ.), დავით პოღოსიანი (60 კგ.), ოთარ თუშიშვილი (66 კგ.), გელა საღირაშვილი (74 კგ.), რევაზ მინდორაშვილი (84 კგ.), გიორგი გოგშელიძე (96 კგ.), ლუკა კურტანიძე (მძიმე წონა).





*ბერძენ-რომაელები და "თავისუფლები" მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გუნება-განწყობას არ უჩივიან.*

## მოწვევა ტენდერში მონაწილეობაზე

მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელი სააგენტო (მგპგს) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინსტროს სახელით გიწვევთ დალუქული სატენდერო წინადადებების წარსადგენად შემდეგ სამუშაოებზე: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის რაიონული ოფისების (ოზურგეთი, ხარაგაული, ყვარელი, ქუთაისი) რეაბილიტაცია.

AMA

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა უნდა მიმართონ მდგრადი განვითარების პროექტების განმახორციელებელ სააგენტოს შემდეგ მისამართზე: საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ.6. მე-6 სართული; ტელ:. 752415/16/17. საკონტაქტო პირი: მანანა გვასალია, ან/და იხილონ სააგენტოს ვებ გვერდი: www.sdpia.ge ტენდერების ნაწილი.

სატენდერო პაკეტების გაცემა დაიწყება 15 სექტებმრიდან. დოკუმენტაციის ჩაბარების ბოლო ვადაა 2006 წლის

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06, 893 65 38 39



## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.
მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



**გთავაზობთ:**
- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26, 23 56 26
E-mail: info@nautilus.ge, reception@nautilus.ge





24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### აბრამოვიჩი ყაზახური ნიკელით დაინტერესდა

რომან აბრამოვიჩის კომპანია Evraz Group-ი ბრიტანული კომპანია Oriel Resources-ის შესყიდვით დაინტერესდა. აღნიშნული კომპანია ყაზახეთში ქრომსა და ნიკელს მოიპოვებს.

აღნიშნულ ინფორმაციას რუს მილიარდერთან დაახლოებული პირებიც ადასტურებენ და აცხადებენ, რომ აბრამოვიჩი Oriel Resources-ის წილის შესყიდვით დაინტერესებულია. ბრიტანულ კომპანიას ყაზახეთში ნიკელისა და ქრომის მოპოვების ლიცენზია უკვე დიდი ხანია აქვს, თუმცა ბრიტანელებს მუშაობა ჯერ არ დაუწყიათ.

ამჟამად კომპანია Oriel Resources-ი სხვა დაინტერესებულ პირებთან აწარმოებს მოლაპარაკებებს, რომლის დასრულების შემდეგ კომპანია Evraz Group-ს აქციების მსხვილ პაკეტს მიჰყიდის.

კომპანია Oriel Resources-ი ყაზახეთში ქარხნის მშენებლობას დაიწყებს, რომელიც წელიწადში, დაახლოებით, 30 ათას ტონა ნიკელს აწარმოებს. კომპანიის ხელმძღვანელობის თქმით, ახალი ქარხანა მსოფლიოში ნიკელის ერთ-ერთი უმსხვილესი მწარმოებელი იქნება. Oriel Resources-ი 2003 წელს დაარსდა და დღეს მარაგის სახით 19,5 მილიონ ტონა რესურსს ფლობს.

### FORD მაქსიმალურ ეკონომიაზე გადადის

კომპანია Ford Motor Co-ს ხელმძღვანელობა "Way Forward"- რესტრუქტურიზაციის პროექტის ფარგლებში კომპანიის სამომავლო მოღვაწეობის გზებს განიხილავას. ამის შესახებ საავტომობილო კომპანიის პრეზიდენტმა ჯერ კიდევ 2006 წლის იანვარში განაცხადა.

წინასწარ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კომპანია კიდევ ექვსი ათას სამუშაო ადგილს გააუქმებს და ამასთან პრემიებსა და ანაზღაურებებს 30 პროცენტით შეამცირებს. Wall Street Journal-ის ინფორმაციით, ხელმძღვანელობის ზუსტი გადაწყვეტილება პარასკევს გახდება ცნობილი.

2006 წლის დასაწყისში კომპანია fORD-მა 30 ათასი სამუშაო ადგილის, ანუ კომპანიის კადრების 25 პროცენტის შემცირების შესახებ განაცხადა. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ლიკვიდირებულ იქნა 4 ათასი სამუშაო ადგილი. ამასთან ერთად კომპანიის ხელმძღვანელობა 2012 წლისთვის კომპანიის 14 განყოფილების დახურვასაც გეგმავს. 2006 წლის პირველ ნახევარში კომპანია Ford-ის ზარალმა 1,4 მილიარდ დოლარს მიაღწია. Ford-ში "ეკონომიური პოლიტიკის" გატარება კომპანიის ინვესტორების მოთხოვნებმაც დააჩქარეს. ისინი ხელმძღვანელობისგან დანახარჯების მინიმუმამდე დაყვანასა და მოგების გაზრდას მოითხოვენ. ანალიტიკოსების აზრით, ავტომწარმოებლებს მართლაც მოუხდებათ აქტივების გაყიდვა. ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ Ford Motor Co-ს დირექტორთა საბჭომ კომპანიის ფინანსური განყოფილების გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა ამ ფაქტს კომპანიის წარმომადგენელი ოსკარ სურისი არ ადასტურებს.

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3108 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9841 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4751 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7450 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8148 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1314 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2966 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3042 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2125 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4142 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3356 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1895 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1483 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2705 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1900 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2458 |
| 1 | ისრაელის სექელი | ILS | 0,3989 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5575 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1612 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4270 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3096 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2650 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5577 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5862 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0651 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1065 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4500 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5158 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4204 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4837 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8086 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0343 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1384 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4434 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2396 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3933 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0778 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2196 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2243 |




# ბიზნესმენთა ფედერაციამ ცვლილებების პროექტი მოამზადა

## რა ცვლილებებია შესატანი ახალ საგადასახადო კოდექსში?

*განვლილმა თითქმის ორმა წელიწადმა ახალი საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა ტიპის ნაკლოვანებები აშკარა გახადა. ექსპერტებისა და ბიზნესკომპანიების ერთ ნაწილი მასში შესატანი ცვლილებების აუცილებლობაზე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ალაპარაკდა.*

გუშინ კი ბიზნესმენთა ფედერაციაში სპეციალისტების მიერ უკვე მომზადებული ცვლილებების პროექტის პრეზენტაცია მოეწყო. ფედერაციის ინფორმაციით, პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს - USAID, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტის მხარდაჭერით და ბიზნესმენთა მოსაზრებების გათვალისწინებით შემუშავდა.



B4

# სადაზღვევო ბაზრის ახალი ტენდენციები

მარიამ ჭაჭვაძე

*საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ერთ-ერთი ის იშვიათი შემთხვევაა, სადაც მოთხოვნა და მიწოდება უსწრაფესი ტემპებით იზრდება. დაზღვეულ პირთა რაოდენობა და, შესაბამისად, აქედან მიღებული შემოსავლები შარშანდელთან შედარებით წელს დაახლოებით 25 პროცენტით გაიზარდა. ამ ბაზარზე რომ მართლაც უკომპრომისო კონკურენციაა, ამას ქვემოთ მოყვანილი მაჩვენებლებიც ადასტურებს.*

ზოგადად, საქართველოს სადაზღვევო ბაზრისა და მიმდინარე წლის პირველ კვარტალში არსებული ტენდენციების შესახებ "24 საათი" აპრილში დეტალურად წერდა. მომდევნო თვეების შემდეგ ამ ბაზარზე ვითარება სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვნად შეიცვალა.

სადაზღვევო კომპანიების ხვედრითი წილი ბაზარზე
(2006 წლის I ნახევარი)

| № | სადაზღვევო კომპანიების დასახელება | წილი % |
|---|---|---|
| 1 | ალდაგი | 30.1 |
| 2 | ჯიპიაი ჰოლდინგი | 16.6 |
| 3 | ბისიაი | 16.5 |
| 4 | იმედი L | 15.2 |
| 5 | ქართუ | 6.4 |
| 6 | ირაო | 7.0 |
| 7 | AIG ევროპა (საქართველოს ფილიალი) | 1.7 |
| 8 | აი სი ჯგუფი | 1.6 |
| 9 | ეროვნული ბანკი (საპენსიო სქემა) | 1.2 |
| 10 | გეოპოლისი | 1.0 |
| 11 | ვესტი | 0.7 |
| 12 | საქართველოს სადაზღვევო კომპანია | 0.6 |
| 13 | ოლიმპი | 0.6 |
| 14 | პაისი | 0.5 |
| 15 | ანკორა | 0.3 |
| 16 | სულ | 100 |

სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიების მოცულობა
(2006 წლის I ნახევარი)

| № | სადაზღვევო კომპანიების დასახელება | პრემია (ლარი) |
|---|---|---|
| 1 | ალდაგი | 9.815.166 |
| 2 | ჯიპიაი ჰოლდინგი | 8.183.617 |
| 3 | ბისიაი | 6.810.034 |
| 4 | იმედი L | 4.192.824 |
| 5 | ქართუ | 2.445.940 |
| 6 | ირაო | 2.087.078 |
| 7 | AIG ევროპა (საქართველოს ფილიალი) | 647.158 |
| 8 | აი სი ჯგუფი | 890.304 |
| 9 | ეროვნული ბანკი (საპენსიო სქემა) | 390.813 |
| 10 | გეოპოლისი | 326.618 |
| 11 | ვესტი | 181.976 |
| 12 | საქართველოს სადაზღვევო კომპანია | 170.817 |
| 13 | ოლიმპი | 166.555 |
| 14 | პაისი | 104.565 |
| 15 | ანკორა | 55.675 |
| 16 | სულ | 36.469.164 |

B2

# რთული რთველი

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

*ამ დროისთვის კახეთში რთველი, წესით, აქტიურ ფაზაში უნდა იყოს შესული, მაგრამ გლეხმა ჯერ ისევ არ იცის, რომელი ქარხანა მიიღებს მის მოსავალს და რა ფასად.*

*კახელებს ამ დროისთვის მოახლოებულ თვითმმართველობის არჩევნებზე მეტად მოწეული მოსავლის დაბინავება ადარდებთ, რადგან ნაადრევად დამწიფებული ყურძენი ლპობაშია შესული. ღვინის ქარხნები გლეხის მოსავლის მიღებისთვის ჯერ მზად არ არიან, რადგან მათ საკუთარი ვენახები აქვთ დასაკრეფი.*

**როგორც კახელი გლეხები ამბობენ, 22 ქარხანაც სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ რეგიონის ყურძენი დაბინავდეს, მაგრამ წლის მოსავლის ჩაბარების სურვილი უმეტესობას უკვე აღარ გააჩნია. ამის მიზეზად ისინი ღვინის ქარხნების მიერ შემოთავაზებულ დაბალ ფასს ასახელებენ.**



B3

## იტალიურ კონცერნ CIFA-ს პროდუქტით აქსისი დაინტერესდა

ახლად გახსნილ იტალიურ კონცერნ CIFA-ს პროდუქტით დეველოპერული კომპანია "აქსისი" დაინტერესდა. როგორც სააგენტო GBC-ის სამშენებლო კომპანია "აქსისის" მთავარმა ინჟინერმა ლევან გვენეტაძემ განუცხადა, კონცერნის მიერ შემოთავაზებული პროდუქტი მთელს მსოფლიოში დომინირებს, ამ ეტაპზე კონცერნმა პირველი ნაბიჯი გადადგა და საქართველოში თავისი ხარისხიანი პროდუქტი შემოიტანა. "ჩვენი კომპანია სართულებზე ბეტონის გამანაწილებელი სისტემებით და ბეტონის მიმწოდებელი ტუმბოებით დაინტერესდა. ცნობილია, რომ "აქსისი" ვაკეში ორ ტყუპ ცათამბჯენს აშენებს. შესაბამისად, ტექნიკამ დაახლოებით 150 მეტრზე უნდა მიაწოდოს ბეტონი ქვემოდან ზემოთ. აქედან გამომდინარე, მოწინავე ტექნოლოგიები ჩვენთვის აქტუალური და მნიშვნელოვანია ამ პროექტის წარმატებით დასასრულებლად," - განმარტავს ლევან გვენეტაძე. კომპანია "აქსისი" ამ მიმართულებით აქტიურად თანამშრომლობს იტალიური კონცერნი CIFA-ს ოფიციალურ დილერკომპანია "თეგეტა მოტორსთან." "აქსისში" ტექნიკის შეძენის გზებს განიხილავენ. არ არის გამორიცხული, რომ მათ "თი ბი სი ლიზინგიც" გამოიყენონ. **GBC**

## ქუვეითში საქართველოდან სასმელი წყლის ექსპორტი იგეგმება

ქუვეითი მზად არის, ქართული წყლის მომხმარებელი გახდეს. წლის ექსპორტის იდეა ქუვეითის პრემიერ-მინისტრ, შეიხ ნასერ ალ მუჰამედ ახმად ალ საბაჰის და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის შეხვედრისას წამოიჭრა.

ქუვეითის პრემიერ-მინისტრი არ გამორიცხავს, რომ საქართველოდან წყალი არა მხოლოდ ქუვეითში, არამედ სპარსეთის ყურეშიც გავიდეს. მისი განცხადებით, ლიბერალური საბაჟო-საგადასახადო რეჟიმი საქართველოში სოლიდური ინვესტიციების დაბანდების საშუალებას იძლევა. ქუვეითის დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი იყო საქართველო-ქუვეითის ბიზნესფორუმის გამართვა, თუმცა აღნიშნული ღონისძიება საქართველოში ქუვეითელი ბიზნესმენების ვიზიტის გადადების გამო ჩაიშალა. ფორუმის ორგანიზებას საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო უზრუნველყოფდა. როგორც GBC-ის ეროვნული საინვესტიციო სააგენტოდან აცნობეს, ფორუმი არ შედგა იმის გამო, რომ საქართველოს ქუვეითის სამთავრობო დელეგაცია იქაური ბიზნესმენების თანხლების გარეშე ესტუმრა. **GBC**

## ქართველი ბიზნესმენები ნოემბრის ბოლოს ქუვეითს ეწვევიან

საქართველოდან ბიზნესმენთა 15-კაციანი დელეგაცია ქუვეითში ნოემბრის ბოლოს გაემგზავრება. "გაცნობით შეხვედრაზე ქართველი ბიზნესმენები საკუთარ პროექტებს წარადგენენ. ქუვეითის ბიზნესწრეები დაინტერესებულნი არიან უძრავი ქონებისა და საბანკო ბიზნესით, ჩვენ ორიენტირებულნი ვართ მეტი ინვესტიციების მოზიდვაზე," - განუცხადა GBC-ის საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარემ ჯემალ ინაიშვილმა. მისი ინფორმაცით, ქუვეითის ბიზნესწრეების ინტერესების შესახებ, საქართველოს პალატის წარმომადგენლობასთან გამართულ შეხვედრაზე ქუვეითის სავაჭრო პალატის პრეზიდენტმა ალი მუჰამედ თხუნაიან ალ განიმა ისაუბრა, რომელიც საქართველოში ვიზიტით მყოფ ქუვეითის სამთავრობო დელეგაციის წევრია. საქართველოში სოლიდური ინვესტიციების განხორციელების თაობაზე განცხადება ქუვეითის პრემიერ-მინისტრთან, შეიხ ნასერ ალმოჰამედ ალ ახმად ალ საბაჰთან გამართული შეხვდრის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გააკეთა. აღნიშნულ შეხვედრაზე საქართველოსა და ქუვეითის ერთობლივი ბიზნესსაბჭოს შექმნის თაობაზე შეთანხმდნენ. **GBC**

## ბიზნესმენთა ფედერაცია ფისკალური უწყებების გაერთიანებას მიესალმება

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია მიესალმება ფისკალურ უწყებათა გაერთიანებას, თუმცა საბოლოო მოსაზრებების ჩამოყალიბება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც შესაბამისი კანონპროექტი რეალურად დაიწერება - ამის შესახებ სააგენტო GBC-ს ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ განუმარტა. "ის ფაქტი, რომ ფინანსური პოლიციის, საგადასახადო და საბაჟო სამსახურები ერთიანდება, და როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ე.წ. დამსჯელი რგოლის როლი (იგულისხმება ფინანსური პოლიცია) მეორე პლანზე გადადის, ეს მხოლოდ და მხოლოდ წაახალისებს ბიზნესს და ამ სფეროს მოტივაციას უფრო სერიოზულს გახდის. ჩვენთვის დღეს მთავარია, ბიზნესი იხდიდეს გადასახადს, მაგრამ, თუ პარალელურ რეჟიმში გადამხდელთა რაოდენობა სერიოზულად არ გაიზარდა, სერიოზულ კოლაფსამდე მივალთ," - განმარტავს ისაკაძე. **GBC**

# სადაზღვევო ბაზრის ახალი ტენდენციები

პირველი გვერდიდან

### ზოგადი მიმოხილვა

წელს პირველ ექვს თვეში სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდულმა პრემიამ 36 მილიონ ლარს გადააჭარბა, საიდანაც 18 მილიონზე ოდნავ მეტი მეორე კვარტალზე მოდიოდა. ეს უკანასკნელი მაჩვენებელი თითქმის 4 მილიონი ლარით მეტია გასული წლის შესაბამის პერიოდზე.

მოზიდული პრემიის გარდა, მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალი. წელს, იანვრიდან ივლისამდე, 14 მილიონ 720 ათასი ლარის მოცულობის ზარალი ანაზღაურდა. აღსანიშნავია, რომ წელს კომპანიების მიერ ანაზღაურებული ზარალი მთლიანი მოზიდული პრემიის თითქმის 30 პროცენტს შეადგენს, ეს კი გარკვეულწილად იმაზეც მიუთითებს, რომ დაზღვევა, როგორც ბიზნესის ერთ-ერთი სახეობა, საკმაოდ მომგებიანია.

სადაზღვევო კომპანიათა გადახდისუნარიანობის ამაღლებისა და აღებული ფინანსური რისკების გადანაწილების მიზნით, წელს გადაზღვევა განახორციელა 9 კომპანიამ.

გადამზღვეველის კუთვნილმა პრემიამ წელს, პირველ ნახევარში 14 მილიონ ლარს გადააჭარბა, ხოლო მის მიერ ანაზღაურებულმა ზარალმა მხოლოდ 2 მილიონ 500 ათასი ლარი შეადგინა.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ბოლო მონაცემებით საქართველოში 15 სადაზღვევო კომპანია ფუნქციონირებს, თუმცა მათგან ყველაზე აქტიური მხოლოდ შვიდია. აქტიურობაში იგულისხმება როგორც გაყიდული პროდუქტის, ისე მოზიდული და ანაზღაურებული პრემიების რაოდენობა.

### რას აზღვევენ ყველაზე ხშირად?

17 ძირითადი სადაზღვევო პროდუქტიდან წელს, პრაქტიკულად, ყველა მათგანზე დაფიქსირდა მომხმარებლის გაზრდილი მოთხოვნა, მათ შორის ყველაზე უკეთ ქონების დაზღვევა გაიყიდა. დაზღვევის ამ პროდუქტიდან მოზიდული პრემიის მოცულობამ წლის პირველ და მეორე კვარტალში 7 მილიონ ლარს გადააჭარბა, ხოლო ანაზღაურებულმა ზარალმა - მხოლოდ ნახევარი მილიონი. ცნობისათვის, წლის პირველ ნახევარში ქონების დაზღვევიდან შემოსულმა თანხამ მთლიანი მოზიდული პრემიის 25,2 პროცენტი შეადგინა.

თუმცა, ამ მხრივ გამონაკლისი მხოლოდ წლევანდელი წელი როდია. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, როგორც სადაზღვევო კომპანიების მიერ გამოქვეყნებული ანგარიშები აჩვენებს, საქართველოში ყველაზე ხშირად ქონებას აზღვევენ.

წლიური ანგარიშების გარდა, სადაზღვევო კომპანია "ალდაგმა" მოსახლეობაში სპეციალური კვლევა ჩაატარა, რამაც აჩვენა, რომ საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი უპირატესობას ქონების დაზღვევას ანიჭებს, ვიდრე საკუთარი უსაფრთხოებისა.

სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ საქართველო ერთ-ერთი ის იშვიათი გამონაკლისია, სადაც მოქალაქეები საკუთარ ჯანმრთელობას უფრო უკანა პლანზე აყენებენ, ვიდრე პირად საკუთრებას. როგორც წესი, იმ სახელმწიფოებში, სადაც სადაზღვევო ბაზარი ასეთივე ან კიდევ უფრო მეტი წარმატებით ვითარდება, მოქალაქეები ყველაზე ხშირად იმ სადაზღვევო პროდუქტს ყიდულობენ, რაც მათ ფიზიკურ უსაფრთხოებას უკავშირდება.

"ალდაგის" მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი ვახტანგ გუჯაბიძე ამას შემდეგი ფსიქოლოგიური მომენტით ხსნის: **"ალბათ, ადამიანები არ უშვებენ იმას, რომ მას ან მისი ოჯახის წევრებს, შესაძლოა, რამე შეემთხვათ, ჰგონიათ, რომ ფრთხილად იქნებიან და ცუდისგან დაზღვეულები არიან."**

და მაინც, ჯანმრთელობის ანუ იგივე სამედიცინო დაზღვევაზე მოთხოვნა დღეს სწრაფი ტემპებით იზრდება. გაყიდვების თვალსაზრისით წლის პირველ ნახევარში სამედიცინო დაზღვევა მეორე ადგილზეა (საერთო პრემიის 18,7 პროცენტი), რასაც ოდნავ ჩამორჩება ავტომობილების დაზღვევა (18,6 %). დაზღვევის ეს სახეობა ყველაზე მეტი (2 მილიონ 160 ათასი ლარი) წელს "ალდაგმა" გაყიდა.

გაყიდვების მიხედვით მომდევნო, მეოთხე პოზიციას იკავებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა (11,7 %).

ერთი საინტერესო დეტალი: ქონების დაზღვევის ერთგვარი ბუმი საქართველოში 2002 და მომდევნო ორი წლის განმავლობაში შეიმჩნეოდა. ამ პროდუქტზე განსაკუთრებულ მოთხოვნას ექსპერტები ოთხი წლის წინ თბილისში მომხდარი მიწისძვრით ხსნიან, რამაც მოსახლეობაში ერთგვარი შიში გააჩინა. უკანასკნელ წლებში ეს შიში ერთგვარად განელდა და ახლა, როგორც სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები აღნიშნავენ, გეომეტრიული პროგრესიით იზრდება მოთხოვნა ავტომობილების დაზღვევაზე. მაგალითად, "ალდაგმა" ამ პროდუქტების გაყიდვების მაჩვენებელი წელს, შარშანდელთან შედარებით, თითქმის 200% გაზარდა.

### სადაზღვევო ბაზრის ლიდერები

სადაზღვევო ბაზარზე რომ მძაფრი კონკურენციაა, ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ კომპანიები მოზიდული და ანაზღაურებული პრემიების რეიტინგებში პოზიციებს წელიწადში რამდენჯერმე იცვლიან.

შედარებისთვის: თუკი წლის პირველ კვარტალში სადაზღვევო ბაზრის ერთპიროვნული ლიდერი "ჯიპიაი ჰოლდინგი" იყო (ამ დროისთვის ის ბაზრის 27%-ს ფლობდა), მეორე კვარტლის ბოლოს პირველ ადგილზე "ალდაგმა" გადმოინაცვლა.

2006 წელს იანვრიდან ივნისის ჩათვლით "ალდაგმა" სადაზღვევო პრემიის სახით თითქმის 10 მილიონი ლარი აკრიფა, რაც 2 მილიონით აღემატება მისი კონკურენტის "ჯიპიაი ჰოლდინგის" მიერ მოზიდულ პრემიას. თუმცა ეს უკანასკნელი ანაზღაურებული ზარალის თვალსაზრისით "ალდაგს" თითქმის 700 ათასი ლარით უსწრებს. სადაზღვევო ბაზრის ლიდერმა წლის პირველ ნახევარში 2 მილიონ 340 ათასი ლარის ზარალი აანაზღაურა.

დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უკანასკნელი მონაცემებით "ალდაგი" ბაზრის 30,1%-ს.

დაზღვევის ძირითადი სახეობებიდან 9-ში "ალდაგი" ლიდერობს, მათ შორის - ავტომობილების, ტვირთების, სიცოცხლის, სამოქალაქო პასუხისმგებლობის, ფინანსური რისკებისა და სხვა პროდუქტის დაზღვევაში.

სამედიცინო, ანუ იგივე ჯანმრთელობის დაზღვევა წლის პირველ ნახევარში ყველაზე მეტი (4 მილიონ 312 ათასი ლარი) "ჯიპიაი ჰოლდინგმა" გაყიდა.

მართალია, კომპანია "იმედი ლ" რეიტინგში მხოლოდ მეოთხე პოზიციას (საერთო სადაზღვევო ბაზრის 15,2%) იკავებს, თუმცა ბოლო მონაცემებით ქონების ყველაზე მეტი (2 მილიონ 437 ათასი ლარი) დაზღვევა წელს სწორედ მან გაყიდა.

სადაზღვევო ბაზრის მესამე ადგილი სტაბილურად ერთ კომპანიას, "ბისიაის" უკავია. პირველ ნახევარში მის მიერ მოზიდული პრემიის რაოდენობამ 6 მილიონ 800 ათასს გადააჭარბა. "ბისიაის" წილი ბაზარზე დღეს 16,5%-ია. ამ კომპანიამ წელს ყველაზე მეტი გადამზიდველთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა გაყიდა.

### რატომ იზრდება სადაზღვევო ბაზარი?

ყველაზე დადებითი ტენდენცია, რაც დღეს ამ ბაზარზე შეიმჩნევა, არის ის, რომ სულ უფრო და უფრო მეტი ფიზიკური პირი ხდება სადაზღვევო კომპანიების კლიენტი. ეს, ერთის მხრივ, თავად კომპანიების აქტიურობით და სხვადასხვა პიარაქციებით შეიძლება აიხსნას, მეორე მხრივ, იმით, რომ თანდათან მოქალაქეთა ცნობიერებაში ხდება დაზღვევის კულტურის ჩამოყალიბება. **"ხალხი ხვდება, თუ რა მნიშვნელობა აქვს დაზღვევას და როგორ შეიძლება ამით აიცილო მომავალში შესაძლო სერიოზული დანახარჯები,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის შემდეგ ვახტანგ გუჯაბიძემ.

იყო წლები, როცა სადაზღვევო კომპანიები უფრო მეტად ორიენტირებულები იყვნენ იურიდიულ პირებზე, ძირითადად, ორი მიზეზის გამო: პირველი - ფინანსური რესურსები იურიდიულ პირებს ყოველთვის მეტი გააჩნიათ, ვიდრე ფიზიკურ პირებს; და მეორე, ამ უკანასკნელთა მხრიდან ნდობა სადაზღვევო კომპანიების მიმართ წლების განმავლობაში ძალიან დაბალი იყო.

გასულ წლებში ანაზღაურებული ზარალების მოცულობამ ნელნელა, თუმცა მაინც ხელი შეუწყო მოსახლეობაში ნდობის გაჩენას. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიებმა დაიწყეს აქცენტების შეცვლა და ახლა ისინი უკვე ფოკუსს ფიზიკურ პირებზე აკეთებენ.

კლიენტებს შორის ფიზიკური პირების ზრდა კიდევ იმ ფაქტორმაც განაპირობა, რომ დღეს ძალიან ბევრი სადაზღვევო პროდუქტი გაცილებით ხელმისაწვდომი გახდა, ვიდრე ეს გასულ წლებში იყო. დაზღვევის გაიაფება კი, თავის მხრივ, გამოწვეულია იმ დიდი კონკურენციით, რომელიც დღეს ამ ბაზარზეა.

### რა სჭირდება დღეს სადაზღვევო ბაზარს?

მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტები და თავად სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები, ამ სფეროში არსებულ საკანონმდებლო ბაზას თითქმის არ უჩივიან, კომპანიების ერთი ნაწილი მაინც ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ მათ მიმართ გარკვეული პროტექციონისტული პოლიტიკა აუცილებლად უნდა გაატაროს. ამბობენ, რომ ხელისუფლებამ - როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელმა - დაზღვევის რამდენიმე სახეობა სავალდებულო უნდა გახადოს, საწყის ეტაპზე მაინც. **"ასეთ პროტექციონისტულ პოლიტიკას ძალიან ბევრი სახელმწიფო დღესაც ატარებს და ამაში ცუდი არაფერია. ასეთი მიდგომა მომხმარებელს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, თუ რამდენად აუცილებელია ესა თუ ის სადაზღვევო პრიდუქტი,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს "ალდაგის" მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით დაზღვევის არც ერთი სახეობა არ არის სავალდებულო, თუმცა რამდენიმე წლის წინ დაზღვევის შესახებ კანონი ავტომობილების მფლობელებს სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევას ავალდებულობდა. დღეს ის 2007 წლამდეა შეჩერებული.

ვახტანგ გუჯაბიძე ამბობს, რომ სასურველი იქნება, თუკი ასევე სავალდებულო გახდება პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, რადგან დღეს ძალიან გახშირდა შემთხვევები, როცა გარკვეული პროფესიის ადამიანთა პროფესიული შეცდომის გამო სერიოზული ზიანი მიადგა მათ კლიენტებს და იმ ორგანიზაციებს, სადაც ისინი მუშაობდნენ.

პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა მსოფლიოს ძალიან ბევრი სადაზღვევო კომპანიისთვის პრიორიტეტული პროდუქტია. ვახტანგ გუჯაბიძის თქმით: **"ექიმი იქნება, ადვოკატი თუ სხვა მრავალი პროფესიის ადამიანი, ლიცენზიას ვერ აიღებს, თუკი მას არ ექნება პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ამ პროდუქტზე სერიოზულად მუშაობას ვიწყებთ."**

# ჯანმრთელობის დაზღვევა ხელმისაწვდომი ხდება

ნინო ნატროშვილი

საქართველოში სადაზღვევო ბაზრი საკმაოდ სწრაფად ვითარდება. ბოლო მონაცემებით, ამ ბაზარზე 15 სადაზღვევო კომპანია საქმიანობს, თუმცა მის ძირითად სეგმენტს დაახლოებით ექვსი კომპანია ინაწილებს. ძირითადად, სადაზღვევო კომპანიები აქცენტს კორპორატიული მომხმარებლის მოზიდვაზე აკეთებდნენ, თუმცა საცალო ბაზარზე დაინტერესება ნელ-ნელა იზრდება, რომლის ახალი პროდუქტებით ათვისება სადაზღვეეო კომპანია BCI-იმ საკმაოდ წარმატებულად დაიწყო. მიმდინარე წლის მონაცემებით, კომპანიას ბაზრის 21 პროცენტი უკავია.

"24 საათი" სადაზღვეეო ბაზარზე მიმდინარე პროცებსა და სიახლეებზე BCI-ის ხელმძღვანელს თორნიკე გოგიჩაიშვილს ესაუბრა.

**- ბატონო თორნიკე, იქნებ მოკლედ გვიამბოთ თქვენი კომპანიის შესახებ და რამ განაპირობა მისი პოპულარობა?**

კომპანია ბრიტანელი და ადგილობრივი ინვესტორების მიერ 1998 წლის დასასრულს დაარსდა. საგულისხმოა, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი უცხოური ინვესტიცია საქართველოში.

სადაზღვევო კომპანია დაარსების დღიდან ბაზარზე აქტიურად და აგრესიულად მოღვაწეობს, რაც გამოიხატება მის დინამიურ ზრდაში. მან უკვე გაიარა განვითარების გარკვეული ეტაპი. მას შემდეგ, რაც ჩვენი პარტნიორი და აქციების 100 პროცენტის მფლობელი გახდა საქართველოს ბანკი სადაზღვევო კომპანია მნიშვნელოვნად გაძლიერდა და წარმატებული გახდა. ამ ეტაპზე სადაზღვევო კომპანიის საწესდებო კაპიტალი 1 მლნ 550 ათასი ლარია, რაც დღევანდელი კანონმდებლობის მოთხოვნებით მინიმუმის ზღვარზე მეტს წარმოადგენს.

**- თქვენი კომპანია ადგილობრივ ბაზარზე ახალი სტრატეგიით გამოჩნდა. რამ განაპირობა ის ცვლილებები, რაც ბოლო დროს BCI -ში მოხდა?**

ჩვენ მოვახერხეთ ადგილობრივ სადაზღვევო ბაზარზე ლიდერი კომპანიის პოზიციის დამკვიდრება. მიმდინარე წლის თებერვალში BCI პირველი სადაზღვევო კომპანია იყო, რომელიც საცალო ბაზარზე გავიდა და სპეციალურად მომხმარებლის მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნა ახალი სადაზღვევო პროგრამა "ჩემები". სადაზღვევო პროგრამა "ჩემებში" გაერთიანებულია ყველა სახის დაზღვევა, გათვალისწინებულია თითოეული მომხმარებლის მოთხოვნები და გათვლილია ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელზე.

**- საგულისხმოა, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის სრული პაკეტი საქართველოს რიგითი მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი არ იყო. რა გააკეთა თქვენმა კომპანიამ ამ კუთხით?**

- რამდენიმე წლის წინ ჯანმრთელობის დაზღვევა მხოლოდ კორპორატიული პირებისათვის იყო ხელმისაწვდომი. საზოგადოების სურვილის მიუხედავად, სასურველი სადაზღვევო პაკეტის შეძენა ინდივიდუალურად შეუძლებელი იყო. სულ ახლახან ჩვენ სადაზღვევო პროგრამა "ჩემების" ფარგლებში დავიწყეთ ჯანმრთელობის დაზღვევის შეთავაზება ინდივიდუალური მომხმარებლისთვის. შევქმენით ახალი ინდივიდუალური იაფი პროდუქტი, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასათვის. ოჯახის ექიმი - 3 და ოჯახის ექიმი - 6, ანუ ჯანმრთელობის დაზღვევა სამ და ექვს ლარად. სულ მალე საზოგადოებას შევთავაზებთ ჯანმრთელობის დაზღვევის უნიკალურ პროდუქტს. ჩვენი კომპანიის პოპულარობა გამოიწვია იმან, რომ ჩვენ შევეცადეთ, მაქსიმალურად მოგვერგო თითოეული პროდუქტი მომხმარებლის ინტერესებისთვის. საზოგადოებას შევთავაზეთ განახლებული სადაზღვევო პროდუქტები მთელი რიგი დამატებითი მომსახურებებით, მაგალითად, ავტოტრანსპორტის დაზღვევას მომხმარებელს მაქსიმალურად დივერსიფიცირებულს ვთავაზობთ. ჩემები-ავტოს დაზღვევის პაკეტში შედის 4 განსხვავებული პროდუქტი. ეკონომ-ავტო ნაწილობრივი დაფარვით დაბალ ფასში, სტანდარტ-ავტო, ავტომანქანის დაზღვევის სტანდარტული პაკეტი სრული დაფარვით, სპეციალური პროდუქტი, რომელიც მხოლოდ ქალბატონებისათვის არის შექმნილი. მისი ფასი დაბალია და გააჩნია მრავალი დამატებითი მომსახურება, რომლის გაწეული სერვისი უფასოა და ასევე ვიპ-ავტო სრული დაფარვითა და მთელი რიგი მომსახურებებით. ასევე, დღეს, საკმაოდ პოპულარული ხდება აგარაკებისა და ბინების დაზღვევა, რისი კულტურაც მოსახლეობაში ნელნელა მკვიდრდება. ამ სერვისის გააქტიურებას ხელი შეუწყო საბანკო პროდუქტების განვითარებამ. დღეს მოქალაქეებს უკვე შეუძლიათ სესხის გამოტანა. შესაბამისად, აშენებენ აგარაკებს, ბინებს და გრძნობენ თავიანთი საკუთების დაზღვევის აუცილებლობას. პროდუქტების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ჩვენ საცალო ბაზარზე წარმატებულად ვმუშაობთ. ასევე, BCI აქტიურად ჩართულია უმუშევრობის დაზღვევის საკითხში. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ჩვენი პროდუქტი იყოს ხელმისაწვდომი ყველა მომხმარებლისათვის.



*თორნიკე გოგიჩაიშვილი.*

**- რომელი სეგმენტი უფრო მიმზიდველია თქვენი კომპანიისათვის, კორპორატიული თუ საცალო ბაზარი?**

- ნებისმიერი სადაზღვევო კომპანიისთვის ძალზე მნიშვნელოვანია კორპორატიული კლიენტების მოზიდვა, რაშიც კომპანია BCI-ის მრავალი წლის მუშაობის გამოცდილება აქვს და, შესაბამისად, ჰყავს თავისი მსხვილი კორპორატიული კლიენტები, როგორებიც არიან ფოთის პორტი, საქართველოს რკინიგზა, თელასი, მინის ტარის ქარხანა და ა.შ. სადაზღვევო კომპანია BCI ასევე აქტიურად მუშაობს საცალო დაზღვევის მიმართულების განვითარებაზე. როგორც უკვე მოგახსენეთ, ჩვენი კომპანია პირველია, ვინც გავიდა საცალო ბაზარზე ახალი ბრენდით "ჩემები". შესაბამისად, ეს სეგმენტი, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია.

**- როგორია ადგილობრივ სადაზღვეეო ბაზარზე კონკურენციის მაჩვენებელი?**

კონკურენცია ამ ბაზარზე არის მძაფრი. ერთის მხრივ, ჯანსაღი კონკურენცია კარგია, რაც ხელს უწყობს ბაზრის განვითარებას. მეორეს მხრივ, ხშირად კონკურენცია რიგ შემთხვევებში კომპანიებს უბიძგებს დემპინგური ფასებისაკენ, რაც, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში ნეგატიურად აისახება ბაზარზე. ჩვენ გამოვირჩევით სხვებისგან იმით, რომ მომხმარებელს ვთავაზობთ მრავალი სახის სადაზღვევო პროდუქტს ხელსაყრელ ფასებში.

**- რა სიახლის შეთავაზებას აპირებს BCI მომხმარებლისთვის?**

სიახლეები ბევრია. მხოლოდ ახლა იწყება საცალო სეგმენტის ეტაპობრივი ათვისება. არის მიმართულებები, სადაც ინდივიდუალური მომხმარებელი გათვითცნობიერებულია. საკმაოდ განვითარებულია ავტომანქანების დაზღვევა. ასათვისებელია ჯანმრთელობის, საკუთრების, სიცოცხლის, უმუშევრობის და სხვა მიმართულებები. BCI-მ უკვე შესთავაზა და კიდევ აპირებს შესთავაზოს საზოგადოებას ბევრი ახალი პროდუქტი. ამჟამად, განათლების სამინისტროს მხარდაჭერით ვხვდებით სკოლების ადმინისტრაციებს და მათ ვთავაზობთ სადაზღვევო პროგრამა "ჩემების" მიერ სკოლებისთვის შექმნილ ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტს "ჩემები-სკოლა", რომელიც სპეციალურად მოსწავლეებისათვის და პედეგოგებისათვის არის შექმნილი.

**- თქვენი კომპანია მონაწილეობს საჰაერო სივრცის დაზღვევის შესახებ გამოცხადებულ ტენდერში. რატომ გახდა თქვენთვის ეს ტენდერი მიმზიდველი?**

- რა თქმა უნდა, სადაზღვევო კომპანია BCI საკამოდ დაინტერესებულია ამ საკითხით და ტენდერში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს.

BCI სადაზღვევო კომპანია INSURANCE COMPANY

## ჯეოსელს და მაგთის კონკურენტი გამოუჩნდება

ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებს "ჯეოსელს" და "მაგთის" ახალი წლიდან კონკურენტი გამოუჩნდება. შპს "მობიტელი", რომლის სავაჭრო ნიშანია "ბილაინი" ფუნქციონირებას ოფიციალურად ახალი წლიდან დაიწყებს და პირველ ეტაპზე თბილისს და რუსთავს მოიცავს. კომპანია 2008 წლის ბოლომდე მომსახურების გაწევას საქართველოს ყველა რეგიონში გეგმავს. კომპანია "მობიტელში" ამ ეტაპზე არ აკონკრეტებენ, თუ როგორ გაუწევენ კონკურენციას "მაგთის" და "ჯეოსელს", თუმცა აცხადებენ, რომ მათ ამის პრობლემა არ აქვთ. "ჩვენი კომპანია ფლობს კოლოსალურ საერთაშორისო გამოცდილებას, რომლის საფუძველზეც წარმატებით შეგვიძლია საქმიანობის დაწყება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოსვლით მოიგებს არა მხოლოდ ფიჭური კავშირგაბმულობის მომხმარებელი, არამედ მთელი საზოგადოებამ," - განაცხადა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა რომან კალინინმა. შპს "მობიტელი" წარმოადგენს "ვიმპელკომის" შვილობილ კომპანიას საქართველოში და აპირებს ქვეყნის ტერიტორიაზე ფიჭური კავშირგაბმულობის მომსახურებას GSM 1 800 სტანდარტში. "მობიტელმა" ლიცენზია "მეგაკომისგან" 12,6 მილიონ დოლარად შეიძინა. ლიცენზია 2013 წლის 23 ივლისამდე მოქმედებს. **ინტერპრესნიუსი**

## ბი სი აი -ს საჩუქარი

სადაზღვევო კომპანია "ბი სი აი" 8 წლის გახდა. ამ დღის აღსანიშნავად სადაზღვევო კომპანია "ბი სი აი"-იმ გადაწყვიტა, მიუსაფარ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ "მომავლის სახლის" 55 ბავშვს საჩუქრად გადასცეს სადაზღვევო პროგრამა "ჩემების" ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისი. საქველმოქმედო აქცია გაიმართება 15 სექტემბერს 12 საათზე ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრ "მომავლის სახლში". მისამართი: წურწუმიას N6 (მეტრო ავლაბართან).

## ჩეხურ "Energo pro"-სთან ხელშეკრულება 20 სექტემბრამდე გაფორმდება

ხელშეკრულებას ჩეხურ კომპანია "Energo pro"-სთან საქართველოს ენერგოობიექტების პრივატიზაციის შესახებ 20 სექტემბრამდე მოეწერება ხელი, - განუცხადა პრაიმ-ნიუს ბიზნესს საქართველოს ეკნომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ. "ეს მნიშვნელოვანი ხელშეკრულებაა, მას ძალიან ბევრი დეტალი აქვს. თუ ხელშეკრულებას 20 სექტემბრამდე მოვაწერთ ხელს, დიდი მიღწევა იქნება," - აღნიშნა ჩოგოვაძემ პრაიმ-ნიუს ბიზნესთან საუბარში. მისივე თქმით, ხელშეკრულების არც ერთ პუნქტში ორ მხარეს შორის უთანხმოება არ არსებობს. ოთხშაბათს საქართველოს მთავრობის სხდომაზე სს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" საბრუნავი კაპიტალის დეფიციტის შესახებ საკითხი განიხილეს. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ნიკა გილაურის ინფორმაციით, მთავრობა "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" მფლობელს დეპოზიტზე განთავსებული თახნის ხარჯვის უფლებას აძლევს. "Energo pro"-ს შეეძლება, დეპოზიტზე განათავსებული 5,3 მლნ აშშ დოლარი საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებითვის გამოიყენოს," - განაცხადა ნიკა გილაურმა. "Energo pro"-ს მფლობელობაში "აწჰესი", "ძევრულჰესი", "ლაჯანურჰესი", "რიონჰესი", "შაორჰესი", "გუმათჰესების კასკადი", "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" და "აჭარის ენერგოკომპანია" გადავა. აღნიშნულ აქტივებში კომპანია 321 მლნ 350 ათას აშშ დოლარს გადაიხდის. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

## აზერბაიჯანული ნავთობის ფასები შემცირდა

აზერბაიჯანულ ნავთობის ფასები შემცირებას განაგრძობს. AZERI LT FOB Ceyhan-ის ნავთობის ფასმა 13 სექტემბერს ბარელზე 62,23 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსირებული ფასთან შედარებით 0,67 აშშ დოლარით ნაკლებია. ნავთობს ჯეიჰანის პორტი ბაქო-თბილის-ჯეიჰანის მილსადენის საშუალებით იღებს. სააგენტო "ტრენდი" იტყობინება, რომ AZERI LT CIF Augusta-ს ნავთობის ფასმა 13 სექტემბერს ბარელზე 63,09 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასზე 0,69 აშშ დოლარით ნაკლებია. ნავთობის სიმკვრივე API-ს შკალით 34,6 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცვლელობა - 0,14%. 13 სექტემბერს URAL (EX-NOVO)-ს ნავთობის ფასი ბარელზე 58,63 აშშ დოლარი დაფიქსირდა, რაც წინა დღით დაფიქსირებულ ფასთან შედარებით 0,69 აშშ დოლარით მეტია. URAL-ის ნავთობის სიმკვრივე API-ს შკალით 30,4-31,85 გრადუსს შეადგენს, გოგირდის შემცვლელობა - 1,8%. DTD-ს მარკის ნავთობის ფასმა 13 სექტემბერს ბარელზე 61,58 აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა დღით დაფიქსიებულ ფასზე 0,77 აშშ დოლარით ნაკლებია. სიმკვრივე - 38,3 გრადუსი, გოგირდის შემცვლელობა 0,36%. "აზერი-ჩიგარ-გიუნეშლის" საბადოზე მოპოვებული Azeri Light-ის მარკის ნავთობის ექსპორტი მსოფლიო ბაზარზე "დასავლეთში" 1999 წელს საქართველოდან სუფსის პორტიდან დაიწყო. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# რთული რთველი

პირველი გვერდიდან

გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში მცხოვრებმა 60 წლის თენგიზ ხუციშვილმა ბოლო ერთი კვირის მანძილზე რეგიონში მოქმედი არაერთი ქარხანა შემოიარაფეხით, მაგრამ მისი მოსავლის მიღება არც ერთმა მათგანმა არ ისურვა. **"ასე მეუბნებიან, ჯერ ჩვენი ყურძენი გვაქვს დასაკრეფი, თუ დაგვჭირდა, შენსას მერე მივიღებთო. სხვა სოფლებში მიდიან მინისტრები, ჩვენთან კი გამგებელიც არ გადმოსულა და არ უკითხავს, რას აპირებს ხალხი,"** - ამბობს იგი. სამაგიეროდ, თავდაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრებმა, კახეთში პრეზიდენტის ვიზიტიდან მეორე დღეს, სოფელ ჩუმლაყის მოსახლეობა დააიმედეს, რომ ყურძნის თითოეული მტევნის დაბინავებაში დაეხმარებოდნენ. უფრო მეტიც, ირაკლი ოქრუაშვილმა გლეხებს რქაწითელის ფასიც კი დაუდგინა, მაგრამ დაპირება, როგორც ჩუმლაყელები ამბობენ, აღარ შესრულდა. სოფლის მეურნეობის ოპერატიულ შტაბში დილის 10 საათზე მისული მოსახლეობის ნაწილი სამინისტროს თანამშრომლებმა უკან გააბრუნეს. **"ასე გვითხრეს, ირაკლი ოქრუაშვილი თბილისში წავიდა, მიხო სვიმონიშვილი კი პასუხს ვერ გაგცემთო,"** - ამბობენ მინისტრებისგან გაწბილებული ჩუმლაყელები.



ხელისუფლებამ რთველი უკვე დაიწყო.

უფრო მწვავე სიტუაციაა სიღნაღის რაიონში, სადაც ვაქირულას ჯიშის ვაზია გაშენებული და მას სპეციალისტები ჰიბრიდს ანუ არაწმინდა ჯიშის ყურძენს უწოდებენ. სწორედ ამის გამო სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მისი ღვინოში გამოყენება აკრძალა, რამაც ქიზიყელები გამოუვალ სიტუაციაში ჩააყენა. მათ დღემდე არ იციან, სად წაიღონ მოწეული მოსავალი. საგულისხმოა, რომ წლების მანძილზე თუ ვაქირულას დაბინავება ადგილობრივ მოსახლეობას გზების გადაკეტვით და საპროტესტო აქციების ფასად უჯდებოდა, ამჯერად მათ სამართალდამცველებისგან მკაცრი გაფრთხილება მიიღეს. **"პოლიციის ფორმიანები მოვიდნენ და გვითხრეს, თუ ვინმე გზის გადაკეტვას გაბედავს, უკლებლივ ყველანი ციხეში აღმოჩნდებითო,"** - ამბობენ სოფლის ბირჟაზე შეკრებილი ვაქირელები, რომლებმაც სიფრთხილის გამო ვინაობის გამხელა არ ისურვეს.

გუშინ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე საუბარი ყვარლის ვენახებში თბილისის მერს, გიგი უგულავასაც უწევდა. **"ჩვენ მართლაც ექსტრემალურ პირობებში გვიწევს რთველის ჩატარება. წლევანდელი რთველი - ეს არ არის ჩვეულებრივი სამეურნეო მოვლენა, ეს არის წმინდა პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომელიც რუსეთმა გადაწყვიტა, ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენოს. ჩვენ ვიმყოფებით მძაფრი ეკონომიკური ბლოკადის წინაშე. სწორედ ამის გამო თბილისის მერიამ გადაწყვიტა, გამოსავლის ძიებაში თავად მიიღოს მონაწილეობა და გლეხებისგან 1 მილიონამდე ლარის ყურძენი შეისყიდოს,"** - აცხადებს თბილისის მერი, რომელმაც მირზიკაშვილების ოჯახში ყურძენი თავად მოკრიფა და მამაპაპისეულ საწნახელშიც ჩაწურა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს თავდაპირველი ინფორმაციით, კახეთში ამ დროისთვის 40 საწარმო უნდა იღებდეს ყურძენს, მაგრამ... **"დღეის მდგომარეობით, 22 კომპანია იღებს ყურძენს და მათ რიცხვს კიდევ რამდენიმე მიემატება. შეიძლება ითქვას, რომ კახეთის ყველა რაიონში, გარდა საგარეჯოსი, რთველი მიმდინარეობს,"** - ამბობს მიხეილ სვიმონიშვილი.

როგორც კახელი გლეხები ამბობენ, 22 ქარხანაც სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ რეგიონის ყურძენი დაბინავდეს, მაგრამ წლის მოსავლის ჩაბარების სურვილი უმეტესობას უკვე აღარ გააჩნია. ამის მიზეზად ისინი ღვინის ქარხნების მიერ შემოთავაზებულ დაბალ ფასს ასახელებენ. **"როცა "შაბიამანი" 4 ლარი ღირს, რის ვაი-ვაგლახით მოყვანილი ყურძნის 70 თეთრად (საფერავი) გაყიდვა დაცინვა არ არის ხალხისა? რაღა ჯანდაბად მინდა ქარხანაში ნაგვის ფასად გაყიდვა?"** - ამბობს ყვარლელი ზაურ ხუტილაშვილი. ფასის დარეგულირებაზე პასუხისმგებლობა კი მთავრობამ რთველის დაწყებისთანავე თავიდან აიცილა.

# "თელიანი ველი" კახეთში ღვინის ფესტივალს აწყობს

სალომე ძაძამია

15 სექტემბრიდან ოქტომბრის ბოლომდე საქართველოში ღვინის ფესტივალია, რომლის ორგანიზატორი კომპანიაა "თელიანი ველი". ფესტივალი მიზნად ისახავს ქართული ღვინის მრავალსაუკუნოვანი კულტურის პოპულარიზაციას. ფესტივალის ფარგლებში ხორციელდება როგორც ბიზნეს, ასევე სოციალური პროექტები: ღვინის კულტურის შესწავლა მომავალი თაობისათვის, კახეთის რეგიონში სტუდენტების დასაქმება რთველზე.

ფესტივალის ფარგლებში ეწყობა: ღვინის ტური ჟურნალისტებისთვის, ახალი ღვინის ბრენდის "თელურის" პრეზენტაცია, გოგა ჩანადირის ფოტოგამოფენა, ძიუდოს სპორტული დარბაზის გახსნა კაკაბეთში, გიო ხუციშვილის და მისი მეგობრების კონცერტი, წმინდა გიორგის სახელობის სკოლაში მარნის პრეზენტაცია, უნარშეზღუდულ ბავშვთა თეატრალური წარმოდგენა, მუხის კასრების მწარმოებელი პირველი ქართული კომპანიის პრეზენტაცია, სტუდენტების დასაქმება და სხვა ღონისძიებები.

"თელიანი ველი" ჰოლდინგური ტიპის ჯგუფია, რომელშიც 10 სხვადასხვა კომპანია შედის. "თელიანი ველის" გენერალური დირექტორის მოადგილე გიო ხუციშვილი ამბობს, რომ ქართული ღვინის ხარისხთან დაკავშირებული სკანდალი მათ კომპანიას არ აშინებს და, სირთულეების მიუხედავად, მეღვინეობის დარგი ვითარდება, ხარისხი იხვეწება, რის შედეგადაც, მალე ქართული ღვინო მსოფლიო ბაზარზე დაკარგულ ავტორიტეტს აღიდგენს.



გიო ხუციშვილი.

**- ბატონი გიო, ბოლო დროს ქართულ ღვინოსთან დაკავშირებულმა სკანდალებმა რამდენად იმოქმედა მის ხარისხზე?**

- საერთოდ, ჩვენ ყოველთვის გვქონდა ასეთი პრინციპი - გარდა რუსეთის ბაზრისა, გვემუშავა სხვა ბაზრებზეც. დიდი ხანია, მუშაობა მიმდინარეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. აქედან გამომდინარე, ქართული ღვინის პრობლემა მტკივნეულად არ ასახულა ჩვენს გაყიდვებზე. საქართველოში მრავლად არიან კომპანიები, რომლებიც მხოლოდ რუსეთის ბაზარზე მუშაობდნენ, ჩვენი გაყიდვები რუსეთის ბაზარზე მხოლოდ 30%-ია. ჩვენ გახლდით გამოფენა "პროტ ექსპო"-ზე, სადაც სამი ოქროს და ხუთი ვერცხლის მედალი მივიღეთ. რამდენად აბსურდულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ჩვენი ჩასვლიდან ზუსტად ორ კვირაში ხმამაღლა ითქვა, რომ ქართული ღვინო უმაღლესი ხარისხისაა და არაფალსიფიცირებული. ღვინის თემა უფრო პოლიტიკაა, თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ გარკვეულმა მწარმოებლებმა გაგვიფუჭა სახელი. თუმცა წუწუნი რომ დავიწყოთ, შორს ვერ წავალთ და ამიტომ ჩვენ ყოველდღიურად ვმუშაობთ მსოფლიოს ყველა კუთხესთან, ვიღებთ მონაწილეობას გამოფენებში, ინტერნეტიც გვეხმარება და ბევრი შემოთავაზებებიც გვაქვს. პირველად ქართული ღვინის ისტორიაში, ფინეთის ბაზარზეც შევედით. ფინეთში ღვინის მონოპოლია სახლმწიფოს აქვს, იმიტომ ძალიან გაგვიჭირდა, თუმცა რამდენიმე დღის წინ ჩვენი პირველი კონტეინერი ჩავიდა ფინეთში და, როგორც გვეუბნებიან, დიდი მოწონებაც ხვდა წილად.

**- რამდენადაც ცნობილია, ახალი ბრენდების წარმოება დაიწყეთ, მათ შორის არის შამპანურიც...**

- მეღვინეობა განვითარებადი დარგია, არის ახალი ტექნოლოგიები და ვცდილობთ, არაფერს ჩამოვრჩეთ. ძალიან ძვირად ღირებულ სეგმენტშიც კი გამოჩნდა ისეთი იაფფასიანი ღვინოები, როგორებიცაა "ჩილი" და "იუარი", რომლებიც იპყრობენ ბაზარს. რაც შეეხება შამპანურს, იგი ნამდვილი შამპანიზაციით არის დამზადებული. და არის ფრანგული ძვირფასი სეგმენტიდან, რომელიც არ არის მოგებაზე გათვლილი, რადგან საკმაოდ ძვირადღირებულია. ქართლში არსებული მკოდის და ჩინური პინონუარის ერთობლივი ნაზავია, არის წლობით დაძველებული და საკმაოდ პრეტენზიული მოსამზადებელი. ამ მშრალ შამპანურს "თელიანი ველის ბრუტი" ჰქვია. ამით ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ქართველებს ისეთი შამპანურის დამზადება შეუძლიათ, როგორსაც ფრანგები ამზადებენ. გვაქვს კიდევ ერთი ახალი ბრენდი, რომელსაც "თელური" ჰქვია. საუკეთესო სითხეა. ჩვენ ყოველთვის ფრანგულ, იტალიურ და პორტუგალიურ ბოთლებს ვიყენებდით, რაც მნიშვნელოვნად აძვირებდა ნაწარმს. თეთრი და წითელი "თელური" ჩვეულებრივი ხსნის ბოთლებშია ჩამოსხმული და ხელმისაწვდომია ნებისმიერი ფენის ადამიანისათვის. საგემოვნებო მაჩვენებლებით ჩვენი საფერავი და რქაწითელი მსოფლიო ყურძნების დონეს არ ჩამოუვარდება, თუმცა შავი პიარი ცუდად მოქმედებს. საერთოდ, რეკლამირება საჭიროა, თუმცა საქართველოში ბილბორდით ღვინოს ვერ გაყიდი.

ერთი იდეა მაქვს, რომელსაც პირველად თქვენთან გავამხელ. ვფიქრობ, პატარა ლამაზი დიზაინის ბოთლებში ჩამოვასხათ ვარდისფერი ღვინო, რომლებიც დისკოთეკების ქსელში გაიყიდება. ყველანაირად ვცდილობთ, საქართველოს ღვინის კულტურა დაუბრუნდეს და ჩვენ მაქსიმალურად გავუწევთ ღვინოს პოპულარიზაციას.

**- ამის ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი, ალბათ, თქვენს მიერ მოწყობილი ღვინის ფესტივალია. საიდან წარმოიშვა იდეა?**

- შარშან თელავში გავხსენით ქარხანა და იქ ვთქვით, რომ ყოველ წელს ჩავატარებდით ღვინის ფესტივალს. შარშანდელი ფესტივალი ასეთი მასშტაბებისა არ იყო. წელს მრავალმხრივი მოცულობა ექნება. ეს, პირველ რიგში, დიდი სტიმული იქნება როგორც გლეხებისათვის, ისე ბიზნესსექტორისთვის. ჩვენს ამ ინიციატივას მხარი დაუჭირა კულტურის და განათლების სამინისტრომ. გარკვეულწილად, ფესტივალი ახალგაზრდებზეა გათვლილი. მაღალქულიან 50 სტუდენტს წავიყვანთ კახეთში, ისინი რთველში იმუშავებენ და ანაზღაურებასაც მიიღებენ.

სატელევიზიო გადაცემაში "იდეა, ფული და ერთი შანსი" შესული იდეის მეშვეობით, რომელშიც ჩვენი კომპანიის პრეზიდენტი აჩიკო გეგენავა მონაწილეობდა, გავხსენით კასრების საწარმო. საწარმოში გამოიყენება დიდი რაოდენობით მაიკოპის მუხა, რომელიც ძალიან კარგია ღვინისა და სპირტიანი სასმელებისათვის. ეს გაცილებით იაფია, ვიდრე ფრანგული და იტალიურ კასრები, ხარისხი კი - თითქმის ერთნაირი. ფესტივალზე სწორედ ამ საწარმოს და კასრების პრეზენტაცია იგეგმება. იქნება გოგა ჩანადირის გამოფენა, რომელიც ჩვენ დავაფინანსეთ. ასევე გვაქვს კარგი ინიციატივა - ბაგებში არსებულ წმინდა გიორგის სკოლაში გავხსნით მარანს, სადაც ასევე აუდიტორიაც იქნება. ბავშვებთან ყოველ შაბათს მივა სპეციალისტი და ქართული ღვინის შესახებ ლექციას წაიკითხავს. პრაქტიკასაც იქვე მარანში გაივლიან. დარწმუნებული ვარ, ამ ფაქტის შედეგად ბევრი ბავშვი გადაწყვეტს მომავალში ღვინის ტექნოლოგობას, მეღვინეობას. გვინდა, პოპულარული გავხადოთ ღვინის ტექნოლოგობა. მარნის გახსნას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიც დაესწრება. ფესტივალის ფარგლებში "თელიანი ჯგუფის" ტურისტული კომპანიის "ვია თრეველი"-ს პრეზენტაციაც მოხდება, რომელიც შიდა ტურებზე იმუშავებს. ვაპირებთ ვაინ-ტურების მოწყობას. ჩვენს ქარხანაში არის სასტუმროც, რომლის ნომრებსაც ღვინის სახელები აქვს - წინანდალი, მუკუზანი და ა.შ. ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება "საქართველოს ბანკისა" და ჩვენი ერთობლივი პლასტიკური ბარათი, რომელიც ღვინის ლამაზი დიზაინით გაფორმდება. ბარათით სარგებლობის შემთხვევაში მომხმარებელი დიდ ფასდაკლებებს მიიღებს ჩვენს ჰოლდინგში შემავალი "ემ ჯგუფის" რესტორნების ქსელში. ასევე უნარშეზღუდული ბავშვები გამართავენ მონო-სპექტაკლს ღვინის თემაზე, სპექტაკლს ჩვენ ვაფინანსებთ. ფესტივალის ბოლო აკორდი კი ჩემი კონცერტი იქნება, რომელიც რუსთაველის თეატრში გაიმართება. მონაწილეობას მიიღებენ ჩემი მეგობრები, ყველა ის ადამიანი, ვისთანაც დუეტში მიმღერია. კონცერტიდან შემოსული თანხა გადაირიცხება ბედიანის ბავშვთა სახლში.

**- ღვინის მწარმოებელი სხვა კომპანიებიც ხომ არ გამოეხმაურნენ თქვენს ინიციატივას?**

- ჩვენ სხვებს ყოველთვის ვაძლევთ მაგალითს. ამ ფესტივალში ჩართულები არ არიან, თუმცა ყველასთან ვმეგობრობთ და ჯანსაღი კონკურენტული გარემო გვაქვს.

## აშშ-ს ბირჟაზე კლებაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა კლება დაფიქსირდა. ამის მიზეზი გუშინწინდელი ზრდის შემდეგ ინვესტორთა მიერ მოგების დაფიქსირების სურვილი და მაკროეკონომიკური სიახლეები გახლდათ. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ აგვისტოში საცალო ვაჭრობის მოცულობამ 0,2 პროცენტით იკლო. კორპორაციული სიახლეებიდან აღსანიშნავია კომპანია Ford Motors-ის მიერ მესამე კვარტალში განცდილი 6 მილიარდიანი ზარალი. საბოლოოდ, Dow Jones Index 0,13 პროცენტით, 11.528,11 პუნქტამდე შემცირდა. 0,05 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.220,18 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,14 პროცენტით, 1.316,22 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობი უმნიშვნელოდ გაძვირდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსების (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მცირე ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 63,42 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 64,44 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

"შავი ოქროს" ოდნავ გაძვირების მიზეზი დაბალი ფასების გამო შესყიდვებისადმი ინტერესის ზრდა გახლდათ. მოგეხსენებათ, 1 სექტემბრის შემდეგ ნავთობი 9 პროცენტით გახვირდა და მიმდინარე წლის მარტის ბოლოდან მინიმალურ დონემდე დავიდა. გარდა ამისა, გავლენა მოახდინა ნიგერიაში მიმდინარე მენავთობეთა გაფიცვამაც. ექსპერტთა აზრით, 'შავი ოქრო" უფრო მნიშვნელოვნად გაძვირდებოდა, რომ არა ირანის პრობლემის დარეგულირების იმედი და ბაზრისათვის ნავთობის შეუფერხებელი მიწოდება.

მიუხედავად ამ მცირეოდენი გაძვირებისა, "ოპეკის სანავთობე კალათის" ფასი პირველად ხუთნახევარი თვის განმავლობაში 60 დოლარი/ბარელის ფსიქოლოგიურ ნიშვნულს ჩამოცდა და მისმა ღირებულებამ 59,08 დოლარი/ბარელი შეადგინა. ეს კი 2006 წლის 28 მარტის შემდეგ დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია, როცა "ოპეკის კალათის" ფასი 59,05 დოლარი/ბარელი იყო.

შეგახსენებთ, რომ ტერმინი ძოპეკის კალათა" (OPEC Reference Basket of Crudes) ოფიციალურად 1987 წლის 1 იანვრიდან შემოიღეს და იგი კარტელის წევრი 11 ქვეყნის მიერ მოპოვებული ამდენივე მარკის ნავთობის ღირებულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება. ესენია: ალჟირული Saharan Blend, ინდონეზიური Minas, ირანული Iran Heave, კუვეიტური Kuwait Export, ლიბიური Es Sider, ნიგერიული Bonny Light, ყატარული Qatar Marine, Arab Light (საუდის არაბეთი), Murban (არაბეთის გაერთიანებული საემიროები) და ვენესუელური BCF 17.

1999 წლიდან ოპეკის ქვეყნებმა გააუქმეს 22-28 დოლარი/ბარელის ფარგლებში არსებული ოფიციალური "ფასთა დერეფანი", 2006 მარტიდან კი "კალათის" ფასების საზღვარი დეკლარაციულად 50 და 60 დოლარი/ბარელით განისაზღვრა. "ოპეკის კალათის" ფასის ისტორიული მაქსიმუმი 71,71 დოლარი/ბარელი 2006 წლის 14 ივლისს დაფიქსირდა.

## პლატინა გაიაფდა, სხვა ძვირფასი ლითონები კი გაძვირდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, პირველად ექვსი სესიის განმავლობაში ოქროს ფასის ზრდა დაფიქსირდა და 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 596,3 დოლარი შეადგინა. ვერცხლის ფასმაც ოდნავ, 11,2 დოლარი/უნციამდე მოიმატა. სამაგიეროდ, გაიაფდა პლატინა და მისმა 1185,8 დოლარი/უნცია შეადგინა, რაც უკანასკნელი ორნახევარი თვის განმავლობაში დაფიქსირებული მინიმალური მაჩვენებელია. პალადიუმი კი მიმდინარე კვირაში პირველად გაძვირდა და 318,35 დოლარი/უნციამდე ღირდა.

მიუხედავად დოლარის სტაბილურობის შენარჩუნებისა, ოქროსა და ვერცხლის გაძვირება ფასების კლების შემდეგ შესყიდვებისადმი ინტერესის ზრდამ და ნავთობის ფასის ოდნავ მომატებამ განაპირობა.

## McDonald's-ის უმსხვილესი აქციონერი საინვესტიციო ფონდი ხდება

საინვესტიციო ფონდმა Pershing Square Capital Management LP-მა, რომლის შტაბ-ბინა ნიუ იორკში მდებარეობს, აშშ-ს ანტიმონოპოლიური ორგანოებისაგან ფასტ-ფუდის მსოფლიოს უმსხვილესი ქსელის McDonald's-ის 794 მილიონი დოლარის ღირებულების აქციების შეძენის ნება დართო.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გარიგება მხოლოდ McDonald's-ის აქციების 2 პროცენტის შეძენას ითვალისწინებს, Pershing Square Capital Management კომპანიის ერთ-ერთი უმსხვილესი აქციონერი გახდება. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში McDonald's-ის მოგება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 16 პროცენტით, 1,459 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

## რამდენი საიტია ინტერნეტში

ანალიტიკური კომპანია Netcraft-ის ცნობით, 2006 წლის 31 აგვისტოს მონაცემებით, ინტერნეტში 98854877 საიტია, რაც 4,2 მილიონით მეტია, ვიდრე ერთი თვის წინანდელი მაჩვენებელი. ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ მსოფლიო ქსელში მიმდინარე წლის ივნისიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება საიტების რაოდენობის უჩვეულოდ სწრაფი ზრდა.

Netcraft-ის ექსპერტთა აზრით, ამგვარი ზრდის მიზეზი პირადი ბლოგების განთავსების საშუალების მომცემი სერვერების პოპულარულობა და ონლაინ სერვისების სფეროში Google-ს და Microsoft-ს შორის გაჩაღებული დაპირისპირება გახლავთ. ამასთან, გავლენას ახდენს უფასო ჰოსტინგური სერვისები, რომლებიც სულ უფრო მეტ მომხმარებელს იზიდავს.

# ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობა კიდევ უფრო გამარტივდა

სალომე ძაძამია

საქართველოს საფინანსო ბაზარზე ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირება კიდევ უფრო გამარტივდა. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის თანახმად, საქმიანობის დასაწყებად უკვე მხოლოდ ექვსი კვადრატული მეტრის ფართობია საჭირო.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის განცხადებით, "ეროვნული ბანკი წელს უკვე მეორედ ღებულობს მსგავს გადაწყვეტილებას, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს ამ სახის სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად აუცილებელ პროცედურებს და შეამცირებს ხარჯებს. ვფიქრობ, ეს მასტიმულირებელ ფაქტორად გადაიქცევა ბაზარზე ახალი მონაწილეების გამოჩენისათვის და, რაც უმთავრესია, ხელს შეუწყობს ამ სფეროს ლეგალიზებას."

მიმდინარე წლის იანვრამდე ვალუტის გადამცვლელი პუნქტის გასახსნელად აუცილებელი ფართობის მოცულობა საქართველოში 18 კვადრატულ მეტრს შეადგენდა. ეს მოთხოვნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 11 იანვრის ბრძანების თანახმად, 10 კვადრატულ მეტრამდე დავიდა. ახალი ბრძანებით კი, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის გასახსნელად აუცილებელი ფართობის მოცულობა უკვე 6 კვადრატულ მეტრამდე შემცირდა.

2006 წლის 1 იანვრამდე საქართველოში მოქმედებდა ვალუტის გადამცვლელი 556 ლიცენზირებული პუნქტი. 1 სექტემბრისათვის ეს მაჩვენებელი 637 ერთეულს შეადგენს, რაც, ძირითადად, არალეგალურად მომუშავე ულიცენზიო პუნქტების ლეგალიზების შედეგად გაიზარდა.

დღეს საქართველოში ვალუტის გადაცვლის საქმიანობისათვის ლიბერალური პირობები არსებობს, ხოლო ამ ტიპის სალიცენზიო მოსაკრებელი ერთ-ერთი ყველაზე დაბალია მსოფლიოში. ვალუტის გადაცვლის ოპერაციის საწარმოებლად სალიცენზიო გადასახადი საქართველოში 50 ლარს შეადგენს, ამასთან, ლიცენზიის მოქმედება ვადაში შეზღუდული არ არის.

საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების ზედამხედველობის განყოფილების უფროსი ნუგზარ მურუსიძე განმარტავს, რომ სახეცვლილი ლიცენზირების კანონი, ბევრ დამწყებ ბიზნესმენს გაუხსნის გზას და გამარტივებული კანონი არალიცენზირებული პუნქტების არსებობის პრობლემასაც ეტაპობრივად მოაგვარებს.

ნუგზარ მურუსიძე: "მოგეხსენებათ, სავალუტო პუნქტების ლიცენზირებაში მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა, ეს უპირველესად პუნქტების სალაროს ფართს შეეხო. წინამდებარე კანონის თანახმად, პიროვნებას, რომლის საკუთრებაში არსებული ფართი იყო 10 კვადრატულ მეტრამდე, მას არ შეეძლო, ვალუტის გადამცვლელი პუნქტის გახსნისთვის საჭირო ლიცენზია მიეღო. უკვე არსებული კანონის თანახმად კი, ლიცენზიის მოპოვება და სავალუტო პუნქტის გახსნა შესაძლებელია მათთვის, ვისაც 6 კვადრატული მეტრი ფართობის აქვს, ანუ 10-დან 6 კვადრატულ მეტრამდე შემცირდა სალარო ფართი. ეს გახლავთ საკმაოდ მნიშვნელოვანი შეღავათი, ახალი კანონი მნიშვნელოვნად შეამცირებს ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მფლობელთათვის კუთხის მოწყობის ხარჯებს. მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ახალი კანონი უფრო მეტ მეწარმე სუბიექტს მისცემს საშუალებას, ჩაერთონ ამ ბიზნესში.

გარდა სალარო ფართისა, არსებობს რამდენიმე მკაცრი პირობა, რისი დაცვის შედეგადაც გაიცემა ლიცენზია ვალუტის გადამცვლელი პუნქტის გახსნის შესახებ. უკვე დაკანონებული 6 კვადრატული მეტრის ფართი უნდა იყოს აღჭურვილი ისე, რომ დაიცვას პუნქტში მომუშავე მოლარე და არსებული მატერიალური ფასეულობა. აუცილებელია გარკვეული სიმტკიცის კარები, ტყვიაგაუმტარი მინა, მესამე კლასის სიმტკიცის კედელი, დეტექტორი, რომელიც ყალბი ვალუტის განსხვავებას შეძლებს, და კომპიუტერული ტექნიკა. კანონით განსაზღვრული ლიცენზიის მოსაკრებელი ძალიან დაბალია და 50 ლარს შეადგენს. იმ შემთხვევაში, თუ პიროვნებამ დაკარგა ლიცენზიის დამადასტურებელი საბუთი, ჩვენ მას მოწმობის დუბლიკატს ვაძლევთ, რისთვისაც განსაზღვრულია მოსაკრებელი - 10 ლარი. აღსანიშნავია ისიც, რომ ლიცენზია მუდმივია. რაც შეეხება არალიცენზირებულ პუნქტებს, საქართველო, ალბათ, ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ულიცენზიო პუნქტები არსებობს. ეს გახლავთ კანონით დაუშვებელი მოვლენა, ამ პრობლემის აღსაკვეთად ეროვნული ბანკი ვიზუალური დაკვირვებით სისტემატურად აღრიცხავს არალიცენზირებულ პუნქტებს."

თემურ გამყრელიძე ვაგზლის მოედნის ტერიტორიაზე ვალუტის გადამცვლელ ორ პუნქტს ფლობს. მისი თქმით, სავალუტო ჯიხურების ბიზნესი მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს მომგებიანი, რის საფუძველსაც ფულთან პირდაპირი კავშირი იძლევა.

თემურ გამყრელიძე: "უკეთესი იქნებოდა, აქამდე შემოეღოთ ახალი კანონი ფართებთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ 6 კვადრატული მეტრი ფართი ზუსტი შესაბამისობაა, რადგან ფულის გადაცვლა ისეთი პროცესი არ არის, რასაც მეტი ფართი დასჭირდება. ეს კანონი რომ ყოფილიყო, ახლა ფართების ქირას არ გადავიხდიდი, რადგან ორი ასეთი მცირე ფართი სხვადასხვა ტერიტორიაზე პირად საკუთრებაში მაქვს. თუმცა მე თავიდანვე გადავწყვიტე, ჩემი საქმიანობა ლეგალური ყოფილიყო. მოგების გადასახადსაც ვიხდი, თუმცა ვერ გამიგია, რა საჭიროა, ჩემნაირმა მცირე მეწარმემ გადაიხადოს ეს გადასახადი? მე მგონი, სახელმწიფო მხოლოდ მცირე მეწარმეებს უმკაცრებს გადასახადებს. უკეთესი იქნება, არალეგალურად მომუშავე პუნქტები დახურონ, რომლებიც კონკურენციას გვიწევენ და არც გადასახადები აწუხებთ, რადგან არალეგალურად მოქმედი თითქმის ყველა პუნქტი ერთი ადამიანის საკუთრებაა. როგორც ჩანს, იმ ერთ ადამიანს არც სახელმწიფოსთან უჭირს ურთიერთობა."

## ამინდი

| | 14/09 | 15/09 | 16/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 23 | 24 | 21 |
| რიგა | 23 | 24 | 18 |
| ვილნიუსი | 22 | 23 | 18 |
| მოსკოვი | 21 | 15 | 13 |
| მინსკი | 23 | 26 | 18 |
| პარიზი | 19 | 19 | 20 |
| რომი | 21 | 27 | 21 |
| ლონდონი | 23 | 20 | 19 |
| მადრიდი | 20 | 19 | 23 |
| ბონი | 27 | 22 | 22 |
| ვარშავა | 22 | 23 | 22 |
| ათენა | 26 | 27 | 31 |
| ბერნი | 18 | 24 | 26 |
| ამსტერდამი | 24 | 23 | 25 |
| ოსლო | 22 | 20 | 21 |
| ანკარა | 25 | 24 | 28 |
| ვარნა | 23 | 25 | 25 |
| დელი | 45 | 43 | 43 |
| ტოკიო | 20 | 23 | 22 |
| კოპენჰაგენი | 23 | 21 | 20 |
| ბაქო | 22 | 22 | 21 |
| ერევანი | 26 | 26 | 27 |
| ასტანა | 12 | 12 | 18 |
| ჰელსინკი | 20 | 13 | 16 |
| დუბლინი | 16 | 18 | 17 |
| ლისაბონი | 22 | 21 | 21 |
| პრაღა | 21 | 22 | 22 |
| სოფია | 25 | 26 | 23 |
| ბუდაპეშტი | 25 | 25 | 23 |
| ბუხარესტი | 26 | 26 | 26 |

# "დიდი ზესტაფონის" გერმანული ისტორია

დიანა ჩაჩუა

*კარსმომდგარი ზამთრის წინ უწყვეტი ელექტრომომარაგების უზრუნველყოფისკენ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი ორმაგად აღსანიშნავია. მით უმეტეს, თუ ეს ქვეყნის ენერგოსისტემისათვის საკვანძო მნიშვნელობის მაღალი ძაბვის ქვესადგურის "დიდი ზესტაფონის" რეაბილიტაციის პროექტის დასრულებას უკავშირდება. "დიდი ზესტაფონის" გახსნის ცერემონიას გუშინ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ალეკო ხეთაგური, საქართველოს ელექტროსისტემის, გერმანიის საელჩოს, გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის KFW-ს და სხვა ენერგოკომპანიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.*

ქვეყნის ენერგოსისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, 500-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის ქვესადგური "დიდი ზესტაფონი" ექსპლუატაციაში 1965 წელს შევიდა. მას შემდეგ ქვესადგურში კომპლექსური სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა. აღსანიშნავია, რომ სწორედ "დიდი ზესტაფონის" მეშვეობით ხორციელდება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში გამომუშავებული და მეზობელი ენერგოსისტემებიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის გადადინება და ქსელში განაწილება. აღნიშნული ქვესადგურიდან ელექტროენერგია მიეწოდებათ ისეთ სტრატეგიული მნიშვნელობის მომხმარებლებსაც, როგორებიცაა შპს "საქართველოს რკინიგზა", "ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა" და სხვ.

**"ქვესადგურის მოწყობილობის ხშირი დაზიანება, რაც მისი სიძველით იყო გამოწვეული, ხშირად ხდებოდა სისტემის სქემის ორად გაყოფის მიზეზი. ავარიული სიტუაციები შეფერხებებს იწვევდა ენერგოსისტემის საიმედო მუშაობაში და მომხმარებლის უწყვეტ ენერგომომარაგებაში მისი ტექნიკური მდგომარეობა თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა,"** - აცხადებდა გუშინ "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" გენერალური დირექტორი ჯო კორბეტი "დიდი ზესტაფონის" გახსნის ცერემონიაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა "დიდ ზესტაფონში" ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოება.

სარეაბილიტაციო სამუშაოები, გერმანიის განვითარების საკრედიტო ბანკის (KFW) დაფინანსებით, "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"-მ შეასრულა. აღნიშნული სამუშაოების დასაფინანსებლად გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მიერ, კერძოდ, KFW Entwicklungsbank-ს მეშვეობით, 10 მილიონ ევროზე მეტი გამოიყო. ეს პროექტი გერმანიის მიერ 1990-იანი წლების მეორე ნახევარში დაწყებული 130 მილიონი ევროს ღირებულების პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომელიც საქართველოს ენერგოსექტორის რეფორმირების მხარდასაჭერად გამოიყო.

ზესტაფონის რეაბილიტაციის პროექტი ელექტროგადაცემის რეაბილიტაციის პროგრამა II-ს ფარგლებში ხორციელდება, რომელიც KfW Entwicklungsbank-ის მიერ ფინანსდება. კერძოდ, ეს პროექტი სარეაბილიტაციო სამუშაოებს ენერგოსისტემის სამ ძირითად 500 კვ.-იან ქვესადგურში გულისხმობს: "დიდი ზესტაფონი," "ქსანი," "გარდაბანი." ძირითადი სამუშაო ტარდება ქვესადგურში "დიდი ზესტაფონი", რომელსაც გერმანული ფირმა "სიმენსი" აწარმოებს. პროგრამა 2005 წლის პირველ ნახევარში დაიწყო და მომავალი წლის იანვრამდე გაგრძელდება. პროექტის მიხედვით, ქვესადგურ "დიდი ზესტაფონი"-ს 500 და 220 კილოვოლტის მხარის მთლიანი რეკონსტრუქცია, 110 კილოვოლტის მხარეზე ნაწილობრივი სამუშაოების ჩატარება, "სიმენსი"-ს ფირმის ახალი 220-110-კვ. ავტოტრანსფორმატორის დამონტაჟება, ახალი მართვის ფარის შენობის მშენებლობა, 500 და 220 კვ-ის მინაერთებზე ციფრული დაცვების მონტაჟი იყო გათვალისწინებული; "ქსანის" ქვესადგურზე კი - ახალი კომპრესორებისა და საააკუმულატორო ბატარეების მონტაჟი, გადამცემი ხაზების "ქართლი-1" და "ქართლი 2" ციფრულ დაცვებზე გადაყვანა და სხვ.

**"ქვესადგურების რეაბილიტაციის შედეგად მნიშვნელოვნად ამაღლდება სისტემის იმედიანობა, 110-220 კვ. ავტოტრანსფორმატორის ჩართვით ამაღლდება მომხმარებელთა ელექტროიმედიანობა. ციფრულ დაცვებზე გადაყვანის შედეგად, შემცირდება ავარიების რისკის ფაქტორი, ხოლო ოპერატიული მართვა მთლიანად კომპიუტირიზებული იქნება..."** - აღნიშნავდნენ გუშინ "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" წარმომადგენლები.

განახლებული ქვესადგურების - "დიდი ზესტაფონის", "ქსანის" და "გარდაბანის" 500 კილოვოლტის უჯრედის ჩართვა სისტემაში 28 ივლისს მოხდა. რაც შეეხება ქვესადგურ "დიდი ზესტაფონი"-ს 220 კილოვოლტის მხარის რეაბილიტაციას, მისი დასრულება მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოსათვისაა გათვალისწინებული, ხოლო 110 კილოვოლტის მხარის სამუშაოების - 2007 წლის იანვარში.



*რეაბილიტირებული "დიდი ზესტაფონის" მთავარი შემოქმედები.*



*განახლებული ქვესადგური.*




# ბიზნესმენთა ფედერაციამ ცვლილებების პროექტი მოამზადა

პირველი გვერდიდან

**"მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი საგადასახადო კოდექსი ხასიათდება, როგორც პროგრესული, ის შეიცავს ზოგიერთ ხარვეზს. მათ შორის ხარვეზების 70% არის რედაქციული და შინაარსობრივი. ზოგიერთი მუხლი ორმაგი ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა. ექსპერტთა ჯგუფმა ცვლილებათა პროექტი კოდექსის სრული ანალიზის შემდეგ მოამზადა. თუ მთავრობა ამ ცვლილებებს გაიზიარებს, გამოირიცხება მუხლების ორმაგი ინტერპრეტირება, გამარტივდება და მოწესრიგდება ადმინისტრაციული მხარე და ბიზნესგარემოს განვითარებისთვის უკეთესი პირობები შეიქმნება,"** - განუცხადა "24 საათს" ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ.

იგი დარწმუნებულია, რომ შემოთავაზებული წინადადებები სტიმულს მისცემს ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებას და სამეწარმეო გარემოს გააუმჯობესებს. ასევე, ხელს შეუწყობს ისეთი პრობლემების მოგვარებას, როგორიცაა მოსახლეობის დასაქმება, სოციალური პრობლემების გადაჭრა, ცხოვრების დონის ამაღლება და სხვა.

ცვლილებები კოდექსის მუხლების მნიშვნელოვან ნაწილს ეხება და რამდენიმე ჯგუფად იყოფა. საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის საგადასახადო ექსპერტი ნუგზარ ქავთარაძე განმარტავს, რომ ცვლილებების პირველი ჯგუფი საგადასახადო კოდექსის კერძო ნაწილს ეხება. უფრო კონკრეტულად, მნიშვნელოვანი ცვლილებებია გათვალისწინებული აქციზის, დამატებული ღირებულების გადასახადის, მოგების, საშემოსავლო და სოციალური გადასახადების ნაწილში. ცვლილებები საშემოსავლო, მოგებისა და სოციალური გადასახადების ნაწილში, ძირითადად, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზეა ორიენტირებული.

ცვლილებების მეორე ჯგუფი სამეწარმეო საქმიანობის ცალკეულ სახეობათა დაბეგვრის რეგულირების საკითხებს ეხება. აქ ყურადღება საბანკო და სალიზინგო საქმიანობის დაბეგვრის მოწესრიგებასა და მცირე ბიზნესის დაბეგვრის თავისებურებებზეა გამახვილებული.

საგადასახადო კოდექსში ცვლილებების მესამე ჯგუფი გადასახადის გადამხდელისა და სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების სრულყოფას ეხება. კერძოდ, საგადასახადო დავების გადაწყვეტის, ჯარიმების, ზედმეტად გადახდილი გადასახადების დაბრუნებისა და გადასახადის გადამხდელისათვის კოდექსის დებულებების თაობაზე განმარტებების და მითითებების მიცემის საკითხებს. გადამხდელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის, გადამხდელთა მომსახურების სრულყოფის მიზნით, საგადასახადო ორგანოების მიერ გადამხდელთა მომსახურების განხორციელება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული მომსახურების სტანდარტების მიხედვითაა გათვალისწინებული. ამასთან, მიზანშეწონილია, გადამხდელთა მომსახურებაში გამოყენებულ იქნას "ერთი ფანჯრის პრინციპი", რომელიც გადამხდელის მიერ დეკლარაციებისა და გაანგარიშებების წარდგენის დროს გადამხდელისა და საგადასახადო ინსპექტორის უშუალო კონტაქტს გამორიცხავს. ქავთარაძის პოზიციით, შემოთავაზებული წინადადებები, ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებას, ყველა თანამდევი დადებითი მოვლენებით კარგ სტიმულს მისცემს (მოსახლეობის დასაქმება, სოციალური პრობლემების მნიშვნელოვანი მოგვარება, ცხოვრების დონის ამაღლება და აშ.). **"წარმოდგენილი ცვლილებები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა მუხლების ტექსტის სრულყოფისაკენ არის მიმართული, საქართველოში სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას გამოიწვევს, ხელს შეუწყობს მეწარმეობის განვითარებას, მეწარმესა და სახელმწიფოს შორის სამართლიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას,"** - აღნიშნავს ექსპერტი.

საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტს ბიზნესმენთა ფედერაცია უახლოეს მომავალში პარლამენტის თავმჯდომარეს წარუდგენს და შეეცდება, მის აუცილებლობაში დაარწმუნოს. **24 საათი**